პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34,
ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

პარასკევი, 10 დეკემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 283 (1738)

დ ღ ი უ რ ი

- ჩეხო-სლოვაკიის მემადნეები მეწარმეებისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებას.
- მთელ რუმინეთში იმართება მუშათა მასიური დემონსტრაციები.
- ჟენევაში თათბირი ჰქონდათ საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრებს.
- ბარბიუსმა ავსტრიის კანცლერს პროტესტი განუცხადა ომის ინვალიდების დემონსტრაციის გარეკის გამო.
- ხელი მოაწერეს იტალია - გერმანიის შეთანხმებას იტალიიდან წასულ გერმანელთა ქონების ანაზღაურების შესახებ.
- დღეს განჯაში გაიხსნება ამიერ - კავკასიის ცაკის სესია.

საქართველოს მთელ მოსახლეობას

მიმდინარე 1926 წლის 17 დეკემბერს, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები შეუდგებიან მოსახლეობის აღწერას.

ხელისუფლების მთელი ყურადღება დღეს მიპყრობილია ამ დიდ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისაკენ, ვინაიდან მან უნდა მოგვცეს დასაყრდნობი მასალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობისათვის.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მიერ დანგრეულ სახალხო მეურნეობის ამჟამად უკვე დამთავრებულ აღდგენითი პროცესისა და მისი ახალ საფუძველზე გაშლის პირობებში აუცილებელია გვქონდეს სრული სურათი მოსახლეობის რაოდენობის, მისი ტერიტორიაზე განაწილების და შემადგენლობის შესახებ.

გეგმითი პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს ხელისუფლების მოქმედებას კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების საქმეში, აუცილებლად თხოულობს სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა სწორ აღრიცხვას და ყოველ-მხრივ შესწავლას. ასეთ მოვლენათა შესწავლის ერთი საშუალებათაგანი არის დრო გამოშვებითი (პერიოდული) აღწერა.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 1897 წლის შემდეგ არ ყოფილა ჩვენში.

1897 წლის აღწერა ყოფილმა მეფის მთავრობამ ჩაატარა ბიუროკრატიულ ორგანიზაციის საშუალებით ამ საქმეს მაშინ მან განზრახ ჩამოაშორა საზოგადოებრივი ძალები. მართალია, 1897 წლის აღწერა შეეხო მაშინდელ რუსეთის ყველა ნაწილებს, მაგრამ შედეგები ამ აღწერისა არ იყო დამაკმაყოფილებელი იმდენად, რამდენათაც მას ხელმძღვანელობდენ მეფის მსხვილი მოხელეები და ფართე მასსების ინტერესებს ამ აღწერის პროგრამა გვერდს უვლიდა.

წლევანდელმა აღწერამ კი უნდა მოგვცეს ჩვენი კავშირის მოსახლეობის შემადგენლობის სრული სურათი. მან უნდა ასახოს რიცხვი მოსახლეობისა, მისი განაწილება ტერიტორიაზე, ეროვნული და სოციალური შემადგენლობა, თვითმომქმედი და არათვითმომქმედი მოსახლეობა, წერა-კითხვის ცოდნის დონე, ბუნებრივი ზრდა მოსახლეობისა, უმუშევრობის დონე და მისი ხასიათი და სხვა.

ამ აღწერამ უნდა მოგვცეს ქალაქებში სწორი სურათი ოჯახის, მისი შემადგენლობის, სტრუქტურის.

ამ აღწერის საშუალებით ჩვენ უნდა შევისწავლოთ საბინაო პირობები ქალაქებში, რომ ჩვენი პოლიტიკა საბინაო საკითხში იყოს უფრო სწორი და მიზანშეწონილი.

ამ აღწერით მიღებულმა ცნობებმა უნდა მოგვცეს საშუალება ფართე მოსახლეობის ინტერესებს — შეუფარდოთ მთავრობის პოლიტიკა ადმინისტრატიული და რაიონების საკითხში, ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვაში, სასკოლო-საქმეში, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში, უმუშევრობის წინააღმდეგ და სხვა.

ჩვენი ეკონომიკა, მისი საფუძვლები, მისი გაშლა ახალ პრინციპების მიხედვით აუცილებლად უნდა იყოს შეფარდებული მოსახლეობის რაოდენობის სწორ აღრიცხვასთან.

ასეთ მეტად დიდ და გადაუდებელ ამოცანებს აძლევს ხელისუფლება ამ აღწერას.

ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ ყველა მოქალაქეს მოეპყრას ამ მეტად კულტურულ საზოგადოებრივ და მთელი მოსახლეობისათვის ფრიად საჭირო საქმეს დიდი ყურადღებით და ხალისით.

17 დეკემბერს აღმწერთა მთელი ლაშქარი მოედება ჩვენს სოფლებს და ქალაქებს. აღწერა გაგრძელდება ქალაქებში ერთი კვირა, სოფლებში ორი კვირა.

ყველა მოქალაქე ვალდებულია მიიღოს აღმწერელი და გასცეს საალმწერო ფორმულიარების მიხედვით დასმულ კითხვებზე საჭირო პასუხი.

აღმწერის მოვალეობაა არ დასტოვოს არც ერთი მოქალაქე თავის საარწერო უბანში, თავაზიანად მოეპყრას ყველა მოქალაქეს და პირნათლად შეასრულოს ხელისუფლების დავალება—მოსახლეობის სწორი აღრიცხვა.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ მუშათა კლასი, ჩვენი გლეხობა, მთელი კულტურული და საზოგადოებრივი ძალები ამ საქმეს შეხედავენ, როგორც თავის პირად საქმეს და დაეხმარებიან სახელმწიფო სტატ-ორგანოებს აღწერის წარმატებით ჩატარებაში.

თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაეხმაროს აღწერის საქმეს.—მოქალაქენო,—ემზადეთ აღწერისათვის.

სრ. საქ. საბჭ. ცენტ. აღმას. კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სტატ. ცენტ. სამმართველოს მმართველი ა. რუხაძე.

შეერთებულ შტატების ინტრიგები მექსიკაში

მექსიკის რეაქციონერები ამერიკის დახმარებით აჯანყებისათვის ემზადებიან

ხან-კოუში გრძელდება საერთო გაფიცვა უცხოელების წინააღმდეგ

კანტონმა პროტესტით მიმართა ერთა ლიგას ჩინეთის საქმეებში უცხოელების ჩარევის გამო

მექსიკის რეაქციონერები

ამერიკის ინტრიგები

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. შეერთებულ შტატების გავლენიან წრეებში კულიჯისაგან მოითხოვენ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას მექსიკასთან. ნიუ-იორკის ბანკებმა მექსიკის წარმოებებს შეუმცირეს კრედიტი. დე-ლა-ხუერტამ (1921 წელს ობრეგონის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების ხელმძღვანელი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს შეერთებულ შტატებში, მექსიკის საზღვრის მახლობლად) განაცხადა, რომ ის მზადაა ხელმძღვანელობა გაუწიოს აჯანყებას კაიესის წინააღმდეგ.

დე-ლა-ხუერტას ირგვლივ შემოკრებილი ელემენტები მოუწოდებენ შეერთებულ შტატებს მხარი დაუჭიროს აჯანყებას კაიესის წინააღმდეგ, ან დაემუქროს რეპრესიებით, რათა აიძულოს კაიესი წავიდეს დათმობაზე. (ადს).

ღირსეული პასუხი

მექსიკა, 9 დეკემბერი. მექსიკის პრეზიდენტი კაიესი გამოვიდა განცხადებით, რომელშიაც სასტიკათ გაილაშქრა შეერთებულ შტატების სამხედრო დეპარტამენტის წინააღმდეგ, რომელიც ეწევა პროპაგანდას მექსიკის წინაღმდეგ და ბრალს სდებს მას კომუნისტურ ინტრიგებში.

კაიესმა განაცხადა, რომ ის არ არის კომუნისტი, მაგრამ „ბოლშევიკის" სახელს ამჯობინებს „დამამშვიდებლის" სახელწოდებას, რომლის დამსახურება შეიძლება მექსიკის მუშების ჩაგვრით. (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

იაპონიის პრესა ამხილებს ინგლისს

ტოკიო, 8 დეკემბერი. „ნიცი-ნიცი" ბრალს სდებს ინგლისს იმაში, რომ ის ჩინეთში აწარმოებს ორჭოფულ პოზიციას. **„ერთის მხრივ, აცხადებს გაზეთი, ინგლისი ლაპარაკობს კანტონის ცნობაზე, ხოლო მეორეს მხრივ მხარს უჭერს ჩან-ძო-ლინს. ინგლისი ამ შემთხვევაში ისევე დამარცხდება, როგორც დამარცხდა მაშინ, როცა აშკარათ მხარს უჭერდა დენიკის და კოლჩაკს.**

უცხოეთის სახელმწიფოების მიერ ჩინეთის ისეთ ძალებისათვის მხარის დაჭერა, როგორიცაა ჩან-ძო-ლინი მხოლოდ დააჩქარებს დაღუპვას".

აცხადებს რა შემდეგ, რომ იაპონიას ინგლისზე ნაკლებ არ აფიქრებს ჩინეთის მომავალი, გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიას აქვს საკმაო გამოცდილება ჩინეთის გენერლებისათვის მხარის დაჭერის საქმეში და ამიტომ ის უფრო ფრთხილად მოქმედებს. (ადს).

გომინდანის წერილი ერთა ლიგაში

ბერლინი, 8 დეკემბერი. გომინდანის საზღვარგარეთის წარმომადგენლობამ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს მიმართა წერილით, რომელშიაც კანტონის მთავრობის, როგორც ჩინეთის ერთადერთი ჭეშმარიტ მთავრობის სახელით, აცხადებს პროტესტს ინგლისის და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების პრეტენზიების წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად წერილში ნათქვამია, რომ პეკინის მთავრობას არა აქვს უფლება გამოვიდეს ჩინეთის მთავრობის სახით. (ადს).

სამხედრო ძალები გაყვანილია ხანკოუდან

ლონდონი, 8 დეკემბერი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება: „ხანკოუდან მიღებულ ცნობით, ინგლისის კონცესიის ტერიტორიიდან გაყვანილია სამხედრო - საზღვაო პიკეტები, რომელნიც დაბრუნდენ მდინარე იან-ძიზე მყოფ გემებზე.

უცხოელებს ეძლევათ შესაძლებლობა ნორმალურად აწარმოონ საქმიანი ოპერაციები. მოლაპარაკება მწარმოებლებსა და პროფესიონალურ კავშირებს შორის გრძელდება. (ადს).

არჩევნები ინდოეთში

ლონდონი, 9 დეკემბერი. ინდოეთის საკანონმდებლო კრების არჩევნების შედეგები იძლევა შემდეგ სურათს: სვარაჯისტებმა (ნაციონალისტები) მიიღეს 28 მანდატი, ინგლისელებთან თანამშრომლობის მომხრეებმა (ეგრედ წოდებულ რესპონსივისტებმა) და დამოუკიდებლებმა—28 მანდატი, მუსლიმანთა ლიგამ და ევროპიელებმა—28 მანდატი. საბოლოო შედეგები ჯერ არ არის გამორკვეული.

ფიქრობენ, რომ საბოლოოთ სვარაჯისტებს ექნებათ 37 ადგილი, მაშინ როცა წინანდელ შემადგენლობაში ჰქონდათ 46 მანდატი. სვარაჯისტებსა და რესპონსივისტებს შორის უკვე დაიწყო მოლაპარაკება გაერთიანების შესახებ. ფიქრობენ, რომ სრულიად-ინდოეთის ნაციონალურ კონგრესის სესიაზე, რომელიც შესდგება დეკემბრის ბოლოში, სვარაჯისტები შესცვლიან კურსს რესპონსივისტებთან მთლიანი ფრონტის შექმნის მიზნით. (ადს).

ფაშისტების თარეში

მოსკოვი, 8 დეკემბერი. ამ დღეებში რემედასმა გამოაქვეყნა თეთრი ტერორის ციფრები, რომელიც შეეხება ფაშისტების ოთხი წლის სისხლიან ბატონობას.

ფაშისტების „მუშაობის" პირველი 2 ნახევ. წელიწადი იძლევა **8.950 პოლიტიკურ პატიმარს.** საზოგადოებრივი აზრის და მუშების აღშფოთებამ აიძულა მუსოლინი გამოეცხადებია „ამნისტია" და 1925 წ. 30 ივლისს განთავისუფლეს 1.606 კაცი. მიუხედავათ ამისა, არ გასულა ორი თვე, რომ **პოლიციამ დააპატიმრა 4.229 კაცი** და ამრიგად, **1925 წლის დამლევისათვის, იტალიის ციხეებში ითვლებოდა 10.445 პოლიტიკური პატიმარი.**

1926 წ. პირველი ათი თვე ასეთ სურათს იძლევა: დემონსტრაციების დროს პოლიციასთან შეტაკების გამო და მუშათა სახლებზე ფაშისტების თავდასხმების დროს **მოკლულია 43 კაცი და დაჭრილია 420.** გაჩხრეკის დროს დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული სხვადასხვა პოლიტიკური „დანაშაულისათვის" **11.631 კაცი.** სასამართლოებში ამავე ხნის განმავლობაში გაირჩა 316 საქმე, რომელთა გამო სხვადასხვა ვადით **დაპატიმრება მიუსაჯეს 837 კაცს და სიკვდილით დასაჯეს 5 კაცი.**

ყოველი თავდასხმა მუსოლინზე იწვევდა ფაშისტური ტერორის საშინელ ტალღას. ასე მაგალითად, **პირველი თავდასხმის შემდეგ** (1925 წ. 5 ნოემბერი), ფაშისტების მიერ **მოკლულ იქნა 8 მუშა, დაჭრილი—46, დაპატიმრებული—1.420 კაცი, მოახდინეს 2.142 გაჩხრეკა, კონფისკაცია უყვეს 135 გაზეთს და გარეკეს მუშების 130 კრება.**

მეორე თავდასხმის დროს—1926 წ. 7 აპრილს მოჰკლეს—5, დასჭრეს—18, დააპატიმრეს—2.500 და გაჩხრიკეს—315 ბინა.

მესამე თავდასხმის შემდეგ—1926 წ. 11 აგვისტოს—**მოჰკლეს—2, დასჭრეს 53, დააპატიმრეს—890 და გაჩხრიკეს—1.178 ბინა.**

სწორი ცნობები იმ ტერორის შესახებ, რომელიც მოჰყვა მეოთხე თავდასხმას მუსოლინზე (1926 წ. 30 ნოემბერს), არ მოიპოვება, მაგრამ, როგორც ბურჟუაზიული პრესა იუწყება, ნოემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში იტალიაში **მოჰკლეს ორას კაცზე მეტი, დასჭრეს—6.000-ზე და დააპატიმრეს 11 ათასი კაცი. ყველა ოპოზიციონური გაზეთები და ორგანიზაციები დახურულია, ოპოზიციის 128 დეპუტატი გამორიცხულია პარლამენტიდან და მათი უმრავლესობა დაპატიმრებულია.**

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ვარშავა, 8 დეკემბერი. „კურიერ პორანი" გამოსთქვამს თავის „გაოცებას", პოლონეთის სამხედრო წრეების გეგმების შესახებ „იზვესტია"-ში მოთავსებულ წერილის გამო.

გაზეთი წერს: „იზვესტია"-ს მიერ წამოყენებულ კითხვას უნდა გაეცეს პასუხათ, რომ პოლონეთის დიპლომატიის პოლიტიკურ გეგმებს სარედაქციო მაგიდებზე არ ამუშავებენ: საბჭოთა კავშირს ყავს თავის წარმომადგენელი ვარშავაში, რომელსაც შეეძლო თავის უშუალო შთაბეჭდილებანი, რომელიც მან, ალბად მიიღო, პოლონეთის მმართველი წრეების წარმომადგენლებთან საუბრებში, შეეტყობინებია მოსკოვისათვის.

რა საჭირო იყო იმ გაზეთებიდან ამონაჭრების გამოგზავნა, რომელიც პოლონეთში მხოლოდ თავის სახელით ლაპარაკობენ. საბჭოთა წარმომადგენელს ვარშავაში არ შეეძლო გაეგო რამ პოლონეთის საზღვრების გაფართოების გეგმებზე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ პოლონეთს ბევრი რამ აქვს მოსაგვარებელი თავის ეროვნულ უმცირესობებთან და იგი სრულებით არ სცდილობს შეიძინოს ახალი კომუნისტები მინსკიდან და კოვნოდან".

ოფიციოზი „გლოს პრავდი" ეხება ამხ. ჩიჩერინის განცხადებებს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებათა შესახებ და ამავე საკითხზე დაბეჭდილ წერილებს „იზვესტია"-სა და „პრავდა"-ში. გაზეთი აცხადებს, რომ ეს არის შედეგი ანტიპოლონური პროპაგანდისა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დაიწყო სწორედ იმ დროს, როდესაც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საზღვარგარეთ იყო გამგზავრებული.

რაც შეეხება პოლონეთის მიერ ბალტიის სახელმწიფოებისათვის გაწეულ დახმარებას, ამბობს გაზეთი, პოლონეთი ამას არ უყურებს ისე, როგორც საიდუმლოებას. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

„კომუნისტური მოღვაწეობისათვის"

ვარშავა, 9 დეკემბერი. ბელოსტოკის საოლქო სასამართლომ ოთხ-ოთხი წლის ციხე მიუსაჯა ორ 18 წლიან ქალიშვილს, რომელთაც ბრალათ ედებოდათ „კომუნისტური მოღვაწეობა". (ადს).

მისალმება პროფინტერნს

პეკინი, 9 დეკემბერი. ხუ-ნანის პროვინციის მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების კონფერენციამ გამოიტანა პროფინტერნისადმი მისასალმებელი რეზოლუცია.

მემამულეების ასალაგმავათ

პეკინი, 9 დეკემბერი. თავგასულ მემამულეებთან ბრძოლის მიზნით ხუ-ნანის პროვინციის ხელისუფლებამ დაადგინა მემამულეების წინააღმდეგ აღძრული სამოსამართლო პროცესები გადასცეს განსახილველათ სამხედრო სასამართლოებს. (ადს).

ამხ. კოლონტაი მექსიკაში

მექსიკა, 9 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელი მექსიკაში ამხ. კოლონტაი ჩამოვიდა ვერა-კრუცში (ქალაქია). მუშებმა ამის გამო მოაწყვეს მისასალმებელი დემონსტრაცია. (ადს).

უარისთქმა კოალიციაზე

კოპენჰაგენი. 9 დეკემბერი. დანიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, სოციალ-დემოკრატებმა უარი განაცხადეს კოალიციონური მთავრობაში შესვლაზე. (ადს).

მამონტის თავი

ვლადივოსტოკი, 9 დეკემბერი. ნიჟნე-კოლიმსკიდან ვლადივოსტოკში გემით მოტანილია მამონტის თავი, რომელსაც სახუქრად უგზავნიან სამეცნიერო აკადემიას იმ ექსპედიციისათვის მადლობის ნიშნად, რომელიც გაგზავნა სამეცნიერო აკადემიამ იაკუტიაში. (ადს).

ჯაშუშების გასამართლება

მინსკი, 9 დეკემბერი. სამხედრო ტრიბუნალის სესიამ განაჩენი გამოიტანა 46 ლატვიელი ჯაშუშის საქმეზე. ჯაშუშთა ორგანიზაციის მეთაურებს რაიმანენკოს, ჩაიჩენკოს და ვიშნევის იუსაჯეს დახვრეტა. დანარჩენ ბრალდებულებს თაურებს რაიმანენკოს, ჩაიჩენკოს და ვიშნევსკის რომელიც თავის ნებით გამოცხადდა, დახვრეტა შეეცვალა 5 წლის ვადით დაპატიმრებით. (ადს).

დიდი ყინვები

რონის-როსტოვი, 9 დეკემბერი, აზოვის ზღვის სანაპირო ნავთსადგურებში ჩესწყდა მიმოსვლა. ტაგანროგის ნავთსადგური დაფარულია ყინულით. შავ ზღვაზე დიდი ღელვაა, რამაც ზღვაზე გაიტაცა სათევზაო წასული მეთევზენი. (ადს)

ახალი სამგზავრო ჰაეროპლანი

ხარკოვი, 9 დეკემბერი. ხარკოვში მოვიდა „კაველანდის" სისტემის პირველი თერთმეტადგილიანი ჰაეროპლანი. ჰაეროპლანი იფრენს ხარკოვ-მოსკოვის ხაზზე. გაზაფხულიდან ეს ხაზი გაგრძელებულ იქნება მინერალურ წყლებამდე. მანძილს მოსკოვიდან ხარკოვამდე ჰაეროპლანი 4 საათში გაივლის. (ადს).

ქარიშხალი შავ-ზღვაზე

ოდესა, 9 დეკემბერი. ქარიშხალი შავ-ზღვაზე კვლავ იმავე ძალით გრძელდება. იალქნიანი გემები რამოდენიმე დღეა არ გასულან ზღვაში. (ადს).

იალქნიანი გემი „ტოვარიში"

მოსკოვი, 9 დეკემბერი. იალქნიან გემ „ტოვარიში"-დან 8 დეკემბერს მიღებულ რადიოში ნათქვამია: „გადავლახეთ დასავლეთ განედის 38 გრადუსი. ცურვას აბრკოლებს კორპუსის წყალქვეშა ნაწილის ზრდა. ყველაფერი რიგზეა. კაპიტანი ლუხმანოვი. (ადს).

„მიწისძვრა ლენინაკანში" საზღვარგარეთ

ერევანი, 9 დეკემბერი. სომხეთის სახელმწიფო კინო-მრეწველობამ ამერიკიდან მიიღო წინადადება კინო-სურათ „მიწისძვრა ლენინაკანში" გაქირავების შესახებ საზღვარგარეთ. სურათის ჩვენებით აკრეფილი შემოსავალი წავა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. (ადს).

თურქული ალფავიტი

განჯა, 9 დეკემბერი. სამაზრო პოლიტ-განათლების განყოფილება მთელ მიწერ-მოწერას აწარმოებს ახალი თურქული ანბანით.

„კომპანი მარიტიმის" რეისი

ვლადივოსტოკი, 9 დეკემბერი. დასრულდა მოლაპარაკება საფრანგეთის სანაოსნო საზოგადოება „კომპანი მარიტისთან" ვლადივოსტოკსა და დასავლეთ ევროპის ნავთსადგურების—მარსელის, ლონდონის, ჰამბურგის, ანტვერპენის და სხ. შორის რეგულიარული სანაოსნო რეისების შესახებ.

რეისები დაიწყება 1927 წლის იანვრის დამლევიდან (ადს.)

დ ა თ ვ ე ბ ი

ნოვგოროდი, 9 დეკემბერი. სტარორუსკი მაზრიდან იუწყებიან, რომ გაჩნდა უამრავი დათვი. დათვები თავს ესხმიან ოთხფეხ საქონელს. სათანადო სანადირო მოწყობილობის უქონლობის გამო, დათვებთან ბრძოლა გაძნელებულია. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

8 დეკემბრის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 8 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარემ რემელემ განაცხადა, რომ რუტ ფიშერი, შოლემი, ურბანსი და შვანი, რომელნიც მოწვეული იყვნენ მათი აპელიაციის გარჩევაზე დასასწრებლად, ჩამოვიდენ მოსკოვში და პრეზიდიუმს სთხოვენ პლენუმის სხდომაზე დასწრების ნებართვა.

პრეზიდიუმმა მათ განუცხადა, რომ ისინი არ არიან რომელიმე კომპარტიის წევრები და ამიტომ კომინტერნის წესდების თანახმად, ისინი არ შეიძლება დაესწრონ პლენუმის სხდომებს. მაშინ მათ განაცხადეს, რომ ისინი დაუყოვნებლივ წავლენ მოსკოვიდან. პრეზიდიუმმა უპასუხა, რომ ეს მათი საქმეა. პლენუმმა ერთხმად დაადასტურა პრეზიდიუმის მოქმედება.

პლენუმმა შემდეგ აირჩია სპეციალური კომისია რუტ ფიშერისა და სხ. აპელიაციის განსახილველად. ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდა კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს **ვისოცკიმ** (პოლონეთი), **კვალი** (იტალია), **ზინოვიევმა** და **პეტერიმ** (ამერიკა).

პეტერის სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა. (ადს).

მინისტრების თათბირი

ბერლინი, 8 დეკემბერი. 6 დეკემბერს შესდგა თათბირი **შტრეზემანსა, ბრიანს, ჩემბერლენს, ვანდერველდეს** და **შალოიას** შორის.

არსებულ ხმების თანახმად, თათბირმა დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო. (ადს).

„რუსული გავლენა"

ლონდონი, 9 დეკემბერი. ფინანსთა მინისტრი ჩერჩილი, თემთა პალატაში ოპოზიციის მთელ რიგ ორატორებისათვის პასუხის გაცემის დროს, იცავდა კანონს მაღაროებში 8 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

„კლასიური ბრძოლა, განაგრძო ჩერჩილმა, რომელმაც, უდავოა, დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის სამრეწველო ცხოვრებას, ხოლო ტანჯვა — ყველას, გაძლიერდა რუსული გავლენის შედეგად, ეს გარემოება არ წარმოადგენს საიდუმლოებას. ეხლა კუკი თვითვე გაემგზავრა თავის მიღწევების ანგარიშის ჩასაბარებლად. ჩემის აზრით საზოგადოებრივი აზრი, იმიტომაა გამწვავებული, რომ დაშვებულ იქნა უცხოელ ელემენტების ჩარევა ბრძოლაში".

ოპოზიციის ახალი ფანდი

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ოპოზიციამ, რომელმაც სრული დამარცხება განიცადა მე-15 კონფერენციაზე, გუშინ სცადა საერთაშორისო ასპარეზზე გამოეტანა ის, რაც ანსხვავებს მის ხაზს პარტიის ხაზიდან. თუმცა ზინოვიევმა თავისი სიტყვის დასაწყისში განაცხადა, რომ ის მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა აპელიაციას არ ახდენს კომინტერნის წინაშე, მაგრამ ეს იყო თვალთმაქცური ფრაზა, რასაც პლენუმი სიცილით შეხვდა. თუ აპელიაცია მიზნათ არ გაქვს, რა საჭიროა გამოსვლა? ამაზე ზინოვიევმა არ მოისურვა პასუხის გაცემა, თუმცა მეტად საჭირო იყო ამ სრულებით არა ფორმალურ საკითხის გარკვევა. ზინოვიევმა შეალამაზა ის, რაც მან მე-15-ე პარტყრილობაზე სთქვა და კიდევ უფრო გააბუნდოვანა უკვე საკმაოდ გამორკვეული საკითხები. ზინოვიევმა საუკეთესო მედავითნეობა გამოიჩინა. თავგამოდებით, რაც უკეთესი გამოყენების ღირსია, ის ციტატის ციტატაზე აბამდა და შემოდგომის წვიმასავით მოსაწყენად იმეორებდა, რომ ის არის ჭეშმარიტი მარქსისტი, ჭეშმარიტი ლენინელი, ჭეშმარიტი რევოლიუციონერი და სხვ.

ჩვენმა პარტიამ უკვე იცის „ციტატების მოყვანის" ოპოზიციური მანევრი,—მაგრამ ეხლა საქმე ამაში როდია. განზე, რომ დავტოვოთ ჩვენი პარტიის მიერ გადაჭრილი პრობლემები და დავეკითხოთ თავის თავს, რაში მდგომარეობს ოპოზიციის გამოსვლის პოლიტიკური აზრი, უნდა ვსთქვათ,—ეს არის ყველა ოპოზიციონურ და საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ ნახევრად მტრულად განწყობილ ელემენტებისათვის საერთაშორისო პლატფორმის შექმნის ცდა, ეს არის კომინტერნის რიგებიდან გაძევებულ მასლოვის, ურბანსის და კომპ. გამოძახება, ეს არის ბრძოლის ყიჟინა, რომლის აზრი მარტივია.—ოპოზიციონერებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

რისთვის და ვის წინააღმდეგ—აი საკითხი, რომელიც ინტერეს მოკლებული არ არის მთელი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისათვის. რისთვის? იმისათვის, რომ ლენინიზმში საკუთარი შესწორებები შეიტანონ და დასთესონ ეჭვი და უნდობლობა იმ მუშათა კლასის პოლიტიკურ ძალებისადმი, რომელიც მიუხედავად სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, აშენებს სოციალიზმს.

ვის წინააღმდეგ არის მიმართული ჩვენი ოპოზიციის ეს ბრძოლის ყიჟინა? ის მიმართულია მე-14-ე ყრილობის და მე-15 კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, ის მიმართულია მთელი ჩვენი პარტიის და მთელი კომინტერნის წინააღმდეგ.

ამრიგად, ზინოვიევი, რომელიც სიტყვით უარს ამბობს ფრაქციულ ბრძოლაზე, საქმით ცდილობს მის განგრძობას; იქნებ ის ფიქრობს, რომ საერთაშორისო პლატფორმის შემუშავებას ოპოზიციისათვის, კომინტერნიდან ნახევრად გამორიცხულ სხვადასხვა ელემენტების ერთ ანტიკომუნისტურ არმიაში გაერთიანების ცდა, ეს ნიშნავს პარტიული დისციპლინისადმი დამორჩილებას. საკმარისია ზინოვიევის გამოსვლა შევადაროთ ოპოზიციის 16 ოქტომბრის ცნობილ დოკუმენტს, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად განირჩევა ოპოზიციის სიტყვები და დაპირებები მისი საქმისაგან.

მოსკოვი, 9 დეკემბერი.

სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგება

სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგებას ჩვენში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. ისევე, როგორც სამრეწველო მუშების ერთი ჯგუფისადმი. სპეციალისტებისათვის ჩვენ გვაქვს მათი სამუშაო ხელფასის მოწესრიგების მტკიცე პრინციპები.

ამჟამად ხდება სამუშაო ხელფასის იმ სპეციალურ ფონდების გადასინჯვა, რომელნიც ეძლევა ცალკე დაწესებულებებს და წარმოებებს 26—27 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევრისათვის სპეციალისტების ხელფასის გასასტუმრებლად.

სპეციალურ ფონდების ასეთი განსაზღვრა წარმოადგენს სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგების გამოსავალ წერტილს, ვინაიდან მათი ხელფასის გასტუმრებას ცალკე წარმოებებში ან და დაწესებულებებში საფუძვლად ედება დამტკიცებულ ფონდის რაოდენობა.

პრაქტიკაში ძალიან ხშირია პრინციპებისა და კანონმდებლობისაგან გადახვევა, როგორც წარმოება-დაწესებულებების მეთაურების, ისე თვით სპეციალისტების მხრით: არც ერთი, არც მეორე ნორმალურად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ერთ შემთხვევაში ეს საზარალოა მეურნეობისათვის, მეორე შემთხვევაში კი—ცალკე პირების (სპეციალისტების) ინტერესებს ლახავს.

ყველა ორგანიზაციები არ ადგენენ თავის დროზე და დაწესებულ ფორმით მოთხოვნილებებს სპეციალურ ფონდზე და აგრეთვე ცნობებს ამ ფონდის დახარჯვის შესახებ, რაც აძნელებს სპეციალისტების ფაქტიური ხელფასის გასტუმრების გამორკვევას და აგრეთვე აფერხებს ფონდის განსაზღვრას მომავლისათვის.

გარდა ამისა, უკვე დამტკიცებულ ფონდის მიღების შემდეგ ეს უკანასკნელი განაწილებული უნდა იქნეს სპეციალისტებს შორის თვითეულ სპეციალისტთა შეთანხმებით ცალ-ცალკე. ეს შეთანხმება შედგენილი ხელშეკრულების ფორმით უნდა წარედგინოს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს რეგისტრაციაში გასატარებლად. ხელშეკრულება და მისი რეგისტრაცია არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ აქტს.

კანონმდებლობა სავალდებულოდ სთვლის ხელშეკრულებების დადებას ადმინისტრაციასა და სპეციალისტებს შორის და ამ ხელშეკრულებათა რეგისტრაციას იმ მიზნით, რომ სპეციალისტების სამუშაო ხელფასი სწორად და მიზანშეწონილად იქნეს მოწესრიგებული. ამ შეთანხმებებში ისეთ მუხლებს ადგილი არ ექნეს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას შრომის შესახებ. სინამდვილეში კი ბევრი სამეურნეო ორგანო არ სდებს ხელშეკრულებას, ხოლო თუ სდებს რეგისტრაციაში არ ატარებს მათ, რითაც მუშაობას უძნელებს სპეციალისტების ხელფასის მომწესრიგებელ ორგანოებს.

მეორე მხრით, არა ნორმალურია თვით იმ სპეციალისტების დამოკიდებულება, რომელნიც არ სდებენ ხელშეკრულებებს, ვინაიდან კანონმდებლობა ამ მხრივ პირდაპირ დაქირავებულს ესარჩლება; შეთანხმების მთავარი მიზანია დაქირავების პირობების სწორი ფიქსაცია. (სამუშაო ხელფასი, სამუშაო დრო და სხ.).

ჩვენ აქ არ შეგვიძლია შევჩერდეთ ყველა იმ არანორმალურ მოვლენებზე, რომელთაც ადგილი აქვთ; ჩვენ აღვნიშნეთ ძირითადი ნაკლულევანებანი მომავალ საბიუჯეტო წლისათვის. სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელმა პირებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა ეს არანორმალური მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა სპეციალისტების ხელფასის გასტუმრების დარგში, აღმოფხვრილ იქნეს, რაც შემდეგში შესაძლებელს გახდის სპეციალისტების ხელფასის გასტუმრების საქმის სწორად დაყენებას.

სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგების სისტემა, სპეციალურ ფონდების სისტემა, რასაც ადგილი აქვს ამჟამად ჩვენში, ვერ ჩაითვლება სრულყოფილად.

ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნაკლულოვანებებისა, მაგრამ ჩვენ ვიწყებთ სპეციალისტების ხელფასის მოწესრიგებას, რისთვისაც დაწესებულებებში შემოღებული იქნება სპეციალური სატარიფო ქსელი სპეციალისტებისათვის.

მაშასადამე, კანონით გათვალისწინებულ დებულებათა შესრულება როდი წარმოადგენს უბრალო ფორმალობას, მას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ მუშაკების ისეთ მნიშვნელოვან და საჭირო რაზმის სამუშაო ხელფასის მოწესრიგება, როგორსაც სპეციალისტები წარმოადგენენ.

ი. ილიაძე.

საიმპერიო კონფერენცია

(წერილი ინგლისიდან)

იმპერიის შინაურ ურთიერთობათა კომიტეტის მოხსენება, რომელიც მიიღო საიმპერიო კონფერენციამ და იქმნა გამოქვეყნებული, გვიჩვენებს, რომ კონფერენციამ ვერ მიაღწია ვერავითარ შედეგს.

საიმპერიო კონფერენციამ მხოლოდ დაადასტურა არსებული მდგომარეობა. მან ვერ მოახერხა ბრიტანეთის იმპერიის კონსტიტუციაში არსებულ სიძნელეთა დაძლევა, ვერ მოახერხა იმ ნაპრალების ამოვსება, რომლებიც იმპერიის შინაურ ურთიერთობაში არსებობენ, და რომლებიც საგრძნობლად გაიზარდენ უკანასკნელი წლების განმავლობაში. მან ვერ მოახერხა მდგომარეობის თუნდაც დროებით გამოსწორება.

იმპერიალისტური პრესა იძულებულია კმაყოფილება გამოსთქვას არა კონფერენციის შედეგებით, არამედ კონფერენციის წევრთა მიმართ, რომელთაც კეთილ ინებეს და მონაწილეობა მიიღეს ამ გრძელ გულმოდგინეთ და წინდახედულად შედგენილ დოკუმენტის შემუშავებაში.

მაინც გამოქვეყნებული დოკუმენტი მნიშვნელობას მოკლებული არ არის. ის არ მოასწავებს იმპერიის გაძლიერების დასაწყისს, პირიქით ის გვიჩვენებს, თუმც არა ცხადად და გარკვევით, იმ წინააღმდეგობათ, რომლებიც აშორებენ იმპერიის ნაწილებს ერთმანეთისაგან და რომელთა მიჩქმალვას ლამობენ ბრიტანეთის გვირგვინის ქვეშ.

განა კანადის მისწრაფება ჩრდილო ამერიკასთან გაერთიანებისაკენ ან და სამხრეთ აფრიკის სეპარატიული მიდრეკილებანი მოისპობა იმით, რომ მათმა პრემიერ მინისტრებმა აღიარეს ის გარემოება, რომ ინგლისის მეფე რჩება დიდი ბრიტანეთის და დომინიონების შემაკავშირებელ ნიშნად? ამის თქმა ბავშვობა იქნებოდა და თვით გაზ. „მორნინგ პოსტიც" იძულებულია მოიშველიოს მოძველებული ფორმულა „მეფისაგან მომდინარეობს თქვენი ავტორიტეტი, მას უნდა მისცეთ თქვენ ერთგულების ფიცი"-ო.

კონფერენცია წინდახედულად მოიქცა, რომ არ შეეხო ბრიტანეთის კონსტიტუციის საკითხს.

მან სცნო და მიიღო უკვე არსებული მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ **დომინიონები (და თვით ინგლისიც) შეადგენენ ავტონომიურ ერთეულებს, შემავალი ბრიტანეთის იმპერიაში თანასწორობის პრინციპის მიხედვით. არც ერთი არ ექვემდებარება მეორეს არც საშინაო არც საგარეო საქმეებში.**

ყველაფერი ეს აღიარებულია მხოლოდ პრინციპიალურად უკვე საკმაოდ ძლიერ და ფინანსიურად უკვე დამოუკიდებელ დომინიონების (კანადა და სამხრეთ-აფრიკის კავშირი) დასაკმაყოფილებლად; მათ არსებითად უკვე გააჩნიათ საკუთარი ავტონომია, თვით ბრიტანეთის იმპერიის გარეშე.

„თვითეული დომინიონი თვითონ სწყვეტს საკითხს თავის თანამშრომლობის ხასიათისა და ფარგლების შესახებ".

მაგრამ ეს პრინციპი არ ვრცელდება ინდოეთზე, რომლის მართვას განაგრძობს ინგლისი. ინდოეთის მონაწილეობა კონფერენციაში იყო უბრალო ფარსი, რადგან მისი სახელით კონფერენციაზე მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი ბირკენჰედი გამოდიოდა. კონფერენციამ გვერდი აუხვია ნამდვილ პრობლემებს შინასაიმპერიო ურთიერთობის შესახებ. მათი გადაწყვეტა გადაიდო „შორეულ მომავლისათვის". ეს იმ მიზეზის გამო, რომ არ გამოაშკარავებულიყო ინგლისსა და დომინიონებს შორის არსებული მწვავე წინააღმდეგობანი.

ერთგვარ დათმობაზე წავიდა კონფერენცია იმ პოზიციისადმი, რომელიც ამას წინად დაიჭირეს კანადის მმართველებმა. ამიერიდან კანადის მმართველები იქნებიან მხოლოდ მეფის „დეკორატიული წარმომადგენლები". დომინიონების პარლამენტებს აქვთ კანონების გამოცემის განუსაზღვრელი უფლება. არც ერთი კანონი, რომელიც შეეხება დომინიონს არ შეიძლება გამოიცეს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

თვით საგარეო პოლიტიკის პრობლემები, რომლებმაც ამას წინად დიდი გართულება გამოიწვია, ვერ გადაწყდა იმგვარად, რომ ეს კონფლიქტები მომავალში მაინც თავიდან იქმნეს აცილებული. აქაც კონფერენცია იძულებული იყო ეცნო უკვე არსებული მდგომარეობა. კონფერენციამ აღიარა, რომ თვითეულ დომინიონს აქვს უფლება საკითხის გადაჭრისას მხედველობაში მიიღოს თავისი კერძო ინტერესი.

მაგრამ ინგლისის მთავრობა შეეცადა თავის ხელში ჩაეგდო საიმპერიო საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა, „საერთო ინტერესის მქონე საქმეებისათვის". „კონფერენცია აღიარებს, რომ ამ სფეროში, ისე როგორც თავდაცვის საქმეში, პასუხისმგებლობის უდიდესი ნაწილი დღეს და რამოდენიმე ხნის განმავლობაში უნდა დარჩეს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხელში". მაგრამ უფრო ქვევით მოხსენება დასძენს, რომ არც ინგლისს და არც დომინიონებს არ შეიძლება თავზე მოახვიონ რაიმე ვალდებულება მათ მთავრობათა თანხმობის გარეშე.

ეს არის ის წინააღმდეგობა ან, უკეთ რომ ვთქვათ, ის დიპლომატიური ხრიკები, რომლებიც აუცილებლად გამოიწვევენ მომავალში კონფლიქტებს. ბოლოს და ბოლოს მთელი ეს დოკუმენტი არის ამ ათასგვარ ხრიკების კრებული, რომლის მიზანია მიჩქმალოს იმპერიის ნამდვილი ვითარება. ჩვენ არ შევჩერდებით ამ დოკუმენტში უხვად ჩართულ „თავისუფლების იდეალებზე" „იმპერიის ხალხთა თავისუფლებაზე" „თავისუფალ დაწესებულებებზე" და სხვადასხვა.

ინდოეთის მაგალითი, საგანგებოდ მოყვანილ მოხსენებაში, საკმარისია ამ ფრაზების ნამდვილი ღირებულების გამოსარკვევად. მაგრამ ასევე სდგას ეგვიპტეს, სუდანის და ყველა დანარჩენ კოლონიების, პროტექტორატების და სამანდატო ქვეყნების საკითხი.

კონფერენციამ, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა, ვერ შეიმუშავა ვერავითარი პოლიტიკა მომავლისათვის, ასე ამბობს თვით გაზ. „ტაიმს"-ი. განა ეს იყო მისი მიზანი? ცხადია, არა. მაგრამ მეტის გაკეთება მას არ შეეძლო.

„ამ ნიჭიერად შედგენილ მოხსენებაში არ არის იმის ნიშნები, რომ იმპერიას მოელის უშუალო დაცემის (დეკადანსის) საფრთხე"—ასე სწერს გაზეთი „დეილი ნიუზ".

ბრიტანეთის იმპერიის პრემიერ მინისტრები, უკეთესის უქონლობის გამო, იძულებული არიან ამითაც დაკმაყოფილდენ.

წაინცა და მაინც ვერაფერი დიდი ნუგეშია!

ვ. დავიდ.

ლონდონი, 25 ნოემბერი.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა

წარსულის გაკვეთილები

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ახლო მომავალში დაიწყება საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანია. ამ კამპანიის დროს სასარგებლოა და აუცილებელია გავითვალისწინოთ წინანდელი არჩევნების გაკვეთილები. გასული წლის არჩევნებმა, რომლებშიც საერთოდ ფართე გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა დემოკრატიის პრინციპმა, ძალიან შეუწყო ხელი საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას, მშრომელ მასების პოლიტიკურ აქტივობის ზრდას და ამ აქტივობის მოქცევას საბჭოთა კალაპოტში. ამ არჩევნებმა გლეხობა უფრო მჭიდროთ დაუახლოვა პარტიას. მეორე მხრივ წარსულ არჩევნებს აქა-იქ ახასიათებდა მთელი რიგი ცალკე ნაკლულევანებანი. გაზ. „**ბედნოტა**" ჩამოთვლის მათგან უმთავრესებს:

„1) ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ზოგიერთმა უჯრედმა ახალი კურსი გაიგეს, ისე თითქოს საჭირო ყოფილიყოს არჩევნებისაგან განშორება და განზე გადგომა. ეს შეცდომაა. საბჭოთა დემოკრატიის გატარება ნიშნავს პროლეტარულ ხელმძღვანელობის არა შესუსტებას, არამედ გაძლიერებას, ე. ი. არჩევნებზე კულაკურ გავლენასთან ბრძოლის გაძლიერებას. ამავე დროს თამამად უნდა იქნენ წამოყენებული უპარტიო მოწინავე ელემენტები, რომელთაც თავისი საზოგადოებრივი ყოფაქცევით დაამტკიცეს მასსებისა და ღარიბ გლეხობის ინტერესებისადმი ერთგულება. კულაკურ გავლენასთან იდეურ ბრძოლაში კომუნისტები წინ უნდა იყვნენ, და არა განზე იდგენ. 2) მთელ რიგ შემთხვევაში საარჩევნო უფლებების მინიჭებას ძალიან გაფართოებულად განმარტავდენ, და ამის გამოყენებას პირველ რიგში კულაკები ცდილობდენ. კონსტიტუციის ნორმები ამ მხრივ ზედმიწევნით უნდა იქნას დაცული. ახალი საარჩევნო ინსტრუქცია ითვალისწინებს გასულ წელში ჩადენილ შეცდომებს და ამ საგანზე იძლევა საჭირო მითითებებს. 3) პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელ რიგ ადგილას ვერ გამოიჩინეს ინიციატივა ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეთა ორგანიზაციის საქმეში. ისინი არ ცდილან აეწიათ მათი აქტივობა და დახმარებოდენ მათი შეკავშირებული ნებისყოფის და გავლენის გატარებას არჩევნებში. 4) ცუდათ ჩატარებულმა საანგარიშო კამპანიამ ზოგ ალაგას არჩევნები უბრალო საარჩევნო მექანიკად აქცია და ამას არავითარი კვალი არ დაუტოვებია სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო სწორად რომ ვსთქვათ: რჩებოდა უარყოფითი კვალი, რამდენადაც ეს არყევდა საბჭოების გამოცოცხლებისა და მშენებლობაში მასების ჩაყოლების იდეისადმი ნდობას".

მომავალ საარჩევნო კამპანიაში ამ ნაკლულოვანებებს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მათი აცილება საბჭოების შემდგომი გამოცოცხლების უტყუარი საწინდარი იქნება.

უცხოეთის

სოციალ - დემოკრატების აგან კომუნისტებისაკენ

რამდენიც არ უნდა ითაღლითონ სოციალ-დემოკრატებმა, „სიტყვიერების" კორიანტელში ვერ გახვევენ ისინი იმ ფაქტს, რომ მუშები და განსაკუთრებით სამრეწველო მუშები იძვრიან მარჯვენიდან მარცხნით, სოციალ-დემოკრატებისაგან კომუნისტებისაკენ. ეს გამოაშკარავდა საქსონიის ლანდტაგის არჩევნების დროს და იგივე განმეორდა ბადენში. სოციალ-დემოკრატების ცენტრალური ორგანო „ფორვერტს"-ი სცდილობს მიჩქმალოს ეს ფაქტი, როდესაც ის ეკამათება კომუნისტებს, მაგრამ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ დაიმოწმონ „ფორვერტსი"-ს წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებისვე დიდი გაზეთი „ლეიპციგის სახალხო გაზეთი", რომელიც ერთი ცნობილი სოციალ-დემოკრატის, ალბერტ ჰოფმანის პირით აღიარებს შემდეგს (19 ნოემბერი):

„უნდა ითქვას დაბოლოს აშკარათ, რომ ჩვენ დავმარცხდით. საჭიროა მივუთითოთ ასეთი დიდი ქალაქების მაგალითზე, როგორიცაა არიან მანჰეიმი, პფორცჰაიმი და კარლსრუჰე, სადაც ჩვენ საკმაოთ ბევრი ხმები და მანდატები დავკარგეთ. სწორეთ ამ ქალაქებშია თავმოყრილი სამრეწველო პროლეტარიატი და ამიტომ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ზოგადი სიტყვებით იმის შესახებ, რომ ეს მუშები ენერგიულ მონაწილეობას არ იღებდენ არჩევნებში. რასაკვირველია, იმათ შორის, ვინც მონაწილეობას არ იღებდა არჩევნებში, მუშებიც იყვნენ, მაგრამ არ არის საიდუმლო ის ფაქტიც, რომ ბევრი ჩვენი ყოფილი **ამომრჩევლები კომუნისტებისკენ გადავიდენ ამ არჩევნების დროს.** არ არის საიდუმლო—და ეს სამწუხარო მოვლენა უნდა იქნეს აღნიშნული,—რომ უამრავ ადგილებში jn zahllosen ozten მუშებს არ სურთ გამოსვლა და ბრძოლა სოციალ - დემოკრატიის დროშის ქვეშ.

საჭიროა ამიტომ მეტი ყურადღება მიექცეს მომავალში აღმზრდელობითი მუშაობას მასებში, რათა სიტყვა „სოციალ-დემოკრატია" იწვევდეს მათში აღფრთოვანებას. არ ვარგა, როდესაც ჩვენ მხოლოთ საარჩევნო დამარცხების შემდეგ ვიწყებთ ხოლმე ყვირილს იმაზე, რომ მუშები ენერგიულად არ ჩაერიენ საარჩევნო ბრძოლაში და ჩვენი ხმები კომუნისტებს ერგო. ჩვენ უფრო ღრმა გავიმსჭვალოთ სოციალ - დემოკრატიული შეხედულებებით და დავაღწიოთ თავი ბურჟუაზიული გავლენისაგან".

როგორც მკითხველი ხედავს „ლეიპციგის სახალხო გაზეთი", ერთი ხელმძღვანელ ორგანოთაგანი გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა, აღნიშნავს—და ეს ხდება „ფორვერტსი"-ს წინააღმდეგ,—რომ მუშები სცილდებიან სოციალ-დემოკრატიას, გადადიან კომუნისტებისაკენ, რომ სიტყვა „სოციალ-დემოკრატი" აღარ იწვევს მუშებში „აღფრთოვანებას" და ეს ხდება იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატია მოექცა ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ.

ამას ამბობს, ვიმეორებთ, სოციალ-დემოკრატიული გაზეთი სოციალ-დემოკრატების შესახებ. მაგრამ საკითხავი ის არის, რაღა დარჩება დღევანდელი სოციალ-დემოკრატიისაგან, რომ მან მართლა როდისმე დააღწიოს თავი ბურჟუაზიის გავლენას.

ტყუილად ოცნებობენ „ლეიპციგელე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

პროფკავშირების წინააღმდეგ

ლონდონი, 9 დეკემბერი. 8 დეკემბერს მთავრობამ განიხილა პროფკავშირების შესახებ კანონის შეცვლის წინასწარი კანონპროექტი.

„მორნინგ პოსტის" პოლიტიკური კორესპონდენტის ცნობით, ხმები დადის, რომ მთავრობის წევრებში შიშობენ ამით არ გამოიწვიონ მუშების ახალი მღელვარებანი. კანონპროექტი, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შორსაა კონსერვატორების კონფერენციაზე გამოთქმული სურვილებიდან — პროფკავშირთათვის უფლებების შეკვეცის შესახებ.

ბარბიუსის პროტესტი

ვენა, 9 დეკემბერი. **ბარბიუსმა ომის ინვალიდთა ინტერნაციონალის სახელით კანცლერ ზეიპელს გაუგზავნა სასტიკი პროტესტი ვენაში გამართულ ინვალიდთა დემონსტრაციის გარეკისა და პოლიციის მიერ ინვალიდების დაპატიმრების წინააღმდეგ.** (ადს).

სამთა-მადნო მუშები

ჩეხო-სლოვაკიაში

ხელფასის გადიდებას მოითხოვენ

პრაგა, 8 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის სამთა-მადნო მუშათა კონფერენციამ **კვლავ დაადასტურა მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ და დაადგინა, რომ სამთამადნო მუშები ყველა პროფორგანიზაციები სამუშაო ხელფასის საკითხში უნდა გამოვიდენ მთლიანი ფრონტით.** (ადს).

საპროტესტო მიტინგები

მიტინგები რუმინეთში

ვენა, 8 დეკემბერი. მთელს რუმინეთში იმართება მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები ოხრანკის მიერ უნიტარულ პროფკავშირების დევნის და აგრეთვე ამ პროფკავშირების წევრების დაპატიმრების და წამების წინააღმდეგ. დაპატიმრებულთა წამებით ოხრანკა ცდილობდა ჩამოერთმია მათთვის ისეთი ჩვენებები, რომლებიც ჩირქს სცხებდენ პროფკავშირთა ბელადებს, რათა ამ გზით აღმოეჩინათ „უნიტარულ პროფკავშირების შეთქმულება" და კანონს გარეშე გამოეცხადებინათ პროფკავშირები. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირთა ყრილობა

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. 8 დეკემბერს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე კამათში ამხ. ტომსკის მოხსენების გარშემო გამოვიდა ამხ. ყურულაშვილი, რომელმაც განაცხადა:

„ამიერ-კავკასიის დელეგაციების სახელით მე აქ უნდა აღვნიშნო, რომ პროფკავშირთა მეექვსე ყრილობის შემდეგ პროფკავშირთა მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი—მუშაობა ნაციონალურ რესპუბლიკებში—გაცილებით უკეთ არის დაყენებული. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს და აგრეთვე პროფკავშირების ცალკე ცენტრ. კომიტეტების ხაზი ხელს უწყობდა ნაციონალურ რესპუბლიკების პროფკავშირების გამოცოცხლებას, რომელთა მუშაობა, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს და ცალკე ცენტრალური კომიტეტების ფხიზელ დამოკიდებულების მეოხებით, მიუხედავათ მთელი სიძნელისა, მნიშვნელოვანად გაიზარდა და წინ წავიდა.

ტომსკი აქ ლაპარაკობდა ფედერალიზმის შესახებ. ჩვენ გადაჭრით გამოვდივართ ყოველგვარი ფედერალიზმის წინააღმდეგ პროფმოძრაობაში. მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ ფედერალიზმის წარმოშობა შეუძლია მხოლოდ ბიუროკრატიულ მიდგომას ცენტრის მხრივ არასწორად აღებულ ხაზს, ზოგიერთ ნაკლს მუშაობაში, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინად. მთელი ჩვენი ხაზი მიმართული უნდა იქნეს, იქითკენ. რათა გვქონდეს მთლიანი პროფკავშირი, როგორც ცალკე კავშირების ხაზით, ისე საკავშირთაშორისო გაერთიანებების ხაზით. ცენტრმა უნდა გაიგოს, რომ მუშაობაში ერთნაირად მიდგომა ცალკე გუბერნიებისა და ეროვნულ რესპუბლიკებისადმი არ შეიძლება. აიღეთ საფინანსო ურთი-ერთობის საკითხი: გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი სირთულე ნაციონალურ რესპუბლიკებში მუშაობის,რომელიც სწარმოებს რამოდენიმე ენაზე, რის გამო აპარატი გაცილებით უფრო ძვირი ჯდება. საჭიროა ეს მხედველობაში ვიქონიოთ.

გარდა ამისა, თუ ცენტრში შეიძლება დახშულ იქნეს საკითხი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, ნაციონალურ რესპუბლიკებისათვის ეს საკითხი უდიდეს მნიშვნელობას ღებულობს, რადგან ბეჭდვითი სიტყვის გარეშე ჩვენი მუშაობა წარმოუდგენელია. საგამომცემლო მუშაობას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან აღზრდა ეროვნულ ენაზე შეიძლება მოხდეს მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, ხოლო სკოლის საშუალებით, ჩვენ არ ძალგვიძს ამის განხორციელება.

მე უნდა შევეხო საკითხს საკონცესიო წარმოებებში მუშაობის შესახებ. კონცესიონერები ცდილობენ რომ უშუალოდ, მათ კი არ მოაწყონ წარმოება, არამედ იმუშაონ მოიჯარადრეების საშუალებით. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით კონცესიონერები პასუხს აგებენ მოიჯარადრეების მუშაობისათვის, თუ მოიჯარადრე არ იხდის სამუშაო ხელფასს, ის უნდა გადაიხადოს კონცესიონერმა.

ჩვენ გვაქვს შავი-ქვის დიდი კონცესია, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ის პასუხისმგებელია არა მარტო თავის თავის, არამედ აგრეთვე მოიჯარადრეებისათვისაც, მაგრამ როცა ჩვენ მივმართეთ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს იურიდიულ განყოფილებას, ჩვენ გვითხრეს, რომ კონცესიონერები მოიჯარადრეების მაგიერ პასუხს არ აგებენ. ასეთი მიდგომა ცენტრალურ ორგანოების მხრივ, რომლებმაც სწორად უნდა განმარტონ ჩვენი კანონმდებლობა, წარმოუდგენელია. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს იურიდიული განყოფილების მუშაობას.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ჩვენს ადგილობრივ საერთო საკითხებზე, იმაზე, რომ კავშირში უნდა იქნენ მიღებული ახალგაზრდები მხოლოდ 16 წლის ზევით. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ხაზი უსათუოდ გადასინჯული უნდა იქნეს. ამას მოითხოვს ცხოვრება. თუ ჩვენ მივიღებთ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წინადადება, საბაბს მივსცემთ დასავლეთევროპის რეფორმისტებს, რომ მათ არ მიიღონ პროფკავშირში ახალგაზრდობის ყველაზე რევოლიუციონური ნაწილი. (ტაში).

ყრილობის დღიური

მოსკოვი, 9 დეკემბერი. პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის 8 დეკემბრის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ტომსკის და დოგადოვის მოხსენებების გარშემო.

კამათში ჩაეწერა დაახლოვებით 200 დელეგატი. გამოსული ორატორები აღნიშნავენ საგრძნობ მიღწევებს პროფკავშირების მუშაობაში გასული ორი წლის განმავლობაში და მიუთითებენ მთელ რიგ ღონისძიებებზე, რომლითაც გაუმჯობესებული იქნება ეს მუშაობა ადგილებზე მიღებულ გამოცდილებებზე დამყარებით. ორატორების მეტი ნაწილი ლაპარაკობს უმთავრესად სატარიფო, ეკონომიურ და ორგანიზაციულ საკითხებზე.

8 დეკემბრის დილის სხდომაზე 32 ორატორმა ილაპარაკა. (ადს).

ყრილობის შემადგენლობა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე 8 დეკემბრამდე რეგისტრაციაში გატარდა 1291 დელეგატი, მათ შორის 1071 გადამწყვეტი ხმით, დანარჩენები სათათბიროთი. ყრილობას დაესწრო უცხოეთის პროფორგანიზაციების 10 წარმომადგენელი. (ადს).

9 დეკემბრის დილის სხდომა

კამათი

ამხ. ტომსკისა და დოგადოვის მოხსენებათა გარშემო

მოსკოვი, 9 დეკემბერი. 9 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ტომსკისა და დოგადოვის მოხსენებათა გარშემო. კამათში ჩაეწერენ უმთავრესად ადგილებიდან ჩამოსული დელეგატები, რომელთაგან თავისი აზრი უკვე გამოსთქვა 74 ორატორმა.

ურალის წარმომადგენელი **ამხ. შადრინი** ჩერდება საურთიერთო დამხმარე სალაროების მუშაობაზე და აღნიშნავს. რომ საურთიერთო დამხმარე სალაროები ამჟამად განიცდიან კრიზისს, რაც ორატორის აზრით, იმითა გამოწვეული, რომ მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები არ შედიან სალაროების წევრებად.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. შადრინს შეაქვს წინადადება ურთიერთ დამხმარე და შემნახველ - გამსესხებელ სალაროების რეორგანიზაციის შესახებ იმ პირობით, რომ მათ „მეახშეობა არ დაიწყონ“. გაცემული სესხის პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს 1—2 პროცენტს.

ამხ. ისაევი (ჩრდილო-კავკასია) ასურათებს მოჯამაგირე ქალთა და ვაჟთა შრომის მძიმე პირობებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთ - კავკასიის თამბაქოს პლანტაციებზე და ამბობს, რომ აქ მოჯამაგირენი ითვლებიან სეზონის მუშებათ და მათი დათხოვნა სამუშაოდან მოსალოდნელია ყოველ დროს. ავადმყოფობის შემთხვევაში ასეთი მოჯამაგირენი არავითარ დახმარებას არ ღებულობენ. ვინაიდან ისინი არ არიან დაზღვეულები. ხელფასი მცირე აქვთ—საშუალოთ 12 მანეთი თვეში.

მოჯამაგირეთა მდგომარეობას ეხება აგრეთვე ამხ. კაზაკოვი (სას. სამ. მუშაკთა კავშირის ცეკა).ორატორი ამბობს. რომ მთელი პროფმოძრაობის წინაშე უნდა დადგეს საკითხი სოფლის მუშებში მუშაობის წარმოების შესახებ. აქედან გამომდინარეობს იმ კავშირის აპარატის განმტკიცების საჭიროება, რომელსაც დაევალებული ექნება ამ მუშაობის ჩატარება.

სოციალურ დაზღვევის საქმეს ეხებიან მრავალი ორატორები. ყველანი გამოსთქვამენ შიშს, რომ დასასვენებელ სახლების სოც-დაზღვევის ორგანოებზე გადასვლით მუშების საკურორტო - სასანიტარო მკურნალობა შესამჩნევათ იქნება შემცირებული.

ამხ. სოლოვიოვი (ხარკოვი) მოუწოდებს ყრილობას მისცეს ახალ საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს წინადადება, რომ დასასვენებელ სახლების რიცხვი არ იქნეს შემცირებული.

ყაზახისტანის მოჯამაგირეთა შრომის პირობების შესახებ გამოდის **ტალაბაევი.**

ახალგაზრდობის პროფესიონალური აღზრდის შესახებ სიტყვას ამბობს ახალგაზრდობის წარმომადგენელი **გორელოვი** (მოსკოვი).

მუხამედოვი (თურქმენისტანი) მიაქცევს ყრილობის ყურადღებას ეროვნულ რესპუბლიკებში სამრეწველო პროლეტარიატის მომზადების საჭიროებისაკენ.

კამათი დასასრულს გამოდის ნეკრასოვი (ორლოვის გუბერნია), რომელიც აღნიშნავს პროფესიონალურ მუშაობის წარმოების სიძნელეს სოფლად.

ამით იხურება დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

ამხ. ტომსკის საბოლოო სიტყვა

ყრილობის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ტომსკი.

ამხ. ტომსკი თავის სიტყვას იწყებს იქედან, რომ საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მოხსენება არ იყო ყველა საკითხების შემცველი და სრული, ვინაიდან ჩვენს სინამდვილეში საკითხები ძალიან ბევრია, ხოლო მათი ერთ მოხსენებაში თავმოყრა ძნელი საქმეა.

აქედან ორატორის აზრით, გამომდინარეობს ზოგიერთი დელეგატების უსაფუძვლო განცხადებანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშა-ქალთა წარმომადგენლების მხრივ.

საკავშირო პროფკავშირთა საბჭო თავის მუშაობის დროს ანგარიშს უწევდა მთელ მუშათა მასას და ამ მასიდან არ ანცალკევებდა მუშა-ახალგაზრდობას და მუშა-ქალებს.

მუშათა კლასის ძალები განვითარებულ უნდა იქნას თანაბრათ. არაა დასაშვები, რომ პროლეტარიატის ერთი ნაწილი ჩამორჩეს, ხოლო მეორე ნაწილი კი წინ წავიდეს განვითარების გზით. არაა მართალი თითქოს პროფესიონალური ორგანიზაციები ეკუთვნოდენ... (გამოტოვებულია). საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს. არა ერთხელ მიუთითებია პროფორგანიზაციებისათვის ახალგაზრდათა შორის მუშაობის მნიშვნელობაზე. თქმა, რომ თითქოს საკავშირო პროფკავშირთა საბჭო არ აქცევდა ყურადღებას უმუშევრობის საკითხებს—მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ეს საკითხი ირჩეოდა უკანასკნელ პლენუმზედაც და საამისოდ გამოყოფილ ცალკე კომისიაშიც.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. ტომსკი ამბობს:—ყრილობამ დიდ, აღნიშნა ჩვენი შეცდომები, მაგრამ ყრილობა იტყვის აგრეთვე იმას, რომ საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ შესრულა ყველაფერი ის, რაც მას შეეძლო, ან საზოგადოთ შესაძლებელი იყო არსებულ პირობებში, რომ შევესრულებია ილიჩის ლოზუნგი: „პროფკავშირებო, ახლოს მასებთან“!

ამხ. ტომსკის უკანასკნელი სიტყვები იფარება ტაშით.

ამხ. ტომსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ, ამხ. ყურულიშვილს, ლენინგრადის. მოსკოვისა და ამიერ-კავკასიის დელეგაციების სახელით შეაქვს წინადადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ საკავშირო პროფკავშირთა მე-7 ყრილობამ, მოისმინა რა საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენება, მე-6-7 ყრილობების შუა პერიოდში პროფკავშირების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ **სავსებით სწორად სთვლის საკავშირო პროფსაბჭოს საერთო მიმართულებას** და პოლიტიკურ ხაზს და იწონებს მის პრაქტიკულ საქმიანობას. ამხ. ყურულიშვილის მიერ შეტანილი წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ამ მოხსენების გარშემო რეზოლიუციის გამოსატანად და საკავშირო პროფსაბჭოს შემდეგი მუშაობისათვის დირექტივების შესამუშავებლად ყრილობა ირჩევს კომისიას 19 კაცის შემადგენლობით.

10 დეკემბრის დილის სხდომის დღის წესრიგში სდგას ამხ. ლოზოვსკის მოხსენება პროფინტერნის მუშაობის შესახებ. (ადს).

უზბეკისტანის ორი წლისთავი

სამარყანდი, 9 დეკემბერი. უზბეკისტანის საბჭ. სოც. რესპუბლიკის 2 წლის თავი ზეიმით იქნა ჩატარებული რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და კიშლაკებში. სამარყანდში თეატრში შესდგა ცაკის პრეზიდიუმის, სახ. კომისართა საბჭოს და სამარყანდის საოლქო აღმასკომის საზეიმო სხდომა. მუშათა კლუბში მშრომელთა კრებებზე მთავრობის წევრებმა საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს 2 წლის მუშაობის შესახებ. წითელ მოედანზე შესდგა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15.000 მშრომელმა. (ადს).

საბჭოთა კავშირი

რუსეთი

ეროვნებათა შესწავლა

ლენინგრადი, 9 დეკემბერი. იანვრის დასაწყისში ლენინგრადიდან კოლსკის ნახევარ-კუნძულზე გაემგზავრება მეცნიერთა ექსპედიცია, რომელსაც მიზნად აქვს ამ ადგილებში მოსახლე რუსებისა და ლოპარების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა. რუს მეცნიერთა ექსპედიციასთან ერთად ნახევარ-კუნძულზე იმუშავებს ნორვეგიელთა ექსპედიცია ნანსენის მეთაურობით. ა(დს).

მაზრების გამოყოფა

მინსკი, 9 დეკემბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების გამო ბელორუსიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, გომელის მაზრა ქალაქ გომელით და რეჩიცის მაზრა ქალაქ რეჩიცით შეუერთოს ბელორუსიას. მუშაობა შეერთებისათვის დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში (ადს).

მანუფაქტურა მებამბეებს

მოსკოვი, 9 დეკემბერი. მებამბეების მთავარმა კომიტეტმა საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატს და სრ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატს მიმართა წერილით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურის მიწოდება ამიერ-კავკასიის მებამბეებისათვის მეტად ცუდ მდგომარეობაშია. დეკემბრამდე ამიერკავკასიის მებამბეების რაიონებში მიღებულ იქნა მხოლოდ 7 ვაგონი მანუფაქტურა, მაშინ, როდესაც პირველი კვარტალის გეგმის მიხედვით უნდა მიეღოთ 47 ვაგონი. მანუფაქტურის ნაკლებობა მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ბამბის დამზადებაზე. მებამბეების მთავარი კომიტეტი სთხოვს ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომ მიიღოს ზომები მანუფაქტურის მისაწოდებლად მებამბეობის რაიონებისათვის. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

გაზით გათბობაზე გადასვლა

ბაქო, 9 დეკემბერი. მიმდინარე წელში აზნავთი გაზით გათბობაზე გადაიყვანს შენობების 90%-ს. (ადს).

ლენინის სახელობის ფაბრიკაში

ბაქო, 9 დეკემბერი. ნოემბერში ლენინის სახელობის წითელმა ფაბრიკამ გამოიმუშავა 687.380 მანეთის, 1.282.395 ეკვივალენტური მეტრი, წინააღმდეგ ოქტომბერში დამზადებულ 1.399.595 ეკვივალენტურ მეტრისა. საწარმოო გეგმა შესრულებულია 96.2%-ით. (ადს).

ინტერნატის გახსნა

განჯა, 9 დეკემბერი. 15 დეკემბერს განჯის სადგურზე დანიშნულია ინტერნატის გახსნა, რომელიც 50 ბავშვს დაიტევს. ინტერნატში მიღებულ იქნებიან ხაზზე მომუშავე რკინისგზელ მუშათა ბავშვები. (ადს).

სომხეთი

ერევნის ახალი გეგმა

ერევანი, 9 დეკემბერი. ერევნის აღმასკომთან შექმნილია კომისია სამი კაცის შემადგენლობით და აკადემიკოს ტამანიანის თავმჯდომარეობით. ეს კომისია დეტალურად განიხილავს ზოგიერთ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილ იქნა აკადემიკოს ტამანიანის მიერ შედგენილ და სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ერევნის ახალ გეგმაში. (ადს).

„შინარარის“ ლაბორატორია

ერევანი 9 დეკემბერი. სააქციონერო საზოგადოება „შინარარმა“ ერევანში მოაწყო სახელოსნო - ლაბორატორია, რომელშიც განზრახული აქვს აწარმოოს ცდები ისეთ სხვადასხვა ტიპის შენობების აგებაზე, რომლებიც უფრო გამძლე იქნებიან მიწისძვრის დროს. გარდა ამისა, სწარმოებს კედლების პემზიდან აშენების ცდა, რადგან პემზა წარმოადგენს ყველაზე მსუბუქ საამშენებლო მასალას. (ადს).

საკვები ჭარხალი

ერევანი, 9 დეკემბერი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცდამ საკვები ჭარხლის უკეთესად მოვლაზე დილიჯანის მაზრაში, საუკეთესო შედეგები გამოიღო. ერთი დესეტინიდან აკრეფილ იქნა 2.000 ფუთი საკვები ჭარხალი. (ადს).

ა.-კავკასიის ცაკის სესიის წინ

საუბარი ამხ. ალამალი-ოღლისთან

განჯა, 9 დეკემბერი. ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ალა-მალი-ოღლიმ ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„ცაკის ამ სესიას, რომელიც განჯაში იქნება მოწვეული ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. ეს იქნება კავშირის განმტკიცება გლეხობის ფართო მასებთან, რომელნიც ეკონომიურად და კულტურულად არიან დაკავშირებულნი წითელ განჯასთან. მორიგი სესიის განჯაში მოწვევას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბაქოში მოწვევას, რომელსაც დიდი რევოლიუციონური გამოცდილება აქვს. როგორც ცნობილია, მეფის მოხელეებმა და ბურჟუაზიამ, რომლებმაც რევოლიუციის პირველი ტალღა ამიერ-კავკასიაში 1905 წ. ეროვნულ ბრძოლად გადააქციეს, განსაკუთრებული დახმარება მიიღეს განჯაში, რომელიც იმ დროს და შემდეგშიაც 1920 წლამდე ეროვნული შუღლის კერას წარმოადგენდა.

ამგვარად, სესიის გახსნას სწორედ განჯაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მშვიდობიანობის დემონსტრაციის მხრივ“.

შემდეგ ამხ. ალამალი-ოღლიმ ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვის საპასუხოდ სთქვა შემდეგი:

„მე ადრე ჩამოვედი, რომ ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე დავათვალიერო ფაბრიკები და ქარხნები, რომელნიც ეხლა შენდება, საბჭოთა მეურნეობანი, სხვა წარმოებანი და აგრეთვე სოფლები, ვინაიდან მსურს ადგილობრივ გამოვარკვიო ჩვენი მიღწევები და ნაკლი. **მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებათა დათვალიერებით განჯაში, სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს ამ დარგში,** რის შესახებაც ვაცნობებ სესიას. ერთ-ერთ სკოლაში მე ვსთხოვე ხელი აეწია იმ მოწაფეებს, რომლებმაც ახალი ალფავიტი იციან; 30 მოწაფიდან ხელი ასწია 27 მოწაფემ. დამახასიათებელია. რომ ეს ალფავიტი მათ თვითონ შეისწავლეს; ამასთანავე გამოირკვა, რომ ეს ალფავიტი ადვილად შესათვისებელია მოსწავლეთათვის“.

როგორც დამახასიათებელ ფაქტზე. ამხ. ალამალი-ოღლიმ მიუთითა იმაზე. რომ განჯის მაზრის თურქების ერთ-ერთ სოფელში გლეხებმა დაიოგინეს მეჩეთის გადაკეთება სკოლად. ამხ. აღამალიოღლის განზრახვა აქვს დაესწროს ამ სკოლის გახსნას.

საუბარი ამხ. შავერდოვთან

განჯა, 9 დეკემბერი. ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანმა ამხ. **შავერდოვმა** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ვისაც არ ესმის სესიის განჯაში მოწვევის მნიშვნელობა, მას არ ესმის საბჭოთა ხელისუფლების ბუნება. საბჭოთა ხელისუფლება გამოსულია მუშათა და გლეხთა წიაღიდან, იგი ყოველთვის მასთან არის, ყოველთვის მათ შორის იმყოფება, და ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის ეს უმაღლესი ორგანო, რომელიც სხვა მუშებთან და გლეხებთან ერთად არჩეულია აგრეთვე წითელი აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა მიერაც, თვის სესიას იწვევს წითელ განჯაში—საბჭოთა აზერბეიჯანის აღორძინების გზაზე მდგომ ახალ პროლეტარულ ცენტრში. აქ, განჯაში, რომელიც ჯერ კიდევ ამ ახლო წარსულში კონტრრევოლიუციისა და ნაციონალიზმის ბუდეს წარმოადგენდა, შეიკრიბებიან საბჭოთა აზერბეიჯანის ძმური რესპუბლიკების საქართველოს, სომხეთის, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ - ოსეთის მუშები და გლეხები, რომ აზერბეიჯანის მშრომელთა წარმომადგენლებთან და მის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად გაუკეთონ ჯამი მიღწეულ შედეგებს და დასახონ სოციალიზმის აღმშენებლობისათვის მუშაობის შემდგომი გზები.

აქ, განჯაში, მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელნი ერთხელ კიდევ მოახდენენ მთელი მსოფლიოს წინაშე ყველა ერების ძმობის დემონსტრაციას“.

შემდეგ ამხ. შავერდოვმა აღნიშნა, რომ სესიის დამთავრების შემდეგ განზრახულია ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის საქმიანი ღია კრების ჩატარება, რომელიც უმთავრესად განიხილავს დავას საძოვრების შესახებ მოსაზღვრე მაზრებსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ამ სხდომაზე მონაწილეობას მიიღებენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეები, რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელნი და ცაკების თავმჯდომარეები.

გარდა ამისა. სესიის მუშაობის გათავების შემდეგ მოეწყობა ამიერ-კავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ღია სხდომა. ასეთი სხდომის ჩატარება პირველი ცდა იქნება. (ადს).

საუბარი ამხ. ბუნიატ-ზადესთან

განჯა, 9 დეკემბერი. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელი ესაუბრა აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარს ამხ. **ბუნიატზადეს** ზეთის სახდელი ქარხნისა, სელექციური სადგურისა და ზოოტეხნიკური სადგურის აგების შესახებ.

„აზერბეიჯანის სოფლის შემოსავლის 40 პროცენტს, სთქვა ამხ. ბუნიატზადემ, იძლევა მესაქონლეობა. მაგრამ მესაქონლეობის საქმე აზერბეიჯანში ვერ არის დაყენებული რიგიანად. აზერბეიჯანის ძროხა იმაზე მეტ რძეს ვერ იძლევა, რასაც იძლევა ამერიკული თხა.

ჩვენ მიზნად ვისახავთ სასოფლო მეურნეობის აწევას უმაღლეს ტეხნიკურ საფეხურზე და გადავსწყვიტეთ, რომ ამიერ - კავკასიის ცაკის სესიის დროს განჯაში, საძირკველი ჩაუყაროთ აზერბეიჯანში მესაქონლეობის პირველ სადგურს, რომელმაც უდიდესი როლი უნდა ითამაშოს აზერბეიჯანის მესაქონლეობის გაუმჯობესების საქმეში. **სელექციური სადგური, რომელიც** უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შენდება, პირველი იქნება ამიერ-კავკასიაში და ერთი უდიდესი სადგურთაგანი იქნება საბჭოთა კავშირში. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ამ სადგურმა მთელ ამიერ-კავკასიას უნდა მისცეს სელექციური მასალა ბამბის დასათესად, რაიც ორჯერ გაადიდებს ბამბის მოსავალს. ამ სადგურის საშუალებით უნდა მოხდეს თესლის საქმის სტანდარტიზაცია აზერბეიჯანში. გარდა ამისა, მან უნდა აწარმოოს ცდა იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად იხარებს ახალი ძვირფასი კულტურა აზერბეიჯანში.

ზეთის და ლუდის სახდელი ქარხანა მოწყობილობის მხრივ საუკეთესოა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მეტოქეობის გაწევა შეუძლია საზღვარგარეთის ქარხნებთანაც კი. უკვე ეხლა. თუმცა სავსებით არ არის დამთავრებული ეს ქარხანა, მაგრამ ყოველდღიურად ამუშავებს 6.000 ფუთ ბამბას“.

დასასრულ ამხ. ბუნიატ-ზადემ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა აზერბეიჯანის მთავრობა სცდილობს, რომ განჯა გადააქციოს აზერბეიჯანის რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრად. (ადს).

ძველი და ახალი განჯა

განჯა, 9 დეკემბერი. აზერბეიჯანის ცაკის მდივანმა ამხ. **გამიდ-სულტანოვმა** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გაუზიარა თავისი მოგონებანი ძველი განჯის შესახებ. მან აღნიშნა მეტად საგულისხმიერო ფაქტი: 1914 წელში ნიკოლოზ მეორე ჩავიდა განჯაში და აქაურ თავად-აზნაურობისა და მემამულეების მისალმებაზე გამოსთქვა თავისი კმაყოფილება იმის გამო, რომ განჯა წარმოადგენს მისთვის მტკიცე დასაყრდენს. რევოლიუციის შემდეგაც. 1920 წლამდე განჯა იყო კონტრრევოლიუციის საფუძველი, რის გამოც მოხდა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა წითელი არმიის წინააღმდეგ 1920 წელში.

„ძველი თავად-აზნაურობის განჯა. სთქვა ამხ. გამიდ-სულტანოვმა, ერთხელ და სამუდამოდ დანგრეულია. მის ადგილას იზრდება და ფართოვდება ახალი პროლეტარული განჯა. კონტრ-რევოლიუციის ყოფილ ცენტრში წარმოიშვის მუშათა ცენტრი, რის დამახასიათებელიც არის ის ახალი ინდუსტრია, რომელსაც ქმნის პროლეტარიატის ხელები“. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

მოსკოვი, 9 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ მიღებულ რეზოლიუციაში საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ ბიუროკრატიზმისა და საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების სხვა ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, ცეკა წინადადებას იძლევა: მიექცეს საბჭოთა უჯრედების მთავარი ყურადღება იმას, რომ მათ დაწესებულებებში გატარებული იქნეს ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის, საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულების, პროტექციონიზმის და შტატების გაბერვის წინააღმდეგ. პარტკომებმა და უჯრედებმა ფართოდ უნდა განუმარტონ დაწესებულებაში მომუშავე კომუნისტებს პარტიის დირექტივები სახელმწიფო, სამეურნეო და სავაჭრო აპარატის გაიაფების და გაუმჯობესების შესახებ და აგრეთვე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის ბრძოლის შესახებ.

დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ უჯრედის საერთო პარტიულ მუშაობაში. ისინი შესაძლებლისდაგვარად უნდა განთავისუფლებულ იქნენ ზოგიერთ მოვალეობისაგან დაწესებულების გარეთ, სასტიკი ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული ადმინისტრატიულ-სამსახურის დამოკიდებულების უჯრედის პარტიულ ცხოვრებაში გადატანის წინააღმდეგ. ადგილკომის ფრაქციის საშუალებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეკონომიური კომისიის მუშაობის სისტემატიური ხელმძღვანელობა უჯრედის მხრით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ მუშაობაში კომუნისტების განაწილება და აგრეთვე მუშაობაში უნდა ჩაებან საუკეთესო უპარტიო სპეციალისტები და თანამშრომელთა რაც შეიძლება მეტი მასა. გაეწიოს ყოველგვარი დახმარება წამოყენებულ მუშებს და გლეხებს. გაძლიერებულ იქნეს საბჭოთა უჯრედების მუშაობის ხელმძღვანელობა პარტკომების მხრით ინსტრუქციების მიწოდებისა და უჯრედთა მუშაობის სისტემატიურად შემოწმების გზით. საჭიროდ ჩაითვალოს მჭიდრო კავშირის დამყარება საბჭოთა უჯრედებსა და საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს შორის საბჭოთა სამეურნეო დაწესებულებების ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკავშირო კომპარტია ციფრებში

მოსკოვი, 9 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის ცეკას სტატისტიკურ განყოფილების ცნობით პირველ ოქტომბრისათვის საკავშირო კომპარტიაში ითვლებოდა 32.119 უჯრედი. კომუნისტების საერთო რიცხვი განისაზღვრებოდა 1.096.856 კაცით, აქედან 684.824 პარტიის წევრი, დანარჩენი კანდიდატები. პარტიაში ითვლება 143.968 ქალი. (ადს).

ლენინურ კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღამოს, პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მესამე პლენუმი. პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) პოლიტიკური მოხსენება. 2) საკ. ახ. ლენ. კომ. კავშირის ცეკას მესამე პლენუმის შედეგები. 3) კავშირის ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები. 4) ავადმყოფური მოვლენები კავშირში და აღმზრდელობითი მუშაობა. 5) პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის შინაარსი და მდგომარეობა. 6) მასსიური ეკონომიური მუშაობა. 7 ინფორმაცია ამიერ - კავკასიის კონფერენციის და საკავშირო ახკომკავშირის ცეკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საანგარიშო კამპანიის შესახებ.

პოლიტიკურ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მიხა ცხაკაია, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციებით შეხვდა.

პლენუმის შემდეგი სხდომა გაიმართება დღეს, დილის 11 ნახევარ საათზე.

მესამე რაიონის პარტკონფერენცია

შინა-საუჯრედო მუშაობა

შინასაუჯრედო მუშაობის დარგში საანგარიშო პერიოდი ხასიათდება სამი ძირითადი მომენტით — უჯრედთა მუშაობის გეგმიანობის გაძლიერებით, მუშაობის კომისიონური მეთოდის გაუმჯობესებით და პარტორგანიზატორთა ინსტიტუტის შემოღებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში თითქმის ყველა უჯრედებში მტკიცედ არის გატარებული გეგმიანი მუშაობის სისტემა. უჯრედებმა მტკიცედ შეითვისეს, რომ შეუძლებელია გეგმის გარეშე მუშაობა. მართალია პირველ ხანებში უჯრედები გამოუცდელნი იყვნენ გეგმების შედგენაში, ამ უკანასკნელთ უმეტეს შემთხვევაში საერთო დეკლარატიული ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ სათანადო მუშაობის შემდეგ, უჯრედების გეგმებმა უკეთესი სახე მიიღეს, ისინი უფრო კონკრეტულ და რეალურ ხასიათს ატარებენ; ბიუროების უკანასკნელმა გადარჩევამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი უჯრედები თავის მუშაობაში უმეტესად ძველად გამომუშავებულ გეგმებს მისდევენ, რის შედეგად შემჩნეულია უჯრედთა მუშაობის დიდი ნაყოფიერება და უკანასკნელთა მხრივ ხელმძღვანელობის გაძლიერება სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებზე.

გასულ წელს, ისე როგორც თბილისის ორგანიზაციაში, ჩვენს რაიონშიაც ადგილი ჰქონდა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა კომისიების გაზრდას უჯრედთა ბიუროსთან; ასეთი კომისია იყო 5: საგიტაციო - საპროპაგანდო, საორგანიზაციო, ქალთა შორის მუშაობის, კომკავშირელთა შორის მუშაობის და არმიასთან დაკავშირების კომისია. უდავოა, რომ მუშაობის კომისიონური მეთოდი უდიდეს როლს თამაშობს საუჯრედო მუშაობის გაღრმავებისა და უჯრედის წევრთა აქტივიზაციის დარგში,მაგრამ აქ კომისიების ასეთი დიდი რიცხვი ამძიმებდა უჯრედის მუშაობას, ხოლო მათი მუშაობის ნაყოფი უმნიშვნელო იყო. თბილისის კომიტეტმა თავის დროზე გაითვალისწინა ეს მომენტი და დაშალა კომკავშირელთა შორის მომუშავე კომისია და არმიასთან დაკავშირების კომისია, როგორც უსიცოცხლო კომისიები, ხოლო დანარჩენი კომისიები, როგორც უფრო ცოცხალი — დატოვებულ იქნენ უჯრედებთან. რაიკომმა გადაათვალიერა დარჩენილი კომისიები და შეამცირა მათი რიცხვი, რადგან ზოგიერთ უჯრედებში მათ შექმნას უბრალო მექანიკური ხასიათი ჰქონდა ისეთ მცირერიცხოვან უჯრედებშიაც კი, სადაც ისინი არსებითად ზედმეტ ორგანოს წარმოადგენდნენ.

ამჟამად რაიონში არის 7 საორგანიზაციო კომისია, 17 საგიტაციო - საპროპაგანდო კომისია და 5 ქალთა შორის მუშაობის კომისია.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ზოგიერთ უჯრედებში შემჩნეული იყო პარალელიზმი საორგანიზაციო კომისიისა და საგიტაციო - საპროპაგანდო კომისიის მუშაობაში და ფუნქციების ერთგვარი აღრევაც; ზოგიერთ უჯრედებში საორგანიზაციო კომისიებიც კი ნაწილობრივ ითვისებდენ უჯრედთა ბიუროს ფუნქციებს; რაიკომმა თავის დროზე მიაქცია ყურადღება ამ არანორმალურ მოვლენას. სამჯერ მოწვეულ იქნა საორგანიზაციო კომისიების თათბირი, სადაც ეთოდებოდა საინსტრუქციო ხასიათის მოხსენებები.

ამჟამად საორგანიზაციო კომისიები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ და თავის მუშაობაში მისდევენ ერთგვარ გეგმიანობას.

მუშაობის კომისიონურმა მეთოდმა მთელი ჩვენი პრაქტიკის განმავლობაში, შესრულებული მუშაობის ერთგვარი ჯამის პირობებში, გარკვეული სიცხადით გვიჩვენა კომისიების არსებობის სრული მიზანშეწონილობა, დატვირთულ ამხანაგების მუშაობისაგან განტვირთვის, საუჯრედო მუშაობის შესახებ მდიდარი მასალების დამუშავებისა და გადამუშავების მხრივ და პარტიის უბრალო წევრთა ჩაბმის მხრივ პრაქტიკულ მუშაობაში ადგილობრივ.

საანგარიშო პერიოდში საორგანიზაციო კომისიებს ჰქონდათ 72 სხდომა, გარჩეულ იქნა 238 საკითხი, უჯრედთა ბიუროს ანგარიში ჩაბარა 15-ჯერ. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ყველა საორგანიზაციო კომისიები რეგულარულად როდი აწყობენ სხდომებს და არა დამაკმაყოფილებლად ტარდება უჯრედთა ბიუროების ხელმძღვანელობა. უკანასკნელი დეფექტი დადასტურებულ იქნა უჯრედთა ბიუროების გადარჩევის დროსაც.

რაც შეეხება პარტორგანიზატორების მუშაობას, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ ზაფხულის პერიოდის დასაწყისში, მათ ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს თავისი მუშაობის გაშლა. მომავალმა რაიკომმა ამ საკითხს უნდა მიაქციოს ყურადღება. რაიონში პარტორგანიზატორები გამოყოფილია 7 უჯრედში (მათი საერთო რაოდენობა უდრის 39).

უჯრედებში ერთ - ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს უჯრედის აქტივის ზედმეტი დატვირთვა პარტმოვალეობებით და შედარებით უმნიშვნელო დატვირთვა უჯრედის ზოგიერთი წევრების. მართალია. სათანადო ზომების მიღების შემდეგ ეს საკითხი ისე მწვავედ აღარ არის წამოჭრილი ამჟამად, მაგრამ შემდეგში მაინც უნდა გაგრძელდეს მუშაობა უჯრედის წევრებს შორის პარტმოვალეობათა შედარებით თანაბრად განაწილებაზე და დატვირთვაზე, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი დაკავშირებულია პრაქტიკულ საუჯრედო მუშაობაში პარტიის უბრალო წევრთა ჩაბმისა და უჯრედის აქტივის გაზრდის საკითხთან.

რაიკომმა ნათლად გაითვალისწინა, რომ უჯრედების ნაყოფიერი მუშაობა დამაკმაყოფილებელია გამოცდილ, უჯრედის ამოცანების შემთვისებელ მდივნისაგან და ამიტომ თავის მუშაობის პერიოდში კვლავ უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ავტორიტეტულ, მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაწევის უნარის მქონე საუჯრედო მდივნის ყოლას. უჯრედთა ბიუროების გადარჩევაზე ანგარიშების ჩაბარების დროს დადასტურდა, რომ ამ მხრივ, უმნიშვნელო გამონაკლისით, დაჭერილია გამოცდილი. უჯრედის მდივანი გაიზარდა, მან შეიგნო, რომ მის მოხერხებულ ხელმძღვანელობისაგან არის დამოკიდებული უჯრედის ნაყოფიერი მუშაობა. უჯრედის მდივნების ამ უკანასკნელად ჩატარებულმა გადარჩევამ შემდეგი სურათი მოგვცა

სულ უჯრედთა მდივნების შემადგენლობა—33, მუშები — 22, გლეხები — 3, მოსამსახურე —8; ქართველი — 10, სომეხი — 18, თათარი— 4, რუსი — 1; მამაკაცი — 31, ქალი — 2.

უჯრედთა მდივნების შემადგენლობა 1925 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის

სულ მდივანი — 23. აქედან მუშა — 17. გლეხი — 3, მოსამსახურე — 8; ქართველი — 5, სომეხი — 16, თათარი — 3, რუსი — 3, დანარჩენი ეროვნების — 1; კაცი — 26, ქალი — 2.

თუ შევადარებთ მდივნების წლევანდელ შემადგენლობას შარშანდელთან—დავინახავთ, რომ სრულად არის განხორციელებული რაიონული კომიტეტის კურსი.უჯრედების უმრავლესობაში მუშა მდივნებია; თუ შარშან მუშა - მდივნების შემადგენლობა უდრიდა 60,7 პროც-ს, ამჟამად მათი პროცენტი უდრის 66,7-ს, სასოფლო უჯრედების მდივანთა გარეშე მუშა-მდივანთა პროცენტი ქალაქად უდრის 76,6-ს, რაც უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

შემდეგში წინ გვიდევს მუშაობა მდივანთა თვისობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების დარგში, რომ 100 პროც-ით ვიყოლიოთ უჯრედებში სავსებით გამოცდილი, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მდივნები; შარშანდელ წელთან შედარებით ამ მხრივ უკვე დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს რაიონში ორჯერ ჩატარდა უჯრედთა ბიუროების გადარჩევა.

ეხლა გადავიდეთ უჯრედთა ბიუროების შემადგენლობაზე:უჯრედთა ბიუროების შემადგენლობა 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის შემდეგ სურათს იძლევა:

სულ ბიუროს წევრია — 148, მუშა — 109, გლეხი — 6, მოსამსახურე და სხვა — 33; ქართველი — 36, სომეხი — 76, თათარი — 13, რუსი — 16 და დანარჩენი ეროვნების — 7; კაცი —138, ქალი — 10.

შარშანდელ ციფრებთან შედარებით, ბიუროს დღევანდელ შემადგენლობაში ჩვენ ვამჩნევთ გაუმჯობესებას როგორც სოციალური, ისე ნაციონალური მხრივ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების პროცენტი: იყო 69,4 პროც., არის 73,6 პროც.; გაიზარდა ქართველების პროცენტი: იყო 21,7 პროც., არის — 24,3 პროც.; ქალი იყო 5.9 პროც., არის 6,8 პროც. ქალთა პროცენტის ზრდა აიხსნება ქალების ჩაბმით უჯრედების ხელმძღვანელ შემადგენლობაში.

რაც შეეხება უჯრედთა ბიუროების გადარჩევას უნდა აღინიშნოს, რომ გადარჩევა ტარდებოდა დემოკრატიული არჩევნების ნიშნის ქვეშ; არც რაიკომისა და არც უჯრედთა ბიუროების მხრივ არავითარ ბრძანებლობას არ ჰქონია ადგილი. ამავე გადარჩევამ გვიჩვენა, რომ ბევრად გაიზარდა უბრალო მასის აქტივობა. უჯრედის [illegible] კამათში უმეტესად ეხებოდა თავისი წარმოების სამეურნეო მდგომარეობის საკითხებს და პროფესიონალურ მუშაობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უჯრედებმა შეიგნეს დიდი ყურადღების მიქცევის საჭიროება ადგილობრივ საკითხებზე. უჯრედთა ბიუროების უკანასკნელ გადარჩევის შედეგებისათვის ჯამის გაკეთების დროს უჯრედის მუშაობაში შემჩნეულია შემდეგი დეფექტები: აქტივის არასაკმაო ზრდა (მართალია, რაიონული კომიტეტი ამ საკითხს საკმაო ყურადღებას აქცევდა, რაიონულ მასშტაბით სამჯერ იქნა მოწვეული აქტივის კრება. მაგრამ ძირითად როლს აქტივის ზრდის საკითხში თვით უჯრედების მუშაობა თამაშობს; ახლად არჩეულმა რაიკომმა ამ მიმართულებით უნდა გააძლიეროს მუშაობა); შემდეგ უჯრედებისა და ადგილკომების ერთგვარი არანორმალური ურთიერთ დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან (საკავშირო საფეიქრო სინდიკატის უჯრედი და ქალაქის საავათმყოფოს უჯრედი); სუსტი კონტროლი უჯრედთა ბიუროს დადგენილებათა შესრულებაზე და არასაკმაო ხელმძღვანელობა კომისიებზე ბიუროს მხრივ; მომავალ თავის მუშაობაში რაიკომმა უნდა აწარმოოს მუშაობა აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

რაც შეეხება დაწინაურების საკითხს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლულოვანებები, თუმცა რაიონში დაწინაურებულია ამხანაგების საკმაო რაოდენობა (22 ამხანაგი). მათგან პარტიულ და კომკავშირელთა შორის მუშაობაზე — 4 კაცი. პროფესიონალურ მუშაობაზე — 11, სამეურნეოზე— 3, ადმინისტრატიულზე — 3, საბჭოთა სამუშაოზე — 1. ქართველი — 8, სომეხი — 11, თათარი—2, დანარჩენი — 1.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაწინაურება ხდებოდა თავის თავად, თვით უჯრედების სუსტი მონაწილეობის გარეშე. არასაკმაო ყურადღება ექცევა აგრეთვე, მუშაობას დაწინაურებულთა შორის, ამ მხრივ საჭიროა დიდი მუშაობა.

პაულ.

საკავშირო კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუციები

შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ

ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი მთლიანად უერთდება მე-15 პარტკონფერენციის რეზოლიუციებს და კმაყოფილებით აღნიშნავს იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩაატარეს რესპუბლიკების კომპარტიებმა ფრაქციული ბრძოლის მძიმე პერიოდში, იმ ფრაქციული ბრძოლის, რომელიც დაიწყო ახალმა ოპოზიციამ, — ტროცკის, ზინოვიევის, შლიაპნიკოვის და სხ. ბლოკმა. პლენუმი ასევე კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ერთსულოვან წინააღმდეგობას, რომელიც გაუწიეს ოპოზიციას ფართო პარტიულ მასებმა ყველგან და, განსაკუთრებით, ამიერ - კავკასიის მუშურ ცენტრებში: ბაქოსა და თბილისში.

ჩვენმა პარტიამ ამ დროის პერიოდში, წარმატებით ებრძოდა რა ის ოპოზიციის გამოსვლებით გართულებულ სამეურნეო სიძნელეებს, აჩვენა მთელ მსოფლიოს არაჩვეულებრივი შინაგანი ძალა და პარტიული რიგების უძლეველი, ფოლადისებური მთლიანობა ლენინიზმის საფუძველზე.

პლენუმი ადასტურებს, რომ ოპოზიციამ ვერ ჰპოვა ნიადაგი აზერბეიჯანისა და სომხეთის პარტორგანიზაციებში და მხოლოდ საქართველოში მიიღო ფრაქციულმა ბრძოლამ ვითომდა სერიოზული სახე. აქ ძველმა, გაკოტრებულმა და ჯერ კიდევ 1922 წელში, ნაციონალისტური გადახრისათვის დაგმობილმა ჯგუფმა, კოტე ცინცაძის, ლადო დუმბაძის, მიშა ოკუჯავას და სხ. შემადგენლობით, მიიღო ახალი ოპოზიციის იერი და აღმართა ტროცკიზმის დროშა ლენინური პარტიის დროშის წინააღმდეგ.

პლენუმი, ადასტურებს რა საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისის მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებულ ღონისძიებათა დროულობას და წარმატებას, რასაც მოყვა ოპოზიციის კაპიტულიაცია და პარტიის გაჯანსაღება და განმტკიცება, — იწონებს მათ გადაწყვეტილებებსაც როგორც ოპოზიციონურ ბრძოლის ხელმძღვანელთა მიმართ, ისე ამ ოპოზიციის ცალკე წევრების მიმართაც.

მაგრამ ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ ოპოზიციის მიერ ფრაქციული ბრძოლის მეთოდებისა და თავის შეხედულებათა ფრაქციული დაცვის უარყოფისა, მას მაინც არ დაუგმია თვით ეს შეხედულებები.

პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებმა სწორად დაახასიათა ოპოზიციონურ ბლოკის ძირითადი იდეური პოზიციები, როგორც სოციალ - დემოკრატიული გადახრა. ოპოზიციის მიერ ამის შემდეგაც თავის იდეურ ანტილენინურ შეხედულებათა დაცვა იმას ნიშნავს, რომ ეს გადახრა ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენი პარტიის შიგნით, არსებობს და ეცდება კიდეც დარაზმოს პარტიის შიგნით თავისი იდეური მომხრეები, და ეცდება შეარყიოს ლენინის პარტიის იდეური საფუძვლები. მაშასადამე, პარტიისათვის არ არის აშორებული შინაპარტიული ბრძოლის განმეორების საშიშროება; ოპოზიცია არ აძლევს პარტიას გარანტიას, რომ შემდეგში არ განაახლებს ფრაქციულ მუშაობას.

გამოდის რა აქედან, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მორიგ და მნიშვნელოვან ამოცანად სთვლის დაუნდობელი ფართე ბრძოლის გაშლას პარტიის შიგნით სოციალ-დემოკრატიული გადახრისა და პარტიის ცალკე წევრთა იდეური მერყეობის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს, ამ გადახრის სერიოზული საფრთხის გამო. დაიწყონ რაც შეიძლება ფართე ახსნაგანმარტებითი კამპანია მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებების გარშემო. არ უნდა დარჩეს არც ერთი უჯრედი ,პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც არ ჰქონდეს შეგნებული ოპოზიციის იდეური შეცდომების დამღუპველობა ლენინური პარტიისათვის.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებმაც არაჩვეულებრივი სიმტკიცე და ერთიანობა დაამტკიცეს ამ ბრძოლაში, რომლებიც დროზე და იოლად გაუსწორდენ ოპოზიციონერების ფრაქციულ იერიშს პარტიის წინააღმდეგ და რომლებმაც აიძულეს ოპოზიცია დაეგმო ფრაქციული ბრძოლის მეთოდები და ფრაქციებისა და დაჯგუფებების თავისუფლების თეორია,—ასევე მტკიცედ და ერთსულოვნად აიძულებენ ოპოზიციონერებს აღიარონ ტროცკის ბლოკის იდეურ შეხედულებათა მავნებლობა და სიყალბე მათ სრულ დაძლევამდე.

საცალო ფასების დაკლების შესახებ

(ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების გამო)

ცნობილ იქნას, რომ ფასების დაკლების კამპანია ამიერ-კავკასიის მასშტაბით გაიშალა ერთგვარი დაგვიანებით და მას აკლდა ერთფეროვანი და გეგმიანი ხელმძღვანელობა, მაგრამ ეხლანდელი მომენტისათვის უკვე გვაქვს გარკვეული გარდატეხა სამომხმარებლო კოოპერაციაში სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების მხრივ. მაინც, მიღწეული შედეგები არ ჩაითვლება საკმარისად და, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივების ცხოვრებაში სასწრაფოდ გატარების მიზნით, უნდა იქნას მიღებული შემდეგი ზომები:

I. წინადადება მიეცეს ყველა რესპუბლიკანურ და კოოპერატიულ ცენტრებს:

1) გაძლიერებულ იქნეს ხელმძღვანელობა და კონტროლი ფასების დაკლებაზე ქვედა კოოპერატიულ ქსელში, ამ მიზნით წინადადება მიეცეს დაამუშავონ ფასების დაკლების აღრიცხვის, საორგანიზაციო ხარჯების მოძრაობის აღრიცხვის და როგორც ვაჭრობის სახკომატის მიერ მოწესრიგებულ ისე მოუწესრიგებელ ფასებზე ზედნართი ფასების აღრიცხვის ტეხნიკა.

2) გაძლიერებულ იქნეს მეთვალყურეობა, რათა კოოპერატიულმა ქსელმა დაიცვას ვაჭრობის სახკომატის მიერ დაწესებული ზედნართი ფასების სასაზღვრო ნორმები და დაწესებულ ნორმების დამრღვევნი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

3) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კალკულიაციის სწორად დაყენებას და გამომუშავებულ იქნას მის განსაზღვრის მეთოდები.

4) დაწესებულ იქნეს საორგანიზაციო ხარჯების და მოგების სასაზღვრო ნორმები, რომლებიც დაიშვება ძირითად კოოპერაციაში, ამასთან ანგარიში გაეწიოს კოოპერაციის ადგილმდებარეობას, სიძლიერეს და სხვა გარემოებებს.

5) ვინაიდან საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების გადიდება ხდება თითქმის მარტო სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ხარჯზე, წინადადება მიეცეს გააძლიერონ ქვედა ქსელის დამზადებითი საქმიანობა.

6) გამარტივებულ იქნეს კოოპერაციის ქვედა ქსელის სამმართველო აპარატი, პირველ რიგში ყურადღება მიექცეს გამგეობის ფასიან წევრთა რიცხვს და მის ხარისხობრივ შემადგენლობას.

7) გადასინჯულ იქნეს ქვედა ქსელის მომუშავე აპარატის პერსონალი.

8) გაგრძელებულ იქნეს მედგარი მუშაობა სავაჭროსა და საორგანიზაციო ხარჯების დასაკლებად ა.-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის მთელ სისტემაში. აპარატის რაციონალიზაციის და გაიაფების გზით იმგვარად, რომ სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯების ყოველგვარი შემცირება იგრძნოს მომხმარებელმა საქონელზე ზედნართ ფასების და, მაშასადამე, საცალო ფასების დაკლებით.

II. წინადადება მიეცეს ა.-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატს:

1) ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოო საქონლის შემოზიდვის მაქსიმალურათ გადიდება, რის გამო გაძლიერებულ იქნეს მეთვალყურეობა შემოზიდვის გეგმების შესრულებაზე და მიღებულ იქნას გადაჭრილი ზომები მისი მაქსიმალურათ შესრულებისათვის.

2) გაძლიერდეს და გაგრძელებულ იქნეს ბრძოლა გადამყიდველობის წინააღმდეგ და მიცემულ იქნენ დამნაშავენი პასუხისგებაში, კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭროებიდან გაძევებით.

3) აღძრულ იქნეს შუამდგომლობა საკავშირო ვაჭრობის კომისარიატში, რომ გასაცემი ფასების, ტარიფის, აქციზის და სხ. მომატების საკითხების გადაჭრა ხდებოდეს ა.-კ. სახ. ვაჭრ. კომისარიატთან შეთანხმებით, რომ წინასწარ, შესაძლებელი გახდეს შესაფერი ზომების მიღება, რათა ამ მომატებამ არ იქონიოს გავლენა საცალო ფასებზე.

4) მიღებულ იქნეს გადაჭრელი ზომები საქონლის შეძენის დროს შუამავლის გასაუქმებლათ.

5) დაჩქარდეს საქონლის გამავრცელებელ ქსელის გადახათვალიერებელი მუშაობა, იმ მიზნით, რომ გამონახულ იქნეს უმოკლესი გზა საქონლის მომხმარებლამდე მისაწოდებლათ.

6) გაძლიერებულ იქნეს მეთვალყურეობა, რომ არ მოხდეს საცალო და საბითუმო ფასების თვითნებურად მომატება იმ საქონელზე, რომელზედაც ვაჭრ. სახკომისარიატს ფასები არ აქვს დაწესებული. დადასტურდეს, როგორც წესი, რომ კოოპერაციაში და სახელმწიფო ვაჭრობაში ფასების მომატება, რა აუცილებლობასაც არ უნდა შეადგენდეს იგი—ხდებოდეს სახ. ვაჭრობის ორგანოების ნებართვით.

7) მცენარეულობისა და ცხოველების ცხიმოვან ნივთიერებებზე ფასების შესამჩნევი ზრდის გამო, მიღებულ იქნეს ზომები მათ შემოსატანათ კავშირის სხვა კუთხეებიდან.

8) გადასინჯულ იქნას ყველა არსებული ზედნადები ფასები საბითუმო საქონელზე, მათი დაკლების მიზნით.

9) კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ქსელის მაქსიმალურათ დატვირთვის მიზნით აეკრძალოს არასაკმარისი საბნებით ვაჭრობა ისეთ ორგანიზაციებს, რომელთათვის ვაჭრობა არ შეადგენს ძირითად საქმეს (საქველმოქმედო საზოგადოებანი, წითელი ჯვრის საზბანი, აღმასკომები, გლეხკომები და სხ.).

10) აღიძრას საკითხი ა.-კავკასიის მუშათა კოოპერაციის გეგმიანი წესით უზრუნველსაყოფათ ისეთი სასოფლო-სამეურნეო საქონლით, რომელსაც აქვს სამომხმარებლო მნიშვნელობა.

11) გაძლიერებულ იქნეს მეთვალყურეობა, რომ საქონლის შემომტან ორგანიზაციებმა არ მიმართონ ე. წ. იძულებითი ასორტიმენტის სისტემას.

12) მიღებულ იქნეს ზომები სახელმწიფო ვაჭრობის პროექტის გადაუხრელად საქონლის მარტო საწყობებიდან გაცემის შესახებ და შემოღებულ იქნეს კოოპერაციისათვის საქონლის მიწოდება პირდაპირ [illegible].

13. არ იქნას დაშვებული სახელმწიფო მრეწველობასთან ანგარიშის გასწორების არსებული პირობების გაუარესება კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის საქონლის კრედიტად გაცემის მხრივ.

14. მოეწყოს სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო ვაჭრობის სისტემატიური გამოკვლევა, ამ მუშაობაში საზოგადო ორგანიზაციების (პროფკავშირების, ქალაქისა და სოფლის საბჭოების წევრთა და სხვ.) ჩაბმით.

15. მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები სახელმწიფოებრივ მოწესრიგების ფარგლებში, კერძო ბაზრის მოსაქცევად:

ა) ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ნორმებში კერძო ბაზრისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდებით;

ბ) საბაზრო კომიტეტების მოწყობით;

გ) პუნქტ ა-ში აღნიშნული წესით გაცემულ საქონელზე ფასების განსაზღვრის გზით.

16. დაყენებულ იქნას მტკიცე ნიადაგზე კერძო ბაზრის მოძრაობის შესწავლა როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

17. საქონლის ტრიალის იმ ადგილებში, სადაც კერძო ვაჭარი სცდილობს სახელმწიფოს პოლიტიკის ჩაშლას ფასების შესახებ, განსაკუთრებით ნედლეულის ბაზარზე—აუცილებელ საჭიროდ ჩაითვალოს ეკონომიური მოწესრიგების გაძლიერება.

18. სათანადო ახსნა-განმარტება მიეცეთ სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომ საქონელზე, კერძოდ ფართლეულზე, დაწესებული საბაზრო ზედნართი ფასები არ წარმოადგენენ საშუალო ნორმებს,არამედ მტკიცე საზღვარს ყველა სახის საქონლისათვის, ყოველგვარ გამონაკლისის გარეშე, და ამიტომ ყოველგვარი გადახრა ამ ნორმებიდან უნდა ჩაითვალოს დადგენილების დარღვევად, თუნდა საშუალოდ, რომ არ სჭარბობდეს ზედნადები ფასები დაწესებულ ნორმებს.

19. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს სავალდებულოდ ჩაუთვალოს როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას, ისე კერძო მოვაჭრეებსაც, საქონელზე ფასების აღნიშვნა (ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნომენკლატურის მიხედვით).

20. უკვე შემჩნეულ ტენდენციის გამო, რომ წონის მეტრიულ სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, 400 გრამს უთანაბრებენ 1 გირვანქას, განსაკუთრებით კერძო ვაჭრები, რაც ნიშნავს ფასების ავტომატიურად 2 პროცენტით აწევას, სავალდებულოდ ჩაითვალოს ფასების გამოფენა ან 1 კილოგრამზე ან და 100 გრამზე, ხოლო სრულიად აიკრძალოს ფასის გამოფენა 400 გრამზე.

21. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დააჩქაროს დაწესებულ ფასების გამოქვეყნება საამშენებლო მასალისა და სალიკატურ ნაწარმოებებზე.

22. აუცილებლად იქნეს ცნობილი, რომ სინდიკატებისა და ტრესტების ადგილობრივ განყოფილებებიდან კოოპერაციისათვის იმ სამრეწველო საქონლის გაცემა, რომელიც გენერალურ ხელშეკრულებათა გარეშე შემოდის არავითარ შემთხვევაში არ იქნას შეზღუდული.

23. აუცილებელ საჭიროდ ჩაითვალოს კოოპერაციის მიერ ბანკებიდან მიღებულ კრედიტზე პროცენტების უნიფიკაციის საკითხის რაც შეიძლება სასწრაფოდ გადაწყვეტა.

24) იმ მიზნით, რომ ამ საცალო ფასების დაკლებამ რაც შეიძლება მეტი რეალური გამოხატულება იქონიოს მუშების სამუშაო ხელფასის დონეზე, საჭიროა სასწრაფოდ გადათვალიერებულ იქნას ამ დონის ძირითადი მაჩვენებელი—საბიუჯეტო შენაკრების ღირებულება ამიერკავკასიის მუშების მოთხოვნილებასა და ყოფა-ცხოვრების პირობებთან შედარებით.

25) ამ მხრივ აღიარებულ იქნას არადამაკმაყოფილებლად საცალო ფასების აღრიცხვისა და ბაზრის კონიუნქტურის შეფასების საქმის დაყენება მრავალი ორგანიზაციის არსებობის დროს, რომელნიც ამას განაგებენ (ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ფინსახკომი, შრომის სახკომი, შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი, ბირჟა და სხ.); დაევალოს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას გაარჩიოს ეს საკითხი და შეიმუშაოს პროექტი იმ ღონისძიებებისა,რომლითაც მოწესრიგდება ეს საქმე და რაციონალურ დონეზე იქნება ის დაყენებული.

III. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა

1) დააკისრონ ყველა ქალაქისა და სოფლის აღმასკომებს სათანადო პირთა გამოყოფა, რომელთაც უნდა დაევალოს თვალყურის დევნება ყველა სახის კოოპერატიულ, სახელმწიფო და კერძო ვაჭრობებზე, თუ რამდენად ასრულებენ ეს უკანასკნელნი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყველა დადგენილებებს ფასების მოწესრიგების შესახებ, ამ დადგენილებების დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემით.

2) დააკისრონ ყველა ქალაქის აღმასკომებს სავაჭრო შენობებზე საიჯარო გადასახადის დაწესების პოლიტიკა შეუთანხმონ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს. საიჯარო გადასახადის ფასის დაწესების საკითხის დამუშავება დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომლის შემდეგ ის წარდგენილ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში.

IV. წინადადება მიეცეს ყველა პერიოდულ ბეჭდვითი ორგანოებს:

1) საკმაოდ დიდი ყურადღება და ადგილი დაუთმონ ფასების დაკლების პოლიტიკის საკითხებს, გამოყონ ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილებების დარღვევის ან გვერდის ახვევის უფრო თვალსაჩინო შემთხვევები სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ.

2) დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ ხელმძღვანელ სავაჭრო ორგანოების დადგენილება-განკარგულებები.

3) პროფკავშირების ხაზით, განსაკუთრებით საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ხაზით, გაძლიერდეს ეკონომიური კომისიების მუშაობა კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკების მასაში, ხოლო დანარჩენ კავშირებში წარმოებულ იქნას კამპანია კავშირის წევრთა მასის აქტივობის ასაწევად, მათ აქტიურად ჩასაბმელად კოოპერაციის მუშაობაში და ამ მუშაობაზე საზოგადოებრივ კონტროლის გასაწევად.

V. გაძლიერდეს კამპანიის ჩატარება პარტიული ხაზით და განსაკუთრებით მკაცრი პასუხისმგებლობა მოეთხოვოს იმ პარტიულებს, ვინც დაარღვევს ამ მიმართულებით პარტიის მიერ მიღებულ დადგენილებებს. დაევალოს ყველა პარტიულ ამხანაგებს ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებაში ჩააბან ფართო საზოგადოებრივი ძალები და განსაკუთრებით სავაჭრო და პროფესიონალური დარგების მუშაკნი.

VI. ამიერ - კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა უწყებებში ფასების დასაკლები მუშაობის გაერთიანების მიზნით შესდგეს ამიერ-კავკასიის ცენტრალური საცალო ფასების დამკლები საუწყებათაშორისო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახ. კომისარი, წევრები, რომელთაც დაამტკიცებს ა.-კ. სახკომსაბჭო—სამი ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატიდან, თითო—რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოებიდან, სამი— „ზაკსოიუზიდან“ და თითო ა.-კ. ფინსახკომიდან, ა.-კ. მუშათა და გლ. ინსპექციიდან, ა.-კ. პროფსაბჭოდან და სახ. ბანკიდან.

ანალოგიური კომისიები ეწყობიან აგრეთვე სახ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან.

მისალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას

საქართველოს კომპარტიის ცეკამ ბორჯომიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ბორჯომის ორგანიზაციის მეშვიდე პარტკონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, როგორც მუშათა კლასის დარაჯს და ხელმძღვანელს.

კონფერენცია გამოსთქვამს რწმენას, რომ კომპარტია იყო, არის და იქნება მთლიანი, ურყევი და ლენინიზმის გამტარებელი. ბორჯომის ორგანიზაცია თავის მხრივ იძლევა სიტყვას, რომ ის ურყევად გაატარებს მის დადგენილებებს და იბრძოლებს ყოველგვარ წვრილბურჟუაზიული გადახრის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს კომპარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს—ცეკას!

გაუმარჯოს ლენინიზმს!“

პრეზიდიუმი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ქუთაისი, 9 დეკემბერი. 7 დეკემბრამდის ქუთაისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოვიდა 28.332 მან. 58 კაპ.

საავტომობილო მიმოსვლა

ახალ-სენაკი, 9 დეკემბერი. ამიერ-კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა ახალ-სენაკსა და სოხუმს შორის. მარშრუტები შეთანხმებულია მატარებლების მიმოსვლასთან და 4 ჯერ წარმოებს კვირაში. სოხუმამდე მგზავრობისათვის დაწესებულია 12 მანეთი. (ადს).

მზადება აღწერისათვის

ახალ-სენაკი, 9 დეკემბ. დაწყებულია ინსტრუქტორების მომზადება აღწერის ჩასატარებლად. ადგილებზე გაგზავნილ იქნა ლიტერატურა და მასალები აღწერის გარშემო. (ადს).

აჭარისტანი

ქობულეთის ჭაობების ამოშრობა

ბათომი, 8 დეკემბერი. მუშაობა ქობულეთის მთავარი ჭაობების ამოსაშრობად თითქმის დამთავრებულია. სულ ამომშრალია 900 დესეტინა, რომელზედაც განზრახულია გაშენებულ იქნეს კანაფის პლანტაციები.

სარწყავი არხები

ბათომი, 8 დეკემბერი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეუდგენია 25 სარწყავი არხის პროექტი. არხები გაყვანილი იქნება მიმდინარე წელს. ამ საქმისათვის გადადებულია 67.000 მან. მიწის სამუშაოებს კისრულობს ადგილობრივი გლეხობა.

წყალსადენი

ბათომი, 8 დეკემბერი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობამ მიიღო 38.000 მანეთი წყალსადენის გასაყვანად შუა აჭარის 6 სოფელში.

კეთილმოწყობა

ბათომი, 9 დეკემბერი. ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ 6.000 ფუთი ასფალტი შეიძინა ფილაქნების შესაკეთებლად. (ადს)

ნოხების ექსპორტი

ბათომი, 9 დეკემბერი. სააქციონერო საზოგადოება „ტრანსპორტ"-მა საზ-ბა „რუსსოტორგი"-ს დავალებით 6 დეკემბერს გემ „არაცით" სტამბოლში გაგზავნა 200 შეკვრა ნოხი. (ადს).

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 8 დეკემბერი. 6—7 დეკემბრის განმავლობაში ნავთსადგურში მოვიდა: იტალიური გემი „რომანი" და ნორვეგიული გემი „ნინა" ინგლისიდან. ორივე გემი მოვიდა პროდუქტებისათვის. მოვიდა აგრეთვე „ხერსონი მარიტიმი"-ს საზოგადოების გემი „ბრაჩიანე", რომელმაც იტალიიდან ჩამოიტანა 22 ათასი ტონა სხვადასხვა საქონელი. ტვირთავენ გემ „დიგოსტანს", რომელსაც ვლადივოსტოკისათვის მიაქვს 9.000 ტონა ნავთის პროდუქტები.

ამავე ხნის განმავლობაში ნავთსადგურიდან გავიდა იტალიური გემი „ჯიოვო" 700 ტონა მაზუთით, ნორვეგიის გემი „ჰამლეტი" 6947 ტონა მანქანს ზეთით, იტალიური გემი „ბრაჩიანე" სხვადასხვა ტვირთით.

გავიდა აგრეთვე ნორვეგიული გემი „ტორლოკ სკოგლანდი". ფოთიდან გემი წაიღებს მარგანეცს. (ადს).

რა მოგვცა ხელმეორე შემოწმებამ?

(წითელქალაქის თ., გორ. მ.)

წითელ-ქალაქის თემზე სას.-სამეურნეო გადასახადის სახით შეწერილი იყო 8.817 მან. 32 კაპ., მეურნეობის უმრავლესობა არა სწორად იყო დაბეგრილი და სასაკვირველია უკმაყოფილებასაც ჰქონდა ადგილი, ამიტომ აღნიშნულ თემში 1-ლ ნოემბერს დაწყებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიების გადასინჯვა, რამაც მოგვცა შემდეგი სურათი:

სრულიად განთავისუფლდა გადასახადისაგან: 118 მეურნე—გადასახადის საერთო ჯამით 754 მან. 50 კ., შეუმცირდა გადასახადი 216 მეურნეს,—ჯამით 1.136 მან., 09 კაპ., გაუდიდდა გადასახადი 135 მეურნეს, ჯამით — 501 მ. 14 კ., ხელახლა დაიბეგრა სრულიად გამორჩენილი და დაუბეგრავი 328 მეურნე, ჯამით—1636 მ. 45 კ.

ამ შესწორებამ მშრომელ გლეხთა მასაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

მიზეზი ასეთი შეცდომების შემდეგია: დასაბეგრ ობიექტზე აღსარიცხავად სოფელში ზოგჯერ იგზავნება ახალგაზრდა და გამოუცდელი პირი. ასეთი ახალგაზრდა იწვევს კრებას, კრებას ესწრება ყოველთვის, მცხოვრებლებთა შეძლებული ნაწილი. საქმეებში გაცვეთილ-გამობრძმედილი პირები. უკანასკნელნი არ აძლევენ სწორ ცნობებს და მოხერხებულად ფარავენ თავის დასაბეგრ ობიექტის რაოდენობას.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ უმიწაწყლო და ღარიბი გლეხები არ ესწრებიან კრებებს, რადგანაც ისინი დარწმუნებული არიან, რომ არსებული ხელისუფლება არ გამოუშვებს ღარიბ გლეხების დამჩაგვრელ კანონს.

რომ მომავალში ასეთ არანორმალურ შემთხვევას ადგილი არ ლაურჩეს, საჭიროა მთელი გლეხობის აქტიური მონაწილეობა დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის დროს.

გაბუნია.

წერილები

ციტრუსოვანი მცენარეულობის მოშენება

(აცანის თემი, გურია)

ჩვენი თემის მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას კულტურული მცენარეულობის მოშენება შეადგენს. ასეთია: ჩაი, მანდარინი, ლიმონი და სხვა. გლეხობის შემოსავლის წყარო ეს მცენარეულობა ითვლება.

წელს დიდი მოთხოვნილება იყო მანდარინის ნერგებზე, ჩვენი თემის კერძო მეურნეების მიერ დღემდე გაყიდულია ათი ათასი ძირი ნერგი. 80 პროც. ამ ნერგებისა შესყიდულ იქნა აჭარისტანის მოსახლეობის მიერ.

ნერგების ნაკლულების და მათზე დიდი ფასის გამო (ძირი 60 კ. ღირდა) წელს ბევრი მეურნე დარჩა უნერგოთ. მომავალში ასეთს ადგილი არ ექნება, ვინაიდან თემში გვაქვს ციტრუსოვან მცენარეულობის კარგად მოვლილი სანერგე, რომელშიც დამუშავებულია 20 ათასი ნერგი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება. ამ ბოლო ხანებში გახშირდა მანდარინის ნერგების ქურდობა. გასულ წელს თეჩიდან მოპარული იქნა რამოდენიმე ასეული ძირი მანდარინები და განადგურებული იქნა ბაღები. წელს მოქ. ლადიკო ჩხაიძეს მოპარეს 160 ძირი მანდარინის ნერგი.

საჭიროა ამნაირ მოვლენისადმი ყურადღების მიქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხობას გული გაუცრუვდება მანდარინის მოშენებაზე და ასეთი კულტურული მცენარეულობის მოშენება დიდათ შეფერხდება.

ლ. ქ—ძე.

ჯანვერდაშვილი სასირეთში

(გორის მ.)

სამი ჯანვერდაშვილი, კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის წევრი, გაიგზავნა გორის მაზრის სოფელ სასირეთში მოხსენების გასაკეთებლად კოოპერაციის შესახებ.

სანამ კოოპერაციაზე მოხსენებას გააკეთებდა, სამმა გადასწყვიტა მეტი ორატორული სითამამისათვის და ენაწყლიანობისათვის ყელი გაესველებია. ამისათვის ძმა-ბიჭებიც ხელად გამონახა. ესენი იყო ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი დარჩია, ონიშვილი და ნიკა მამულაშვილი. როცა ამ თბილ კამპანიას ყელი იმდენად გაულბა, რომ ღვინის ორთქლმა თვალები აუმღვრია, ყველანი ერთად წამოდგა ზეზე და ბარბაც-ბარბაცით დაიწყეს სეირნობა ორღობეებში.

გზაზე ბევრი ახალგაზრდები ხვდებოდნენ. „ჩამოდექით, მდივანი მოდისო", მრისხანეთ უყვიროდენ ღვინისაგან ატაცებული მოსეირენი.

„საპატიო" კამპანიას ამ გახურებულ გულზე, მათდა საუბედუროთ შეხვდა სასირეთის კომკავშირის თემკომის პრეზიდიუმის წევრი. ქ. თარხნიშვილი და სასირეთის მეორე კომკავშირელი მიშა კელეპტრიშვილი. ისეთი დღე თქვენ მტერს დაადგა, რაც ამ კომკავშირლებს მთვრალმა ახალგაზრდებმა დღე დააყენეს. ურტყეს დაუზოგავათ, სანამ გული იჯერეს. შემდეგ, როცა ცოცხლებს მორჩნენ, უსულო საგნებზე გადავიდნენ. მივარდნენ სასირეთის სკოლის სამასწავლებლო ოთახის მინებს და ნამცეცებათ აქციეს ის.

ასე შეასრულა ორგანიზაციის დავალება ჯანვერდაშვილმა და მისმა სასირეთელმა ამქრებმა. კომკავშირის სათანადო ორგანო ალბათ სათანადო „მადლობას" მოახსენებს ამ ყმაწვილებს ერთგულობისათვის.

რანი.

ვინ მიითვისა ფული?

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ამ ერთ კვირის უკან სართიჭალაში გვქონდა „რემედას" წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც გაგვაცნო „რემედას"-ის თემკომის მდივანმა ამხ. დათუნაშვილმა რემედასის თბილისის კომიტეტიდან გადმოგზავნილი ცნობა, თუ რომელი კუთხიდან რამდენი თანხა შესულა რემედასის სასარგებლოდ თბილისის კომიტეტში.

სხვათა შორის ამ ცნობაში ნაჩვენებია, რომ „საგარეჯოს თემკომიდან შემოვიდა 43 მან. და 19 კაპიკი"-ო, რამაც განცვიფრებაში მოგვიყვანა ყველა, რადგან ნამდვილად ვიცოდით, რომ მანავის სოფლიდან (საგარეჯოს თემისაა) მეტანილია „რემედას"-ს საგარეჯოს თემკომში 34 მანეთი და 80 კაპ., რისი საბუთებიც ხელში გვაქვს. გარდა ამისა საგარეჯოს მილიციის უფროსმა ამხ. ხარაიძემ შეიტანა თემკომში დაახლოებით 40 მანეთი. ამასთან ერთად, ცხადია, ფული შემოვიდოდა სხვადასხვა გზიდან. და ესეც რომ არ იყოს, ისედაც ხომ ცხადია, რომ სალაროში შესულა 75 მან. 12 კაპ.

საკვირველია, ვინ მიითვისა ამ თანხის დანარჩენი ნაწილი? საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ძიკო.

ალაგმეთ „ძმა-ბიჭები"

(ხ. ხოვლე, გორ. მ.)

გიგუცა იოსების ძე იარეანაშვილი, ოსა ალექსის ძე ბაისუნაშვილი და ვასო ალექსის ძე მიქუტაშვილი ცნობილი „ძმა-ბიჭებია" ხოვლეში. პირველი, ორი ყოფილი დეზერტირებია. ჩხუბისა და „ანგლობისათვის" სამივე ზრანებულან გორის სამაზრო გამსახლში. ხოვლეში მშვიდობიან მოქალაქეებს მათი ეშინიათ.

ამ უკანასკნელ ხანს მათ ჯგუფში ჩაეწერა. ვასო იოსების ძე და კოტე ალექსის ძე იარეანაშვილები და ვაკო ვარონის ძე გამდლიშვილი. ასე რომ ჯერ-ჯერობით აღნიშნული „ძმა-ბიჭების" წრე შესდგება 6 პირისაგან. ამ „შაიკის" მორიგი მსხვერპლი გახდა გლეხი ვანო ლელიაშვილი, კაცი ღარიბი და წვრილი ცოლ-შვილის პატრონი. ვანო ისე გაუბდიათ (ცემით), რომ აგერ 10 დღეა, რაც ლოგინში წევს და ლაპარაკის უნარიც დაკარგული აქვს.

ვის შეუძლია იმის წინასწარმეტყველება, თუ რას მოისურვებენ და გააკეთებენ მომავალში ეს განებივრებული „ვაჟბატონები"?

ჭიგა.

წერილებიდან

ხ. სასირეთი, (გორ. მ.)

„მკლავაძე" თბილისიდან. ამას წინათ აქ ჩამოვიდა კოოპერაციის არჩევნებზე მოხსენების გასაკეთებლად თბილისელი კომკავშირელი ს. ჯანვერდაშვილი. ამ დავალების ნაცვლად ის და ზოგიერთი ადგილობრივი კომკავშირელები უზომოთ გამოითვრენ, სცემეს აქაურსავე ორ კომკავშირელს და ჩაალეწეს სკოლის მინები. ვფიქრობთ, რომ ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ კომკავშირის ცეკა მიიღებს სათანადო ზომებს.

ჭიგა.

სოფლის ქრონიკა

— **გზის შეკეთება.** ახლო მომავალში დაიწყება წნორ-ლაგოდეხის გზატკეცილის შეკეთება.

— **ხაშურის აგრო-სადგურმა** წელს გასწმინდა 30 ათასი ფ. სათესლე ხორბალი.

— **ჩოხატის რაიონში** (გურია) სატყეო ტრესტი ამუშავებს 230 დესეტინა ტყეს.

— **ქსანში** აგურ-კრამიტის ქარხანასთან ეწყობა საკირე და ხე-ტყის ქარხანა.

— **საცდელი მინდორი.** ხაშურის საცდელ მინდორში წელს საცდელად დაითესა 40 სხვადასხვა ჯიშის ხორბალი.

— **სახერხი ქარხნები.** ოზურგეთში და ქორის ბუდეში ახლო ხანში მოეწყობა ხე-ტყის სახერხი ქარხნები.

მუშათა ცხოვრება

აბრეშუმის ძაფ-სალები ქარხანა

ქალ. სამტრედიაში არსებობს ს. მ. უ. ს. „საქართველოს აბრეშუმის" ძაფ-სალები ქარხანა ამ ქარხანაში მუშაობა სწარმოებს ორ წყებათ. შრომის ნაყოფიერება შედარებით ომის წინანდელ დროსთან 95 პროც. აწეულია.

ქარხანაში არის 52 ჯარა ძველი სისტემის და მანქანა „ბატალიასი". ეს ქარხანა ძველი ერთად ერთი ძაფსალებავი ქარხანაა საქართველოში. ქარხანას აქვს საკუთარი ორთქლის ქვაბი და მანქანები. ასეთი მანქანები მთელს საქართველოში ძნელად მოიპოვება, ორთქლის უზარმაზარი ქვაბი და საერთოთ ქარხნის მანქანები თამამად იყოფა არამც თუ 52 ჯარას, არამედ 500 ჯარასაც.

ქარხანასთან არის ამასთანავე „საქართველოს აბრეშუმის" ცენტრალური სახელოსნო. ბინის მხრით ქარხანა უზრუნველყოფილია, აგრეთვე რკინის გზაც ახლოა. მუშა-ხელის შოვნა ადვილია, მასთან შეიძლება შოვნა კვალიფიკაციურ მუშებისა. სათბობის შოვნაც იოლია. ამასთანავე აღსანიშნავია რომ, ქარხანას დღემდე კარგი წყალი არ ჰქონდა. ეხლ უკვე ქარხნის ადმინისტრაცია შეუდგა ცხენის წყლის გამოყვანას.

მთელი ზემოჩამოთვლილი პირობები ხელს უწყობს იმას, რომ ეს ქარხანა გადიდებული იქნეს. უმაღლესმა ორგანოებმა ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ივ. შენგელია.

საქმიანი კრება

3 დეკემბერს მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქროს მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საამქროს გამგე ამხ. ვ. ახობაძე. მოხსენება ეხებოდა წარმოების მდგომარეობას. აღსანიშნავია ის, რომ ბრიგადების ჯგუფებად დაყოფითი მუშაობამ წარმოება ასწია 10-15 პროცენტით. მნიშვნელოვანი მიღწევაა მომპირკეთობის დარგში. თვიურად 1000 მანეთით მცირდება ხარჯები, სხვა დროსთან შედარებით. ძველი დგამების შეკეთებასთან ერთად. მიღებულია და იდგმება ოთხი ახალი დგამი. რაც წარმოების ნაყოფიერებას საგრძნობლად ზრდის. შეკვეთებიც გასულ წელთან შედარებით 5-10 პროცენტით მატულობს.

ვრცელი კამათის შემდეგ, კრებამ მიღებულ რეზოლუციაში დამაკმაყოფილებლად სცნო ახობაძის მოხსენება და პრაქტიკული წინადადების შესამუშავებლად კომისია აირჩია.

თ. მესხიძე.

ხანძარი სანატორიუმ „არაზინდოში"

24 ნოემბერს ღამის 10 საათზე ცეცხლი გაუჩნდა სანატორიუმ „არაზინდოს" ელექტრონის სადგურს. ცეცხლი გაჩნდა ღუმელიდან, რომლის მილი სრულიად გაუმხოლოებელი გაყრილი იყო ელექტრო სადგურის ჭერსა და სახურავზე. შესაძლებელი იყო, რომ ხანძარი გადასულიყო ახლო მდებარე სახლებზე, გახეთქილიყო მაზუთით სავსე რკინის კასრები და „არაზინდო"-ს მთის ტყე და სხვა შენობები ცეცხლის ალში გახვეულიყო. მაგრამ სანატორიუმის მუშა-მოსამსახურეებმა და ავათმყოფებმა იმ წამსვე მიიღეს ზომები და თავისი გამბედაობით და თავგამოდებით გადაარჩინეს ეს მშვენიერი და მშრომელი ხალხის საშინელი მტრის—ჭლექის მებრძოლი კუთხე.

მთლიანად დაიწვა ელექტრონის სადგური. გადარჩა მხოლოდ ორი მატორი.

ვინ არის დამნაშავე ხანძრის გაჩენაში—ელექტრონის სადგურის მუშები, რომლებმაც ცეცხლი დაანთეს, თუ ის პირი, რომელმაც ელექტრონის სადგურისათვის ხის შენობა ააგო და შიგ გაუმხოლოებელი ღუმელი დაადგმევია. ელექტრონის სადგურს ისიც იმნაირ ალაგას, როგორც „არაზინდოა", ხის შენობა არ უნდა გაუკეთდეს. ამას გარდა კანალიზაციაც არ არის რიგიანად მოწყობილი. ხანძრის შემთხვევაში მოსახმარი წყლის მილების მეტი ნაწილი სანატორიუმს გაკეთებული აქვს დასავლეთის მხრივ. აღმოსავლეთ სამხრეთის მხრივ თითქმის არც ერთი მილი არა აქვს. ხომ შესაძლებელია, როგორც ეხლა მოხდა, ხანძარი აღმოსავლეთ - სამხრეთის მხრივ მდებარე შენობებს გაუჩნდეს. ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდება მქრობელი.

შემდეგისათვის ეს და კიდევ სხვა ნაკლულევანებანი უნდა გაითვალისწინოს სანატორიუმ „არაზინდო"-ს გამგეობამ და მიიღოს ზომები მათ გამოსასწორებლად, თუ არა შემდეგ გვიან იქნება.

მგზავრი.

შავი ზღვის რკინის გზაზე

(ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს საყურადღებოდ)

11 ნოემბერს ახალ-სენაკ-ზუგდიდ შორის მიმავალი სახალხო მატარებელი ჩამოდგა სადგურ ხეთაში. აქ მატარებელი თითქმის 20 წუთზე მეტს ჩერდება. უმეტესი ნაწილი მგზავრების ჩამოვიდნენ: ზოგი საუზმისათვის, ზოგი წყლისათვის. მგზავრები მოელიან ჩვეულებრივად მეორე ზარს, მოლარე ბილეთებს ჰყიდის. ზარი არ ყოფილა. მატარებელი კი უკვე დაიძრა და წავიდა. ზოგიერთი მგზავრები გამოეკიდა მატარებელზე შესასწრებლად, მაგრამ ერთი მეორე შევაჩერეთ და სიცილით ველაპარაკებოდით, ზარი არ ყოფილა, ბილეთებს ჰყიდიან და ისე მატარებელი როგორ წავა. ამ მატარებელს მოყვება რკინის გზის კოოპერატივი, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს და გლეხობას სურსათსანოვაგეს აწვდის. ეს კოოპერატივიც გაჭედილი იყო ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებით და გლეხებით. მატარებლის დაძვრისას ბევრმა მათგანმა მოინდომა ჩამოსვლა, ზოგმა ხელი დაიზიანა და ზოგმაც ფეხი. რამოდენიმე კოოპერატივში მოვაჭრე კი ათი ვერსის მანძილზე დაშორებული ბაქან ცაცხვში მიიყვანა მატარებელმა. ჩვენ, მგზავრები, დაახლოებით 25 კაცამდე დავრჩით სად. ხეთაში. ვსთხოვეთ სადგურის უფროსის თანაშემწეს დაეძახებია ტელეფონით სადგ. ზუგდიდში დარჩენილი მგზავრების ხაბაკები არ დაკარგულიყო, მაგრამ საუბედუროდ ესეც ვერ მოეწყო. არ იყო მეტი ღონე 19 ვერსის მანძილზე ხეთიდან ზუგდიდამდე ფეხით გავიარეთ, რომ ხაბაკები არ დაკარგულიყო. მარა 4-5 კაცმა ხაბაკიც დავკარგეთ. ვიკითხეთ რაზე მოხდა ასეთი შემთხვევა. გვიპასუხეს კაციტაძემ უბრძანა საჩქაროდ წასულიყოო.

შავი ზღვის რკინის გზაზე ზოგიერთი მოსამსახურენი ისე ყმედობენ, ისე ეპყრობიან ხალხს, ვითომდა თავიანთ ჯიბის გაკეთებული იყოს ეს გზა.

ვთხოვთ გზათა სამმართველოს გამოარკვიოს ზემოდ-დასახელებული შემთხვევა და დამნაშავეს მოსთხოვოს კანონიერი პასუხი.

კ. წურწუმია.

ამ დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს

არა ერთი და ორი წერილი დაწერილა იმ არანორმალურ მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებს მდუღებელთა საამქროში. ეს განყოფილება ისეთ აუცილებელ რამეს წარმოადგენს მთავარ სახელოსნოსა და ლიანდაგისათვის, რომ უმისოდ თითქმის მთელი 85 პრ. შეფერხდება წარმოება. მაგალითად 25 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ამ საამქროში ორი გროშის საქმე არ გაკეთებულა, მუშები კი საშუალო ხელფასს იღებენ. წარმოების შეფერხების მიზეზია კარბიტის დროზე მოუწოდებლობა. ეს კარბიტი ბაზარზე ბლომად მოიპოვება. იგი მზადდება ალავერდის ქარხანაში. მასზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი წარმოების არსებობა. მიუხედავად ამისა ამ კარბიტის მიწოდების საქმეს ვერაფერმა უშველა. იყო შემთხვევა, როდესაც ამავე მიზეზით მექვაბეთა საამქროში ერთი ბრიგადიდან 10 კაცი არ მუშაობდა, ხელფასს კი იღებდენ. კარბიტის უქონლობის გამო გაჩერებულია ბევრი ქვაბი, რომელნიც მოითხოვენ დადუღებას სხვადასხვა ადგილებზე.

აქ კიდევ ბევრი ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ - ჯერობით ესეც კმარა და თუ ვისმეს გული შესტკივა წარმოებისათვის ამ არანორმალობას უსათუოდ გამოარკვევს და დამნაშავეს ჩვენი მუშების თანდასწრებით გასამართლებს, რადგანაც აქ უსათუოდ დაუდევრობას აქვს ადგილი და სხვა არაფერს. ამაზე დიდი ხანია კედლის გაზეთიც მიუთითებს.

მუშა ვ. ნ. ბ.

კოკა მუდამ არ მოიტანს წყალს

არა ერთხელ მიეცია წინადადება მესამე უბნის სატყეო სამსახურის უფროსისათვის სადგ. ჭრელის-წყალის უფროსს, რომ გასაგზავნად მოტანილი შეშები არ უნდა იყოს დაწყობილი უწესოდ და რკინის გზასთან ახლო, მაგრამ სულ ამაოდ. ყურსაც არ იბერტყავს მესამე უბნის უფროსი და განაგრძობს ასეთ უწესოების ჩადენას.

17 ნოემბერს, როდესაც სადგ. უფროსის თანაშემწე ამხ. შ. სურგულაძე აღლუმს აკეთებდა ორთქლმავალი წამოედო დაყრილ შეშებს. მძიმეთ დაშავდა სურგულაძე. დაშავებული იმავე სალამოს გაგზავნეს რკინის გზის მთავარ საავადმყოფოში. საჭიროა ამ დაუდევრობისათვის სასტიკი პასუხი მოეთხოვოს ხჩ-შე-ს.

ვ. ნავროზაშვილი.

ვის ასწავლის ჭკუას სადგურის მორიგე

24 ნოემბერს თბილისიდან გაემგზავრა საბარგო მატარებელი № 331 ორთქლმავალი ნომერ 1036. როდესაც ღამის 21 საათზე იგი უახლოვდებოდა სადგურ სალოღლს, მემანქანე ლეჟავას და მის თანაშემწეს ფხიზელმა თვალებმა შენიშნეს, რომ სემაფორი იყო ჩამქრალი და ამავე დროს დაკეტილი. მაშინვე იქნა მიღებული ზომები 70 რონოდის შეჩერებაში, ვიდრე გამცილებელი არ მოვიდა. მემანქანე ლეჟავამ განაცხადა, რომ „სემაფორი" ჩამქრალა და „ბენდერის" ფარნებიც.

40 წუთის შემდეგ მოდიოდა მატარებელი № 21. მისმა მემანქანემ მახარაშვილმაც შეაჩერა მატარებელი, ვიდრე გამცილებელი არ მოვიდა. იგი თითქმის ნახევარი საათი იყო გაჩერებული. არ იყო განათებული პირველი შესავალი „ბენდერის" ფარნები.

ნუ თუ მორიგემ არ იცის, რომ ასეთი მოქმედება დაუშვებელია.

უნდა ინთებოდეს დროზე, როგორც სემაფორი, აგრეთვე „ბენდერის" ფარნები. ეს უნდა იცოდენ მორიგეებმა.

მუშკორი შავხოფლელი.

ხულიგნობა უნდა მოისპოს

არ იქნა და ვერ მოისპო ახალგაზრდობის ქუჩაში ხულიგნობა. ვერც ერთ ქუჩაში ვერ გაივლი ისე, რომ წინ არ დაგიხვდენ ხულიგნები და არ გაგითხოვონ დასარტყმელად. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ქალიშვილს სრულიად ვერ გაუვლია შიშით ქუჩაში ისეთ ალიაქოთს აუტეხავენ, რომ იძულებულია სასწავლებელსაც მიანებოს თავი და გაშორდეს აქაურობას. ამას ეხლავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და მთლად აღმოიფხვრას ქუჩაში ასეთი ხულიგნები, განსაკუთრებით ვერის ბაზართან.

ვ. მათიაშვილი.

ახალი გზა გაიყვანეთ

დღეს თითქმის ყველა განაპირა უბნებში ხდება ქუჩის მოკირწყვლა და აგრეთვე ახალი გზის გაყვანა, რისთვისაც მადლობის ღირსია აღმასკომი. კარგი იქნება, რომ პირველ უბანში ყაზბეგის ქუჩა შეაერთონ არუთინოვის ქუჩასთან. არავითარ შენობის დანგრევა არ დაგვჭირდება და არც დიდ ხარჯს გამოიწვევს. მცხოვრებს კი მიეცემათ საშუალება ქალაქთან დაახლოვების.

მუშკორი შალი.

მუშათა ქრონიკა

— **თითო თანრიგი.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმმა დაადგინა, რათა თითო თანრიგი მოემატოთ ორთქლმავალთა გამცილებლებს.

— **სპეც-ტანისამოსი.** იმავე პლენუმმა დაადგინა ეთხოვოს უბკავშირს დასვას საკითხი სადაც ჯერ არს, რათა მემუხრუჭეთა კუთვნილ სპეცტანისამოსს (ნახევარ პალტოს) გაუგრძელდეს ხმარების ვადა 2 წლით.

— **პროფწრე.** პლეხანოვის სახ. კლუბის ქართულ პროფწრის მეცადინეობა დაიწყო 7 დეკემბრიდან.

— **ლიტერატურული გასამართლება.** კვირას 12 დეკემბერს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში მოხდება პიესა „უნიადაგონი"-ს მთავარ გმირების ლიტერატურული გასამართლება.

— **წიფაში მომხდარ კატასტროფის** გამო სადგ. ხაშურის მუშა-მოსამსახურეებმა გაიღეს 333 მანეთი დაღუპულთა ცოლ-შვილის დასახმარებლად.

— **ცეხბიუროები.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგში არსდება ცეხბიუროები მესრეთა და კონდუქტორთათვის.

— **წარმოდგენა.** შაბათს, 11 დეკემბერს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით დაიდგმება შალიკაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „უნიადაგონი".

— **სალექციო დარბაზი.** პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყო სალექციო დარბაზი.

— **ხარჯთ-აღრიცხვა.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაამტკიცა ნოემბრის თვის ხარჯთ-აღრიცხვა.

— **კედლის გაზეთი.** თბილისის „ზაკტპოს" თანამშრომელთა კულტკომისია უშვებს ყოველთვიურად კედლის გაზეთს „ახალგაზრდა კოოპერატორი"-ს სახელწოდებით.

— **ადგილობრივი საკითხები.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა, რომ ხაზზე მოწვეულ საერთო კრებებზე დაისვას ადგილობრივი ხასიათის საკითხები.

— **შტატის გადიდება.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს გამგეობამ საჭიროდ სცნო სალაროში 1-მემანქანით შტატის გადიდება.

კოოპერაცია

სას.-სამეურნეო კოოპერაცია

(საოპერაციო გეგმა 1926-27 წლისათვის)

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობა ამჟამად გამოიხატება შემდეგში:

ქვედა საფეხურის ქსელი—არსებობს 133 საკრედიტო ამხ-ბა, რომლებსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი; ეს ამხ-ბები აწარმოებენ კრედიტების მიწოდებას სოფლის მეურნეობისათვის.

სათანადო ორგანოების დადგენილების თანახმად, ეს ამხ-ბები გადაკეთებული იქნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებათ.

ამას გარდა არის კიდევ 100 მეტი სპეციალური ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები (მეღვინეობის, მეხილეობის, ზეთ-კარაქის დამამზადებელი და სხვა); ისინი აქამდი შედიოდნენ „წარმოკავშირში". ამჟამად, როგორც მკითხველებმა იციან, წარმოკავშირი გაუქმებულია, „სოფლის კავშირი" კი ჯერ არ წარმოადგენს ცენტრს და სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბების შესვლა მასში მოსალოდნელია ახლო ხანში. ზოგიერთი სპეციალური ამხ-ბები შედის სპეციალურ კავშირებში—„ბაღ-ბოსტან კავშირში" და მეღვინეობის ორგანიზაციების კავშირში.

მეორე საფეხურს წარმოადგენს აღნიშნული სპეციალური ცენტრები—„ბაღ-ბოსტან კავშირი" და მეღვინეობის კავშირი.

მესამე საფეხურია „სოფლის კავშირი", რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ საორგანიზაციო ბიუროთი არის წარმოდგენილი.

„სოფლის კავშირი"-ს 1926-27 წლის საორგანიზაციო საოპერაციო გეგმის მიხედვით, განზრახულია ერთი პატარა ღვინის სარდაფის აგება იმერეთში, 5 საწყობის მოწყობა თამბაქოსათვის, მეფუტკრეობის მასალების დამამზადებელი სახელოსნოს მოწყობა, ორი ნიგვზის საწმენდ ქარხნის მოწყობა, საბონდარო სახელოსნოს მოწყობა და სპირტ-სარექტიფიკაციო ქარხნის აგება; ყველა ამ სამუშაოების შესრულება დაჯდება 427.000 მანეთი. „სოფლის კავშირი"-ს ოპერაციების საწარმოებლად 1926-27 წლის განმავლობაში საჭირო იქნება. გრძელვადიანი კრედიტი—260.000 მანეთი, მოკლევადიანი სესხი—1.083.000 მანეთი და საქონლო კრედიტი—90.000 მანეთი.

ბამბა

აფხაზეთის მებამბეობის რაიონიდან დაიწყო ბამბის მიტანა გალის ბამბის საწმენდ ქარხანაში, რომელიც ააგო და მოაწყო ამიერ-კავკასიის მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა. ყოველდღიურად ქარხნის საწყობი ღებულობს საშუალოდ 120 ფუთ ნედლ ბამბას. წელს გალის ქარხანამ უნდა დაამუშაოს აფხაზეთის ბამბის მოსავლის ორი მესამედი. აფხაზეთის ბამბის მოსავალი წელს უდრის 36 ათას ფუთს ნედლ ბამბას, აქედან გალის ქარხანა დაამუშავებს არა ნაკლებ 24.000 ფუთისა. ქარხანაში მანქანების დადგმა და მათი შემოწმება-გასინჯვა უკვე დამთავრებულია. ამ დღეებში ქარხანა დაიწყებს მუშაობას.

ა.-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი—მებამბე გლეხებისათვის დასარიგებლად აფხაზეთში გზავნის 20 ათას მეტრს მანუფაქტურას, რომელიც გლეხებს დაურიგდება თვით ღირებულების ფასებში.

საქართველოს ჩაი

ზვანის ჩაის ფაბრიკა

5 წლიან საპერსპექტივო გეგმით გადაწყვეტილია ზვანის (ოზურგეთის მაზრა) ჩაის ფაბრიკის გადაკეთება ისე, რომ ფაბრიკამ ყოველწლიურად შესძლოს 150 ათასი გირვანქა ჩაის დამზადება. მუშაობამ გეგმის განსახორციელებლად უკვე დაიწყო. ამჟამად შენდება ჩაის ფოთლის საწყობი და სახმობი შენობები. მომავალი წლისათვის გადაწყვეტილია ფაბრიკასთან გაშენებულ ჩაის პლანტაციების გაფართოება 2 დესეტინით. კოლექტიური სელექციური ბაღების მოწყობა ლაბორატორიის და მიწის ნიადაგის საკვლევი სადგურის დადგმა და სხვა. შემდეგ წელში აგებული იქნება მუშათა საცხოვრებელი სახლები და [illegible] სახლი. ზვანის ფაბრიკის გადასაკეთებლად საზოგადოებას „საქართველოს ჩაის" გადადებული აქვს 50 ათასი მანეთი. გეგმა განხორციელდება თანდათანობით — სამი - ოთხი წლის განმავლობაში.

წრევანდელი მოსავლის დამზადება ზვანის ფაბრიკამ უკვე დაამთავრა. დამზადებულია გეგმით გათვალისწინებულ ნორმაზე ნაკლები, რადგან სახმობი ფარდულის მოწყობას დააგვიანდა.

ადგილობ. მრეწველობა

საქართველოს საგეგმო კომისიამ გამოიტანა დადგენილება ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შესახებ ახალქალაქის მაზრაში.

საგეგმო კომისიის აზრით, მექანიზაციაქმნილი ყველის დასამზადებელი ქარხანა შეიძლება რენტაბელური იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წლიურად დაამზადებს არა ნაკლებ 50 ათას ფუთ რძეს.

ახალქალაქის მაზრაში ერბო-კარაქის წარმოების მოწყობის საკითხის გამოსარკვევად, ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს წინადადება მიეცა საგეგმო კომისიას წარუდგინოს სრული ცნობები მაზრაში გაშენებული სელის რაოდენობის და თვისებების შესახებ. რაც შეეხება მაზრაში მეფუტკრეობის განვითარებას, საგეგმო კომისიას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია მეფუტკრეობის განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სახით, ვიდრე სამრეწველო სკების მოწყობა სამაზრო აღმასკომებთან.

საგეგმო კომისია წინააღმდეგია მაზრაში მაუდის ფაბრიკის აგების, რადგან თბილისში შენდება მაუდის დიდი ფაბრიკა, ხოლო ნედლეულის მარაგი კი განსაზღვრულია.

საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადება მიეცა მომავალი წლის გეგმაში შეიტანოს კვლევა-ძიებითი სამუშაოები ახალციხის მაზრის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოსაკვლევად.

მუშათა კლუბები

საკლუბო მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად და აგრეთვე ერთი საკლუბო ცენტრის შექმნის მიზნით, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად და აუცილებლად სცნო მუშათა კლუბების შემდეგნაირად განაწილება:

მუშათა ახალი კლუბი გადაეცემა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა და მბეჭდავთა პროფკავშირებს. მუშათა ცენტრალური კლუბი—მელითონეთა და გემოკვების პროფკავშირებს.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კლუბი დარჩება ტრანსპორტელთა პროფკავშირის გამგებლობაში იმ პირობით, რომ კავშირმა გააფართოოს კლუბის ბინა, რისთვისაც უნდა გამოიყენოს აღნიშნულ კლუბის გვერდით მდებარე სასპორტო დარბაზი. ნორმალურ საფიზკულტურო მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროდ ჩაითვალა მუშათა ცენტრალურ კლუბის ეზოში მოწყობილ როტონდის შეკეთება.

აღნიშნულ კლუბის მიერ სხვა კავშირების წევრთათვის სამსახურის გაწევა შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების საფუძვლებზე, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან.

წინადადება მიეცა აღნიშნულ კლუბების გამგეობებს შეადგინონ კლუბების ხარჯთ-აღრიცხვა და შეუთანხმონ იგი პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას.

კლუბების გადაცემა ფორმალურად ჩატარდება 1927 წ. 1-ლ იანვრიდან.

საგარეო ვაჭრობა

1925—26 წლის სამეურნეო განმავლობაში

ამიერ-კავკასიის საბაჟომ დაამუშავა ცნობები საგარეო ვაჭრობის შესახებ 1925-26 წლის განმავლობაში. ამ საოპერაციო წელში საბაჟოს საქონლის მთელი ბრუნვა შეადგენს 144.607.000 მანეთს. ამ თანხიდან იმპორტზე მოდის—47.524.000 მანეთი, ხოლო ექსპორტზე—97.083.000 მანეთი. აქედან დასავლეთ ევროპაში გატანილია 61.736.700 მანეთის საქონელი, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში კი—35.346.300 მანეთისა. დასავლეთში გაზიდულ, ა.-კ. პროდუქციის შემდეგი ძირითადი საქონელი—ნავთის პროდუქტი 40.039.000 მანეთისა, აბრეშუმის პარკი—2.512.000 მანეთისა. ხიზილალა—1.952.000 მანეთისა, ნოხები—1.860.000 მანეთისა, ძირ-ტკბილა—1.208.000 მან., აბრეშუმის ნარჩენი—735.000 მანეთის, ბამბის თესლი—458.000 მან., ნაწლევები—429.000 მანეთისა, ხე-ტყის მასალები—581.000 მან., მატყლი—368.000 მან., ბეწვეულობა—318.000 მანეთისა, თხილი—141.000 მან., ჯაგარი—139.000 მანეთისა, 120.000 მანეთის ვაშლი და 100.000 მანეთის თამბაქო.

აღმოსავლეთის ქვეყნებში გაზიდულა 8.390.000 მანეთის ნავთის პროდუქტი, 198.000 მანეთის ხე-ტყის მასალა, ხოლო დანარჩენ 26.758.300 მანეთისა კი გაიზიდა საბჭოთა კავშირის მრეწველობის სხვადასხვა საქონელი.

წინა წლებთან შედარებით საგარეო ვაჭრობის საქონლის ბრუნვა ა.-კ. საბაჟოს საშუალებით 1925-26 წელში საგრძნობლად გაზრდილა.

შემოზიდული საქონელი

ამიერ-კავკასიის საბაჟომ დაამუშავა ცნობები უცხოეთიდან შემოზიდული საკომერციო საქონლის შესახებ. აღნიშნულ ცნობების თანახმად, 1925—26 წლის განმავლობაში შემოზიდულა 19.163 ათასი მანეთის საქონელი. აქედან საგეგმო წესით შემოზიდულა 10.420.000 მანეთის საკომერციო საქონელი. საგეგმო წესით, ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას შემოუზიდია—9.320.000 მანეთის საქონელი, ა.-კ. ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირს—565.000 მანეთის დანარჩენ ა.-კავკასიის ორგანიზაციებს კი—535.000 მანეთის საქონელი. გეგმის გარეშე ა.-კავკასიაში შემოზიდულა 8.743.000 მანეთის საქონელი. მათ შორის „აზნეფტი"-ს მიერ შემოზიდულა 6.827.000 მანეთის სხვადასხვა მოწყობილობა ნავთის მრეწველობისათვის, „საქართველოს მარგანეცის" მიერ—561.000 მანეთის სხვადასხვა მოწყობილობა.

დანარჩენი საქონელი შემოუზიდავთ ა.-კავკასიის დანარჩენ სახელმწიფო ორგანიზაციებს.

აღმოსავლეთ ქვეყნებიდან შემოზიდულა 28.360.000 მანეთის საქონელი. აქედან 25 პროცენტი რჩებოდა ა.-კავკასიაში ადგილობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენი საქონელი იზიდებოდა, საბჭოთა რესპუბლიკებში.

სახელმწიფო ვაჭრობა

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მოსკოვის განყოფილების საქონლის ბრუნვა 1925—26 წელში გამოიხატება 1.668.000 მანეთში. ის აწარმოებდა რუსეთის სამრეწველო საქონლის შესყიდვას აღმოსავლეთისათვის. ამ მიზნით იგი ყიდულობდა საკავშირო მრეწველობის ფაბრიკატებს (მანუფაქტურას, შაქარს, საგალანტერეო საქონლის).

აღნიშნულ განყოფილების საშუალებით წარმოებული ექსპორტი აღმოსავლეთში შეადგენდა 335.000 მანეთის საქონელს. მისივე საშუალებით გასაღებულა. მისივე საშუალებით გასაღებულა აღმოსავლეთიდან შემოზიდული 1.330.000 მანეთის საქონელი. აღმოსავლეთიდან შემოზიდულა, უმთავრესად, ხმელი ხილი, ბრინჯი, ბამბა. აღნიშნული საქონლის 54 პროცენტი შეუსყიდია სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს, 28 პროცენტი კოოპერაციას, ხოლო 18 პროცენტი კერძო პირებს.

აჭარისტანის მრეწველობა

ახალი საწყობი

ბათომის ნავთსადგურში დამთავრდა ახალი დიდი საწყობის აგება. საწყობის ტევადობა 60 ათას ფუთს უდრის.

ცემენტი

აჭარისტანის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ მრეწველობის და მშენებლობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნოვოროსიისკში შეიძინა 70 ათასი ფუთი ცემენტი, რომელიც უკვე გადმოტვირთულია ბათომის ნავთსადგურში.

ახალი ქარხანა

დეკემბრის 1-ლ რიცხვებში ბათომში მუშაობა დაიწყო ახალმა ქარხანამ, რომელიც ყოველდღიურად ამზადებს 30 ფუთ ზღვის ღორის ქონს.

სატყეო მრეწველობა

1925—26 საოპერაციო წლისათვის სატყეო მრეწველობის შემოსავალი უდრის 40 ათას მანეთს. წინა წლებში აჭარისტანის სატყეო მრეწველობა დეფიციტიანი იყო.

მრეწველობის განსავითარებლად

მრეწველობის განსავითარებლად შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც 900 ათას მანეთს აღემატება, გათვალისწინებულია ახალი მანქანების შეძენა და ამჟამად არსებულ ქარხნების გაფართოება.

გლეხკომები

ზუგდიდის მაზრა

ზუგდიდის მაზრაში მოწყობილია სულ 26 გლეხკომი, რომელიც აერთიანებს 8 ათას წევრს. უკანასკნელ წლის განმავლობაში გლეხკომების საერთო ბრუნვა უდრიდა 30 ათას მანეთს.

ნოემბრის დამლევს ზუგდიდში შეიკრიბა გლეხკომების სამაზრო ყრილობა, რომელსაც დაესწრო 30-მდე დელეგატი. გლეხკომების წარმომადგენელთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გლეხკომების მუშაობა თემებში წარმატებით მიმდინარეობს. გაჭირვებულთა დახმარების გარდა, ზუგდიდის მაზრის გლეხკომები ეწევიან სააღმშენებლო მუშაობას: აგებენ ხიდებს, გაჰყავთ და რემონტს უკეთებენ საურმე გზებსა და გზატკეცილებს, აგებენ საავადმყოფო და სასკოლო შენობებს და სხვა. ნოემბერში ზუგდიდში გაიხსნა გლეხთა სამაზრო სახლი, რომელიც ორსართულიანია და შეიცავს რვა ოთახს. სახლს აქვს ეზო და საქონლის დასაბინავებელი ბოსელი. სახლი აგებულია გლეხების ხარჯზე.

დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრაში ამჟამად მოწყობილია 24 გლეხკომი, რომელსაც ჰყავს 6 ათასი წევრი. ნოემბრის დამლევს დუშეთში შეიკრიბა გლეხკომების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 25 დელეგატი. დელეგატების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გლეხკომებს ჩაუტარებიათ ნაყოფიერი მუშაობა. თავის პირდაპირი დანიშნულების გარდა (ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ობოლთა დახმარება) გლეხკომებს უწარმოებიათ სააღმშენებლო და კულტურული მუშაობა: აუგიათ და შეუკეთებიათ სასკოლო შენობები და საავადმყოფოები, სათემო დაწესებულებათა სახლები, გაუყვანიათ და შეუკეთებიათ გზები, აუგიათ ხიდები და სხ.

გორის მაზრაში

გორის მაზრაში აღრიცხულია სულ 47 გლეხკომი, რომელთაც ჰყავთ 7.333 წევრი. გლეხკომები ქვრივ-ობლებს, შრომისა და ომის ინვალიდებს და სხვა გაჭირვებულთ დახმარებას აძლევენ, ფულით ნატურით და შრომით. გარდა ამისა გლეხკომები ეწევიან კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას გლეხებს შორის, და ჩაბმული არიან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სააღმშენებლო მუშაობაში.

კვალიფიციურ მუშა-ხელის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიისა და რესპუბლიკების მ.-გ. ინსპექციები ამჟამად ახდენენ კვალიფიციური მუშა-ხელის და ტეხნიკური პერსონალის გამოკვლევასა და შესწავლას მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში. გამოკვლევის დანიშნულებაა, გამორკვეულ იქნეს, თუ რამდენად უზრუნველყოფილნი არიან წარმოებები კვალიფიციური ხელით და, როგორია მუშა-ხელის ნამდვილი კვალიფიკაცია. კვალიფიციურ მუშა-ხელის არსებული კადრის გამორკვევასთან ერთად გამონახული იქნება ის ღონისძიებები, რომელიც უნდა მიიღონ ცალკე წარმოებებმა, ტრესტებმა და პროფკავშირებმა მუშა-ხელის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. თანაბრად ამისა შესწავლილ იქნება ღონისძიებები საშუალო და მაღალი ტეხნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალი კადრების მომზადების საკითხს, კერძოდ, პროფგანათლების გეგმას, რომელიც უნდა შეუფარდდეს მრეწველობის განვითარების 5 წლიან საპერსპექტივო გეგმას. ასეთივე ყურადღება მიექცევა პროფტეხნიკურ სკოლებსა და საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებს, რომლებმაც უნდა მოამზადონ მუშა-ხელი და ტეხნიკური პერსონალი წარმოებებისა, სამრეწველო გაერთიანებებისა და პროფკავშირებისათვის.

ამ პრობლემის შესწავლის შემდეგ გამორკვეული იქნება არა მარტო ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საჭიროება კვალიფიციური მუშა-ხელის და ტეხნიკური პერსონალის მხრით, არამედ ამ საჭიროების დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობანი.

ავიაქიმის ყრილობა

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. აბაშიძის მოხსენების გარშემო და ყრილობა ისმენს მომხსენებლის საბოლოო სიტყვას.

სარევიზიო კომისიის მოხსენება

ამხ. აბაშიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, ყრილობა ისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას.

მომხსენებელი ამხ. უმანსკი, ახასიათებს, რა პრეზიდიუმის მიერ ჩატარებულ მუშაობას საანგარიშო პერიოდში, აღნიშნავს, რომ მას მძიმე ფინანსიურ პირობებში უხდებოდა მუშაობა და გამოჰყავს დასკვნა, რომ სარევიზიო კომისიას პრეზიდიუმის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე იხსნება კამათი სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო. კამათის შემდეგ ყრილობა იღებს საერთო რეზოლუციას, რომლის თანახმად ივი პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის.

ყრილობა ისმენს აგრეთვე, კომისიების მოხსენებებს, რომლებიც არჩეულ იქნენ ცალკე საკითხების შესახებ კონკრეტულ ღონისძიებების შესამუშავებლად.

მის მიერ შემუშავებულ რეზოლუციებში წამოყენებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა გატარება ცხოვრებაში ხელს შეუწყობს საზოგადოების მუშაობის გაღრმავებას.

არჩევნები

დასასრულ ყრილობა გადავიდა: ახალი საბჭოს, სარევიზიო კომისიის და ა.-კავკასიის და საკავშირო ყრილობებზე დელეგატების არჩევნებზე.

ახალ საბჭოში არჩეულ იქნა 37 წევრი და 5 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში 5 წევრი და 2 კანდიდატი. დელეგატებად ამიერ-კავკასიის ყრილობაზე არჩეულ იქნა 16 კაცი და საკავშირო ყრილობაზე ორი—ამხ. ლ. აბაშიძე და ტრაჯენი.

საქმეებით მეტის-მეტად დატვირთვის გამო, ყრილობა ამხ. შ. მათიკაშვილს ანთავისუფლებს საზოგადოების თავმჯდომარეობის მოვალეობის ასრულებიდან, უცხადებს მას ღრმა მადლობას [illegible] ყრილობა ამხ. იმედაძეს.

საზოგადოების თავმჯდომარედ ყრილობა ერთხმად ირჩევს ამხ. ს. ჯუღელს და მის თანაშემწედ ამხ. ლ. აბაშიძეს.

ამხ. შ. მათიკაშვილის სიტყვა

ყრილობის დახურვის წინ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. შ. მათიკაშვილი. ის აღნიშნავს საზოგადოებს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას, მისი წევრების აქტივობის თვალსაჩინო ზრდას და უსურვებს მომავალ საბჭოს უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

მქუხარე ტაშის ქვეშ ამხ. მათიკაშვილი საქართველოს ავიაქიმის მეორე ყრილობას დახურულად აცხადებს.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროში

შესდგა საქართველოს სატეხნიკო-საინჟენერო ძალთა ბიუროს მორიგი კრება, რომელმაც განიხილა მთელი რიგი საკითხებისა.

პირველ საკითხად განხილულ იქნა ქალთა განყოფილების შემადგენლობა ახლად გასახსნელ სამღებროსათვის სპეციალისტის გაგზავნის შესახებ. სამღებროს გახსნა განზრახულია მოხდეს ახლო ხანში; იქ იწარმოებს ყოველგვარი ქსოვილების შეღებვა. სახელოსნოში იმუშავებენ უმუშევარი ქალები.

ბიურომ დაადგინა მიავლინოს სამღებროს მოსაწყობათ და შესაფერი პირობების შესასწავლათ სათანადო სპეციალისტი.

შემდეგ განხილულ იქნა რესპუბლიკაში არსებული ქიმიური მრეწველობის გამოკვლევის და დათვალიერების გეგმა.

დასასრულ სხდომაზე გაარჩიეს თბილისის აღმასკომის ქვემდებარე დაწესებულებებში მომუშავე ქიმიკოსთა ხელფასის საკითხი. გამოირკვა, რომ აღმასკომის ქიმიკოსები ღებულობენ ნაკლებ რაოდენობის ხელფასს, ვიდრე სხვა დარგებში მომუშავე ქიმიკოსები. ბიურომ დაადგინა იშუამდგომლოს მათი ხელფასის მომატების შესახებ.

აღწერა ფლოტზე

საკავშირო სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშავა წესები და დაუგზავნა სახელმძღვანელოთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკებს საბჭოთა და კერძო სავაჭრო ფლოტზე აღწერის ჩატარების შესახებ.

თანახმად შემუშავებული წესებისა, აღწერა ჩატარდება ყველა გემებზე, გარდა უცხო სახელმწიფოთა გემებისა, მომუშავეების, მეზღვაურების და უფროსთა შემადგენლობის და გემის მოსამსახურეთა ოჯახების შორის.

გემებზე აღწერის ხელმძღვანელობა მიენდობა გემის მეთაურებს ან მათ რწმუნებულებს, აღწერა უნდა მოხდეს 17 დეკემბერს, მაგრამ თუ ამ დღეს გემი ზღვაში სცურავს, მაშინ აღწერა ჩატარდება მისი პირველ ნავთსადგურში მისვლისთანავე.

იმ შემთხვევაში თუ 17 დეკემბრიდან 17 იანვრამდე საბჭოთა გემები იმყოფებიან შორეულ ნაოსნობაში და ვერ მოახერხეს საბჭოთა კავშირის ნავთსადგურებში შესვლა, გემის მეთაურები მოვალენი არიან უცხოეთის სანაპირო ქალაქებში გაჩერებისას მონახონ საბჭოთა კონსულები, მიიღონ შესაფერი სააღწერო მასალები და ჩაატარონ აღწერა.

კერძოთ საქართველოს სანაპიროებზე მდგარე გემების მეთაურებმა ყოველგვარი გაურკვევლობის შესახებ განმარტებისათვის უნდა მიმართონ ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს.

სტამბების გამოკვლევა

შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ მოახდინა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული ტრესტის მე-2, მე-3 და მეოთხე სტამბების, პოლიგრაფიული სკოლის და ლიტოგრაფიის გამოკვლევა.

გამოკვლევის შედეგათ მიღებულია შემდეგი ღონისძიებანი: მეორე სტამბაში — უნდა მოეწყოს შრიფტის სარეცხი ოთახი, საუზმის ბინა, დასასვენებელი ადგილი, საპირფარეშო, სამანქანო განყოფილებაში უნდა დაიდგას ელექტრო-რეფლექტორის სანათურები. გარდა ამისა სამანქანო განყოფილების შენობა უნდა გაფართოვდეს.

მესამე სტამბაში — გაფართოვდეს სამუშაო შენობა, შეკეთდეს სიმძიმეთა ასაწევი ლიფტი. სამანქანოში დაიდგას რეფლექტორები, სალინოტიპოში მოეწყოს ეგზაუსტორი, სამუშაო შენობაში მოეწყოს ვენტილიაცია და სხვ.

მეოთხე სტამბაში — მოხდეს სამუშაო ბინების გაფართოება, მოეწყოს ცენტრალური ვენტილიაცია და სტამბის ჰაერი გაიწმინდოს საათში სამჯერ, დაიდგას რეფლექტორებიანი სანათურები, მოეწყოს მუშებისათვის შესაფერი დასასვენებელი ბინები, შეკეთდეს ღუმელები და სტამბაში დაცულ იქნას სითბო 12 გრადუსი.

პოლიგრაფსკოლაში — გაფართოვდეს სამუშაო განყოფილება, გაფართოვდეს აგრეთვე სამანქანო შენობა, მოეწყოს ცენტრალური ვენტილიაცია და სხვ.

ლიტოგრაფიაში — მოეწყოს სპეციალური ლიფტი ქვების საზიდათ, გააფართოონ სამანქანო განყოფილება და სხვ.

შრომის დაცვის ინსპექციამ გამოიკვლია აგრეთვე 1-ლი სტამბა, სადაც აღნიშნულ იქნა მთელი რიგი დეფექტებისა, დაგროვილი მასალები გადაეგზავნა ს. მ. უ. ს. გასაცნობათ და ზომების მისაღებათ.

საექიმო პერსონალის აღრიცხვა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობა ყველა სამეურნეო დაწესებულებებს და ქვემდებარე ორგანოებს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგენ მომუშავე საშუალო საექიმო მედპერსონალის აღრიცხვას, მათ მიერ დაკავებულ თანამდებობათა აღნიშვნით.

აღნიშნული ცირკულიარის დაგზავნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხშირათ სამეურნეო დაწესებულებებში საშუალო მედპერსონალის ადგილი ხშირად უჭერიათ სამისოთ მოუმზადებელ მუშაკებს.

სააღრიცხვო ბარათზე აღნიშნული იქნება მოსამსახურის პიროვნება, თანამდებობა, ცენზი და სამსახურის ადგილი. იმ მოსამსახურეთა სია, ვინც არ გატარდება აღრიცხვაზე ცალკე იქნება შედგენილი.

აღრიცხვა დაიწყება ამ რამოდენიმე კვირაში, როგორც ქალაქებში, ისე პროვინციებში.

აღწერის წინ

მასალების მიღება

ცენტრ. სტატ. სამმართველოში შემოსულია ცნობები ყველა მაზრებიდან სააღწერო მასალების—ფორმულიარების და სააღწერო ბარათების მიღების შესახებ. მასალები მიიღეს აგრეთვე ლეჩხუმისა და სვანეთის მაზრებმა.

გამასწორებელ სახლებში და იზოლიატორებში

გამასწორებელ სახლებში და საგანგებო იზოლიატორებში აღწერის ჩასატარებლად, აღწერის განყოფილება რეგისტრატორებისათვის სახელმძღვანელოთ იმუშავებს შესაფერ საპირადო ბარათის ფორმას.

შეღავათები აღმწერლებს

საკავშირო ც. სტატ. სამმართველომ მიმართა რკ. გზების სამმართველოებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ აღმწერლებს რკ. გზით მოგზაურობის დროს—მისცენ ბილეთები რიგს გარეშე, დაუთმონ სამუშაოთ საჭირო შენობები და სხვა.

სოფლების მოსახლეობა

აღწერის განყოფილებამ დაუგზავნა ადგილებს მიწერილობები, რომ აღწერის დროს ცალკე სტრიქონში აღნიშნონ სოფლის სახელწოდება, რომ ამით შესაძლებელი იქნეს რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის რაოდენობის და სოფლთა რიცხვის გამორკვევა.

საექიმო დახმარება

ქუთაისში

ვენერიული დისპანსერი

ქუთაისის ვენერიული დისპანსერი გაიხსნა ამ წლის პირველ აპრილს. დისპანსერთან არსებობს განყოფილება მწოლიარე და მოსიარულე ავადმყოფებისათვის. ყოველთვიურად საავადმყოფოში ტარდება დაახლოებით 35.000 ავათმყოფი. უკანასკნელ დრომდე ექიმობა უფასო იყო, მაგრამ ამჟამად უსახსრობის გამო ექიმობა სწარმოებს ავათმყოფების ხარჯზე.

დისპანსერი უზრუნველყოფილია ინსტრუმენტებით. გარდა საექიმო დახმარებისა, დისპანსერის საექიმო პერსონალი აწარმოებს გამოკვლევებს ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში.

ამჟამად ტარდება სასტუმროების, გასტრონომიულ მაღაზიების, ფაბრიკების გამოკვლევა.

დისპანსერში კვირა-უქმე დღეებში ექიმები კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა მეცნიერულ თემებზე.

პასტერის სადგური

23 აპრილიდან 27 ნოემბრამდე ქუთაისის პასტერის სადგურმა საექიმო დახმარება აღმოუჩინა 124 ცოფიან ძაღლის მიერ დაკბენილ ავათმყოფს. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ავათმყოფს მძიმე ჭრილობები ჰქონდათ, სიკვდილის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

სადგურთან არსებობს 10 საწოლი მწოლიარე ავათმყოფთათვის.

ქრონიკა

პროფტეხნიკური განათლება

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ცნობით, პროფტეხნიკურ სკოლათა რიცხვი საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება. ამჟამად საქართველოში არსებობს 12 სასოფლო-სამეურნეო სკოლა, 28 გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, 8 საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, 4 მუშფაკი, 5 სამხატვრო [illegible] კურსები და 14 [illegible] სკოლა.

საბჭოთა საქართველო და სპარსეთი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს სთხოვა გადასცეს მას ცნობები [illegible] სკოლების შესახებ. ეს ცნობები გამოთხოვილია თავრიზიდან. განათლების კომისარიატი იძლევა ამ ცნობებს, რომლებიც გადაეცემა საგარეო საქმეთა რწმუნებულს თავრიზში გადასაგზავნად.

იტალიური ბანკნოტების გაუქმება

საგარეო საქმეთა სახკომისარიატის რწმუნებულმა იტალიის გენერალური კონსულიდან (თბილისში) მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიის მეფის დეკრეტის თანახმად 1927 წლის 3 ივნისიდან გამორიცხულია ბრუნვიდან ხუთი და ათ ლირიანი ღირებულების ბანკნოტები და მათი მიღება გარძელდება მხოლოდ 1927 წლის 30 დეკემბრამდე.

მეღვინეობის ასაღორძინებლად

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა ს. ს. რ. კავშირის სათანადო ორგანოების წინაშე, რათა რ. ს. ფ. ს. რ. მიწსახკომისა; ფინსახკომისა, ჯანსახკომისა და ს. მ. უ. საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილება 1927 წ. იანვრის 1-მდი არაღვინის სპირტით ღვინის გამაგრების წარმოების შესახებ—გაუქმებულ იქნეს.

საქონლის შემოზიდვა

ნოემბერში უცხოეთიდან ჩვენში შემოზიდულია 33.500 მანეთის საქონელი. შემოზიდულია უმთავრესად — გზის სატკეცი მანქანები, მანქანები ხე-ტყის დამმუშავებელ ქარხნებისათვის, ავტონაწილები, არითმომეტრები, ფოტო-საღებავები და სხვა მასალები.

გასატანი საქონლის დამზადება

ნოემბრის თვის მეორე ნახევრის განმავლობაში ა.-კ. სახელ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დაამზადა 23.000 კილოგრამი მუხის ტკეჩი, 276 ცალი ნოხები, 3.000 კილოგრამი აბრეშუმის ნარჩენი და 11 ტონა ვაშლი.

დახმარება ინგლისის მემაღაროებს

ქუთაისის რკინისგზელებმა ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ მთელი კამპანიის განმავლობაში შეაგროვეს და გადაგზავნეს ცენტრში 1157 მანეთი. ამ ჯამში არ შედის უკანასკნელი ერთ-პროცენტიანი ანარიცხი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის მთლიანად შეგროვებული.

უმუშევართა კრებები

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა კავშირებს ერთი თვის განმავლობაში ჩაატარონ უმუშევართა საერთო კრებები, რომელთა დღის წესრიგში დასმული უნდა იქნეს შემდეგი კითხვები: სექციის მუშაობის მოხსენება (რომელ სექციაშიც ჩაწერილნი არიან უმუშევრები); უმუშევართათვის დახმარებების გაცემის წესი და საკავშირო მუშაობის სხვადასხვა საკითხები.

თბილისის აღმასკომში

◆ **ზაჰესი.** ამ დღეებში სავსებით დამთავრდება ზაჰესის ჰიდრო-ტეხნიკური ნაგებობათა გამოცდა.

◆ **კანალიზაცია.** კეთილმოწყობის განყოფილებამ დაამთავრა საკანალიზაციო სისტემის შეკეთება ვაკეში. ამჟამად სწარმოებს ახალი მაგისტრალების გაყვანა.

◆ **ალ. ჯაფარიძის ძეგლი.** აღმასკომმა თავის მოზაიკურ სახელოსნოს შეუკვეთა ალიოშა ჯაფარიძის ძეგლი, რომელიც დადგმული იქნება მისი სახელობის ბაღში.

დაზღვევა

◆ **თბ. დამზღვევი სალარო** ასურეთში აწყობს დასაზღვევ პუნქტს.

◆ **ერთეული მუშების დაზღვევა.** 1 დეკემბრიდან ტარდება ცხოვრებაში ახალი დებულება ერთეული მუშების დაზღვევის შესახებ.

◆ **საზამთრო კურორტებზე.** დღეს ბორჯომში იგზავნება დაზღვეულ ავადმყოფების მეორე წყება.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **სანერგე.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით გორის მაზრაში ეწყობა ამერიკული ვაზის სანერგე.

◆ **აგრონომდახმარების** საქმეზე წელს დაიხარჯება 500.000 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ **მუშფაკებისათვის** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა შეიძინოს ფიზიკური კაბინეტი, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები.

◆ **გამოკვლევა.** სიღნაღის და თელავის მაზრებში სკოლების გამოსაკვლევად მივლენილია ინსტრუქტორი სოსელია.

◆ **წმენდა.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სემესტრის ბოლოში მუშფაკებში ჩაატაროს აკადემიური წმენდა.

◆ **კონფერენცია.** ახლო ხანში მოწვეული იქნება სახელმწიფო ენის და საზოგადოებათა მეცნიერების მასწავლებელთა კონფერენცია.

სხვადასხვა

◆ **თამბაქო.** მიმდინარე წელში აფხაზეთში სულ დამზადდება 550.000 ფუთი თამბაქო.

◆ **სახალხო მამულების ტრესტმა** ამერიკიდან დამატებით გამოიწერა 600.000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

◆ **ბამბაზე** წელს დაწესებულია ფასები: ფუთ ნედლ ბამბაზე—4 მ. 15 კ. პირველი ხარისხის; 3 მ. 75 კ., მეორე ხარისხის, 2 მ. 45 კ. მესამე ხარისხის ფ. ბამბაზე.

შემთხვევები

გლეხების გაძარცვა

ასურეთის სამილიციო რაიონში სოფ. კლდის ახლო 2 დეკემბერს გათენებისას შეიარაღებულ ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ქ. თბილისისაკენ მომავალი გლეხები სედრაკ არაქელოვი და ხაჩატურ სარქისოვი, რომლებსაც წაართვეს ქალაქში გასასყიდათ წამოღებული საქონელი. მიღებული ზომებით შეპყრობილი იქნენ ლევან არტემის-ძე სუკიასოვი და გიორგ ბესაძე მეზურნიშვილი.

ქურდის შეპყრობა

8 დეკემბერს კალინინის ქ., № 73, ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს იოსებ ორლოვის ბინა, საიდანაც წაიღეს 250 მან. სხვადასხვა საოჯახო ნივთები. მიღებული ზომებით ერთი ბოროტმოქმედთაგანი ნიკოლოზ შვილოვი დაპატიმრებული იქნა იმავე დღეს. მეორე ბოროტმოქმედმა მოასწრო მიმალვა.

◆ **კედლის გაჩვრეტის** საშუალებით 8 დეკ. ლენინის ქ., № 2, გაქურდეს მუშკოოპის თევზეულობის განყოფილება. წაღებულ საქონლის ღირებულება გამოურკვეველია.

◆ **კარების გატეხვის** საშუალებით 8 დეკ. გაქურდეს საბჭოს მოედანზე მდებარე დავით ბიტარაშვილის ღვინის სარდაფი.

◆ **შეპყრობა.** 8 დეკ. ქურდობისათვის დააპატიმრეს ალექსი პეტროსიანცი, რომელსაც ბრალდება მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის ჯიშ ფრინველების სადგურის გაქურდვა.

◆ ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ლევან არაქელოვი ნაქურდალი ნივთებით.

◆ **დაუკეტავ ბინიდან.** (ანასტასიევის ქ., № 121), 8 დეკემბერს ვასილ ჩიტაიშვილს მოპარეს 165 მანეთის ნივთები.

◆ ამავე დღეს ატენის ქ., ვაკეში, გაქურდეს ეფემია მედვედიევის ბინა.

◆ ამავე დღეს ბებუთოვის ქ., № 42, გაქურდეს მიხეილ ხუბერიანცის ბინა. წაიღეს 125 მ. ნივთები.

რკინისგზებზე

სახალხო მატარებლის გაწყვეტა

ავჭალა-თბილისის შუა, გუშინ გაწყდა ფოთიდან მომავალი სახალხო მატ. № 19. მატარებელი თბილისში ჩამოვიდა ორ ნაწილად.

ორთქლმავლების მიღება

ამიერ-კავკასიის რკინის გზები დიდ ნაკლებობას განიცდის ორთქლმავლების მხრივ. ამჟამად გზებზე გამოგზავნილია რვა ძლიერი ორთქლმავალი, რაც საშუალებას მისცემს მას გააძლიეროს მატარებლების მიმოსვლა დერბენტიდან-თბილისამდე და ბათომიდან-თბილისამდე.

კაზანცევის მატარებელი

დღეს, ბაქოდან თბილისში მოვა კაზანცევის მატარებელი, თბილისში მატარებელს გამოუცვლიან ორთქლმავალს და იგი წავა ბათომში.

ხაშურიდან-ბათომისაკენ მატარებელს წაიყვანს ორი ორთქლმავალი. ხაშურიდან მარელისამდე მატარებელს წაიყვანს თვით ფლ. კაზანცევი.

გზის მუშაობა

ამჟამად ა.-კ. რკ. გზები ისეა დატვირთული მუშაობით რომ იგი უდრის 1913 წლის დატვირთვას. დღე-ღამის განმავლობაში გზებზე იტვირთება—338 რონოდა და ივსება ნავთით—763 ცისტერნი.

მატარებლის გაწყვეტა

გუშინ დილის 8 ნახ. საათზე ლიხსა და წიფას შუა სურამის გვირაბში გაწყდა საბარგო მატარებელი, მატარებლის ერთი ნაწილი—14 რონოდის შემადგენლობით ჩაიყვანეს წიფაში, დანარჩენი 35 რონოდა დარჩა ადგილზე. ხაშურიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც ამოიყვანა დარჩენილი რონოდები. მოძრაობა აღდგენილ იქნა. მატარებლის გაწყვეტის მიზეზებს იკვლევენ. ხაშურის სადგურის უფროსის ცნობით, გაწყვეტილი მატარებელი სწორად იყო შედგენილი და მასზე იმყოფებოდა მემუხრუჭეების საკმაო რაოდენობა.

დაჯახება

ბაქოს საქონლის სადგურში გუშინ დილის 10 საათზე და 35 წუთზე მანევრების დროს მუხრუჭების უვარგისობის გამო, ხაზზე მდგომ რონოდას დაეჯახა 4 რონოდა, ღია რონოდა გადავარდა ლიანდაგიდან.

გულენკოს შპალები

თბილისში ა.-კ. რკ. გზების დასავლეთ ხაზიდან დაბრუნდა კომისია, რომელმაც გამოიკვლია პროფ. **გულენკოს** მეთოდით ვულკანიზაციაქმნილ ფიჭვის შპალების მუშაობის პირობები.

კომისიამ შპალების გამოკვლევა აწარმოვა ბათომის და სურამის ხაზებზე და ამასთანავე ჩაატარა ცდები გორის სავულკანიზაციო ქარხანაში.

შპალების დათვალიერებამ დაამტკიცა, რომ ყველა ვულკანიზაციაქმნილი შპალები (გამოუკლებლივ), რომლებიც ეგო გზებზე არა ნაკლებ ორი წლის განმავლობაში, ძლიერ დაპიანებულია სოკოებისაგან და ისინი არაფრით არ განსხვავდებიან არა ვულკანიზაციაქმნილ შპალებისაგან.

გორის სავულკანიზაციო ქარხანაში ცდების ჩატარების შემდეგ, კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იქ შპალების გამოწვა არ სწარმოებს თანაბრად. სახელდობრ: რონზე დაწყობილ შპალების ზედა ნაწილი უფრო იწვის, ვინემ ძირს დაწყობილი ნაწილი.

მიუხედავად შპალების მეტ-ნაკლებად გამოწვევისა, გამოირკვა, რომ შპალები მაინც ლპებიან. ამასთანავე გამოირკვა ისიც, რომ ლაბორატორიული წესით ვულკანიზაციაქმნილი შპალები ძლიერ განსხვავდებიან ჩვეულებრივ ვულკანიზაციაქმნილ შპალებისგან, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ არიან ისინი დაზღვეულნი ლპობისაგან.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, კომისიის წევრმა ინჟ. მელნიკოვმა, გულენკოს შპალების შესახებ განაცხადა:

ამჟამად კომისიის წინაშე სდგას საკითხი გორის ქარხნის მუშაობის შესახებ მომავალში.

1924 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული—ეხლამდე ვულკანიზაციის ქვეშ გატარდა ჩვენ გზებზე 290.000 შპალი და თითოეული მათგანის ვულკანიზაცია დაჯდა 60 კაპიკი.

ცხადია, იმდენად, რამდენადაც გულენკოს წესით შპალების ვულკანიზაცია არაფრით არ განსხვავდება არა ვულკანიზაციაქმნილ შპალებისაგან,—გზები მათი გამოყენებით ზარალობდენ.

ეხლა კომისია მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია გორის სავულკანიზაციო ქარხნის დაკეტვა. ეს საკითხი გადაწყდება ახლო მომავალში.

ხელოვნება

რუსული დრამა

„ზოიას ბინა".

კომედია „ზოიას ბინა" მეათეჯერ მიდის მუშათა თეატრში და ინტერესი მისდამი თუ იზრდება, თორემ არ კლებულობს. ამ პიესას ჩვენი „დეზერტირკის" ბედი ეწია. ის არის, ან უფრო სწორად, მას აქვს პრეტენზია იყოს სატირა საჭირბოროტო ყოველდღიურობაზე. მაგრამ სოციალური ხელოსნებმა ერთობ ვიწრო და მხატვრულად დაუსრულებელია. ამ რევოლიუციისაგან „დაფერთხილ" საზოგადოების თავმოყრა, საროსკიპოს მოწყობა პრა-კერვის სკოლის აბრით, ეს ლოთი და მექრთამე სახლის კომიტეტის თავმჯდომარე, ეს რაღაც უხეიროდ მიკერებული ფიგურები ჩინელობის, რაც კლოუნადის სახეს აძლევს მთელ პიესას, მსუბუქ ვოდევილის ტრაღიკული დასასრული, ერთიანი სტილის და ინტრიგის უქონლობა გვაძლევს უფრო იაფფასიან „მდგომარეობის კომიზმს", რომელზედაც ასე ხელოვნურად მიუწებებიათ გულმოდგინედ შეკრებილი გაცვეთილი ოხუნჯობანი.

ეს უგემური დამალებული ხუმრობა მლაშე „პიკანტურ" გამოვნებაშია გასცენიურებული. ის ნავარაუდევია მაყურებლის „მგრძნებარე" ნერვებზე, რომელიც გულგრილი ვერ რჩება სცენიურ პორნოგრაფიისადმი, რა გინდ არა მხატვრულ ფორმებში მიართვათ მას ეს. აქ უკუგდებულია ყოველგვარი ზრაზროვნება, გადაკვრით თქმა. მაგრამ საინტერესოა, განა შესაძლებელი და საჭიროა ყველაფრის სცენაზე გამომზეურება, რაც კი „სინამდვილეში" ხდება? ფარდის ახდისთანავე თვალში გვხვდება სასტუმროს შუა გულში სავარძელზე მჭერმეტყველურად გამოფენილი ქალის საცვლები. პროსტიტუტკების არშიყობის სცენა. რა საჭიროა მხატვრულ სცენიურ გაფორმების თვალსაზრისით ამ უგემურ სცენის დეტალები? აქ გულმოდგინე სცენიური „ნაქარგი" ფსათუთად განსაზღვრულ „ეფექტზეა" ნავარაუდევი და აუცილებლად პორნოგრაფიის ხასიათს ღებულობს.

სრულიად არ ეგუება პიესის ფარსულ განწყობილებას ჩინელების სისხლიან შეჯახების გეპ-ის დრამის, მისი მკვლელობის სცენები. ტიპები საერთოთ ასე გულმოდგინედ არის შერჩეული და დამუშავებული და რატომღაც „უგროზისკის" აგენტები კარიკატურულ დაუმუშავებელ ფორმებში არიან მოცემული.

საერთოთ მთელი პიესა და დადგმაც არის შეუფებული მაყურებლის ფაზრო სიცილის მოთხოვნილებასთან, ის არის მეშჩანურ-ობივატელური, როგორც სულისკვეთებით, ისე გაკეთებულ სცენიურ გაფორმებით. მას არა აქვს არც ზნეობრივი, არც მხატვრულ ესთეტიური აღმზრდელობითი ღირებულება: ეს არის დრამატურგის უფრო მსუბუქი, მაგრამ უფრო დაბალი ფორმების გამარჯვება. უფრო მაღალ სცენიურ ჟანრზე. ეს სამწუხარო მოვლენებთან და თან ტეხავს სცენას. დრამატურგები და ყოველ შემოხვევაში მუშათა თეატრი თავისი რეპერტუარით და დადგმებით არ უნდა გაჰყვეს ამ მოლიპულ გზას. **შხეფი.**

ხელოვნების ქრონიკა

- „საიათნოვა". 14 დეკემბერს წითელარმიელთა და ფლოტის კლუბში წარმოდგენილი იქნება სომხური ოპერეტა „საიათნოვა".
- ოსური ოპერა. კომპოზიტორი ვიქ. დოლიძე ამჟამად სწერს ოსურ ოპერას.
- „ქალი ყავახანიდან". კინო სოლეიში ამჟამად მიდის ახალი სურათი: „ქალი ყავახანიდან".
- „თამარ ცბიერი". დღეს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი".
- რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.
- „ქვის მთლელნი". მუშათა თეატრში გერმანულ დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება ჰაუპტმანის „ქვის მთლელნი".
- „შაიარტუნში". ახლო ხანში გაიმართება სომეხ კომპოზიტორთა ნაწარმოებების დიდი საღამო.

სასამართლო

ტრაღედია ქეიფობის შემდეგ

(ნ. სიხარულიძის საქმე).

მხარეთა კამათი

გუშინ გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა **ლ. ფლენტმა** ვრცელი ანალიზი გაუკეთა საქმეში დართულ მასალას და აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიერ ბოროტმოქმედება ჩადენილია წინასწარი განზრახვით. მას უსაფუძვლოდ მიაჩნია ბრალდებულის და ზოგიერთი მოწმის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს სიმთვრალე ყოფილიყოს მთავარი მიზეზი მომხდარი უბედურებისა.

პროკურორი მოითხოვს ბრალდებულ სიხარულიძის დასჯას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ძალით, რომლითაც გათვალისწინებულია მკვლელობა წინასწარი განზრახვით.

დამცველი ლვამიჩავა თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ბრალდებულ სიხარულიძეს არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა ქ. პ—ს ქალი.

ის სთხოვს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ სასჯელის შემსუბუქებას.

შემდეგ უკანასკნელი სიტყვა მიეცა ბრალდებულს, რომელიც აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონია წინასწარი განზრახვა მოეკლა ქ. პ—ა.

განაჩენი

გუშინ საღამოს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბრალდებულ ნიკოლოზ სიხარულიძის საქმეზე.

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულ სიხარულიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია წინასწარი განზრახვით, რისთვისაც მიუსაჯა მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა სამი წლით თავისუფლების აღკვეთით.

მეისრე კიკნაძის საქმე

გუშინდელ სხდომაზე სასამართლომ დაადგინა: საქმეში ახალ გარემოებათა აღმოჩენის გამო, მეისრე გიორგი კიკნაძის საქმე გადაეცეს გამომძიებელს დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

მკვლელობა

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. თუმანოვის თავმჯდომარეობით, **სახალხო მსაჯულების: გაბუნიას და ცირიკიძის და პროკურორ ფხაკაძის მონაწილეობით გაარჩია გრიგოლ და ივანე გუბელაძეების საქმე.**

გრიგოლ და ივანე გუბელაძეს ბრალდებოდათ **ბიქტორ გუბელაძის** მოკვლა წინასწარი განზრახვით.

მოწმეთა დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა შემდეგი:

ამა წლის 28 მაისს, როცა გარდაცვალებული გუბელაძე თავის ვენახში მუშაობდა, მას მიეპარნენ გრიგოლ გუბელაძე და ესროლა სანადირო თოფი. ბიქ. გუბელაძე მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა.

მკვლელობა გამოწვეული იყო მით, რომ გარდაცვალებულსა და ბრალდებულს წინეთ უსიამოვნება მოუვიდათ მოსაზღვრე მამულში ღობის აგების ნიადაგზე.

სასამართლომ სცნო, რომ გრიგოლ გუბელაძის მიერ მკვლელობა ჩადენილია წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე, რისთვისაც მიუსაჯა მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლომ ბრალდებული ივანე გუბელაძე სცნო სრულიად უდანაშაულოდ და გაამართლა.

მსჯავრდადებულმა გრიგოლ გუბელაძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

მეცნიერება და ტექნიკა

ელექტრონის საწოლი

ელექტრონის საწოლი ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოიგონა ერთმა ამერიკელმა ექიმმა. გამომგონებელი ირწმუნება, რომ ახალი საწოლი მას უფრო მეტ მოსვენებას აძლევს, ვიდრე ჩვეულებრივი და საერთოდ დადებითი გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე. მთელი განყობილობა შემდეგში მდგომარეობს: ჩვეულებრივ საწოლს ზევით მოთავსებულია 7 ფუტი სიგრძის, 2 ფუტი განის და ორი ფუტი სიღრმის მქონე ყუთი. ყუთს შიგნით მიმაგრებულია 8—10 ელექტრონის ლამპა. ადამიანი სრულიად შიშველი წვება საწოლზე და უშვებს დაბლა ყუთს იმდენად, რომ ელექტრონის ლამპებმა საკმაოთ გაათბონ ტანი. ავტომატიური ტერმომეტრი თავისით აქრობს ლამპებს, თუ სითბომ გადააჭარბა განსაზღვრულ დონეს და კვლავ ანათებს მათ, თუ სითბო ნორმალურზე ნაკლებია. განსაკუთრებული აპარატი აწესრიგებს აგრეთვე ელექტრო-დენის ძალას.

ამრიგად, ადამიანი ძილის დროს ღებულობს სინათლისა და სითბოს ვანას.

ამ გამოგონებამ შეერთებული შტატების ექიმთა ყურადღება მიიპყრო.

ფონო-ფილმი

ორი წლის წინად ინგლისელმა **დეფორსტმა** გამოიგონა ფონო-ფილმი, ე. ი. მოლაპარაკე კინო-სურათი. ჩვეულებრივ კინო-ლენტიდან ფონო-ფილმი იმით განირჩევა, რომ ჰორიზონტალური მიმართულებით მოძრავი ლითონის ფირფიტები ელექტრონული სხივების ზეგავლენით გამოყოფენ შესაფერ ხმებს.

დეფორსტის ფონო-ფილმს მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებანი ჰქონდა. მრავალი ცდების შემდეგ მეორე ინგლისელმა—ელველმა იმდენად გააუმჯობესა დეფორსტის ფონო-ფილმი, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში მას უჩვენებდენ ლონდონის მრავალ კინო-თეატრებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთმა კონსერვატორმა შეიძინა განსაკუთრებული უფლება ფონო-ფილმების მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებაზე.

ედისონის ახალი გამოგონება

ედისონმა გამოიგონა გრამოფონის ახალი ფირფიტა, რომელიც მოქმედობს ოცი წუთის განმავლობაში, ძველი ფირფიტების გამოცვლა კი საჭირო იყო 3—4 წუთის განმავლობაში.

გრამოფონის ფირფიტის გაუმჯობესება გამოიწვია იმან, რომ მის წინაშე უპირატესობას აძლევდენ რადიოს. ედისონის გამოგონება გრამოფონის მოყვარულთ აძლევს შესაძლებლობას მოისმინონ პატარა ოპერეტები და ოპერის ნაწილები.

ახალი ექსპედიცია დედამიწის გარშემო

შვედმა მეცნიერმა **მილგრენმა**, რომელიც მონაწილეობას იღებდა ექსპედიციაში ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ (დირიჟაბლ „ნორვეგია"-ზე) და ამ ექსპედიციის ზოგიერთმა წევრებმა, მათ რიცხვში პოლკოვნიკმა ნობილემ, შეიმუშავა დედამიწის გარშემო გაფრენის გეგმა. გაფრენა მოხდება ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლიუსებზე გავლით. გაფრენა მოხდება ჰაეროპლანით, რომელზეც დადგმული იქნება 6 მოტორი.

ნარევი

პირველყოფილი ადამიანის თავის ქალა

ბატავიიდან (კუნძული იავა) იუწყებიან, რომ იქ პროფ. გაბერლეინმა გათხრების დროს აღმოაჩინა სრულიად მთელი თავის ქალა იმ არსებისა, რომელსაც მეცნიერებმა უწოდეს „პიტეკანტროპუს ერექტუს" და რომელიც წარმოადგენს რაღაც საშუალოს ადამიანსა და მაიმუნს შორის.

თუ ეს ცნობა დადასტურდა, მეცნიერება გამდიდრდება ევოლიუციის თეორიის სისწორის დამამტკიცებელ კიდევ ერთ ღვთიერი საბუთით.

ვაშინგტონის საბუთებისმეტყველო — ისტორიულმა მუზეუმმა იკისრა ყველა ხარჯები გათხრების გასაგრძელებლათ.

ფეხბურთი

ჭიათურა—შორაპანი

ჭიათურაში მოხდა შორაპნის რკინისგზელთა ფეხბურთის გუნდის შეჯიბრი ადგილობრივ რკინისგზელთა გუნდთან.

შეჯიბრმა დიდი ინტერესი გამოიწვია და დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, რადგან შორაპნის რკინისგზელთა გუნდი ერთ-ერთ ძლიერ გუნდათ ითვლება რკინისგზის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

თამაშის დაწყებისთანავე უპირატესობა დაეტყო ჭიათურის გუნდის მოთამაშეებს, რომლებმაც მე-5 წუთზე შეაგდეს ბურთი მოპირდაპირის ბადეში. შორაპნელები ამაოდ სცდილობდენ ანგარიშის გაქვითვას. მე-13 წუთზე ჭიათურელებმა კიდევ შეაგდეს მეორე ბურთი მოპირდაპირის ჭიშკარში. პირველი ტაიმი დასრულდა ჭიათურელების სასარგებლოდ (2:0).

მეორე ტაიმში შორაპნელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს მოპირდაპირის ჭიშკარზე.

მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი მხარის დამარცხება და ამნაირად შეჯიბრის შედეგი უცვლელად დარჩა.

დოღი ბაქოში

3 დეკემბერს ბაქოს ჰიპოდრომზე გაიმართა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცხენთსაშენების ცხენთა დოღი. გასათამაშებელი იყო რამოდენიმე ჯილდო: „დიდი აზერბეიჯანის"—250 მან. რაოდენობით—მოიგო დივნიმ (საქართველო) დისტანცია 3200 მეტრი, სიჩქარე—[illegible] წამი, ფინიშთან მეორე მოვიდა „ეთერი" (საქართველო), დისტანცია 1277 მეტრი—ჯილდო 200 მანეთი.

მესამე ჯილდო 80 მან. რაოდენობით ლამაზათ მოიგო „იაიჯა-ჭიათურელმა" და გაასწრო „ლეიდის" და „რივიერას".

120 მანეთიანი ჯილდო აიღო „მაესტრომ" (აფხაზეთი), რომელმაც უკან დასტოვა „სარდარი" და „მალიარინე" (დაღესტანი).

დოღის ბოლოს გზაში მოულოდნელათ დაეცა განთქმული ცხენი „სოფისტი" (სომხეთი) და მოკვდა. სპეციალისტმა ექიმმა „სოფისტის" საკვდილო ახსნა გულის სიდამბლით.

რ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 73

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და 17 მუხლის შეცვლისა და მე-16 მუხ. და 31 მუხ. „გ" პუნქტის ამოშლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბჭ. სოც. რესპ. კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა მე-10 და 20 მუხ. შეცვლის შესახებ, 1926 წლ. აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად (ს. ს. რ. კ. კან. კრ. № 55, მუხ. 401) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და 17 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 15. დანაშაული გაქარწყლდება და სისხლის სამართლით დევნა არ შეიძლება:

ა) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, ან კანონით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ერთი წლისა, გაივლის ათი წელიწადი.

ბ) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით, ხოლო არა უმეტეს ხუთი წლისა, ან კანონით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა ნაკლებ ექვსი თვისა, გაივლის ხუთი წელიწადი;

გ) სხვა დანაშაულისათვის, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 105, 157 მუხ., 161 მუხ. 1 ნაწ., 177, 178, 180, 181 და 182 მუხლში გათვალისწინებულია დანაშაულისა, როდესაც დანაშაული ჩადენიდან გაივლის სამი წელიწადი.

დ) სისხლის სამართლის კოდექსის 106, 157 მუხ., 161 მუხ. 1 ნაწ., 177, 178, 180, და 181 და 182 მუხლში გათვალისწინებული დანაშაულისათვის,—როდესაც მისი ჩადენიდან გაივლის ექვსი თვე.

ხანდაზმულობა შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთუ ჩადენილი დანაშაულის შესახებ მთლად ამ ხნის განმავლობაში არავითარი საქმე და გამოძიება არ წარმოებულა და თანაც ხანდაზმულობით დაფარული დანაშაულის ჩამდენს ამ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ ჩაუდენია სხვა რაიმე, იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული.

გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში სულაც არ მოიყვანება, უკეთუ იგი ასრულებულ არ იქნა ათი წლის განმავლობაში მისი გამოტანის დღიდან.

მუხ. 17. კონტრ-რევოლიუციონური დანაშაულისათვის ხანდაზმულობის შეფარდება დამოკიდებულია სასამართლოზე თვითეულ შემთხვევაში ცალკე; ხოლო უკეთუ სასამართლო ხანდაზმულობის შეფარდებას შესაძლებლად ვერა სცნობს, დახვრეტა, თუ იგი გადაწყვეტილი იქნება ამა თუ იმ დანაშაულისათვის, აუცილებლად შეცვლილ უნდა იქნეს დამნაშავის მშრომელთა მტრად გამოცხადებით, საბჭ. სოც. რესპ. კავშირის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევით და საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით, ან თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა.

როგორც ხანდაზმულობის შეფარდება, ისე დახვრეტის შეცვლა იმ პირისათვის, ვისაც პასუხისგებაში მიცემულ იქნება მუშათა კლასისა და რევოლიუციონური მოძრაობის საწინააღმდეგო აქტიური მოქმედებისა და აქტიური ბრძოლისათვის, რაც მას გამოუჩენია პასუხსაგებ ან განსაკუთრებით საიდუმლო თანამდებობაზე სამეფო წესწყობილების დროს ან კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობასთან სამოქალაქო ომის დროს,—დამოკიდებულია სასამართლოზე.

2

სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოშლილ იქნეს მე-16 მუხლი და 31 მუხ. „გ" პუნქტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჟუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

იურიდიული დახმარება

მიწის შრომითი იჯარის შესახებ

კითხვა

ვარ მოხუცი, შრომის უნარმოკლებული ქვრივი ქალი. მსურს გავცე მიწა იჯარით. მაქვს თუ არა ამის უფლება და ვის მივმართო ამის შესახებ?

გლეხის ქალი ფოტინე დარჩიასი.

პასუხი

ქვრივ—უშვილო დედაკაცებს ანდა წვრილობლებიან დედაკაცებს აქვთ უფლება გასცენ მიწა იჯარით მაზრების სააღმასრულებლო ორგანოების ნებადართვით. (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 26—27 და საქ. მიწად. მოქმ. ცირკულიარი № 10—1926 წლის 2 სექტემბრის.

ახლო ნათესავთა ერთ დაწესებულებაში მუშაობის შესახებ

კითხვა

ერთ დაწესებულებაში ვმსახურობდით ორი დები. ერთი ჩვენთაგანი განქორწინებულია და სცხოვრობს თავისი შვილით სრულიად დამოუკიდებლად თავისი შრომით; მეორე და კი არის გასათხოვარი და სცხოვრობს თავის მშობლებთან. ნაწილის უფროსი გვეუბნება, რომ ერთ დაწესებულებაში ორ დას ნება არა აქვს იმსახუროსო და ერთი ჩვენთაგანი დაითხოვეს სამსახურიდან. ორივე ვართ კავშირის წევრები და დაზღვეულნი. იმან, რომელიც დათხოვილია დაჰყო სამსახურში 9 თვე. სამსახურში ჩვენ შორის არავითარი დამოკიდებულება არ არის, არც საკონტროლო და არც ფულის, ისე, რომ თვითეულ ჩვენთაგანს გვაქვს სრული და უმნიშვნელო სამსახური და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი.

კანონიერია თუ არა დაწესებულება, რომ დაითხოვა ერთი ჩვენთაგანი.

ნ. გ.

პასუხი

ნათესავთა ერთ დაწესებულებაში ერთად მუშაობა არ დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მათგან ერთი რომელიმე იმყოფება მეორის კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ, ან და როდესაც ერთი მეორეს ემორჩილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნათესავთა ერთად სამსახური შრომის კანონმდებლობით არ არის აკრძალული. ამგვარად, თუ კი თქვენ ერთ დაწესებულებაში მუშაობდით სრულიად დამოუკიდებლად ერთი მეორისაგან, მაშინ თქვენი სამსახურიდან მოხსნა თქვენს შორის ნათესაური კავშირის მომიზეზებით არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

სწორად გამისწორეს ანგარიში.. თუ არა?

კითხვა

მე ვმუშაობ ქ. ჭიათურაში რომოდების დატვირთვის სამუშაოზე. ვარ პროფკავშირის წევრი 1922 წლიდან. მე ვიქენი გაწვეული სამხედრო ბეგარის მოსახდელად (ტერიტორიალურ ნაწილში) ა.-წ. სექტემბერში. მთელი თვე ვიმსახურე. სამსახურზე დაბრუნებისას მივიღე ჯამაგირის 2/3 და არ მიმიღია ოთახის ქირა.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, მეკუთვნის თუ არა ოთახის ქირა, თუ მეკუთვნის ვის უნდა მივმართო.

მტვირთავი მუშა ამბაკო კაპანაძე.

პასუხი

თანახმად სამხედრო კანონთა კოდექსის მუხ. 95-ისა, თქვენთან ანგარიში გასწორებულია სწორად. თქვენ მიგიღიათ ხელფასის ორი მესამედი ($^2/_3$). ბინის ქირას თქვენ ვერ მოსთხოვთ დაწესებულებას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებული კომ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დღეს (პარასკევს), საღამოს 8 საათზე მოწვეულია სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედის კრება.

დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საკლუბო საბჭოს სხდომა შესდგება შაბათს, 11 დეკემბერს, დილის 9 საათზე. თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში.

— ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ს. არეშიძეს, რათა 10—11 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი № 9).

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების მეთოდიური ბიურო სხდომა შესდგება შაბათს, 11 დეკემბერს, თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილებაში.

— დღეს, 10 დეკემბერს, [illegible] 10 საათზე შესდგება, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—შაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ამხ. კახიანის კაბინეტში შესდგება საქ. კომ. პარტიის (ბ) ც. კ. **ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის სხდომა.**

სხდომას უნდა დაესწრონ: ამხ. ს. თოდრია, ყურულაშვილი, დ. კანდელაკი, სუტირინი, ასრიბეკოვი, საყვარელიძე, კიკნაძე, ბიბინეიშვილი, დუდუჩავა, ასათიანი, კუპრაძე და მაჭავარიანი.

— საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომა შესდგება შაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილებაში.

დაუწუხრებული ტკბილი დედის დაკარგვით შვილები: მანია, ნადია, ანიჩკა, ნინა და მიშა; რძლები: მარო და ფატი; სიძეები: სერგო ქორქოლიანი, ვასო ნაცვლიშვილი და საშა ჩხეიძე და შვილიშვილი თინიკო გლოვობენ მოულოდნელად, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 8 დეკემბერს დაკარგვას

ნინო კონსტანტინეს ასულის

ქუთათელაძის

პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე, ქალ. მეორე საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდრეს) კამოს ქ. გამოსვენება აქედანვე კვირას, 12 დეკემბ., დილ. 12 საათზე და დაკრძალვა ახალ-ვერის სასაფლაოზე.

ღ. 3—1

გულდათუთქულნი: მეუღლე მარიამ თორნიკეს ასული, და ეკატერინე პავლეს ასული, შვილები არჩილი, ჩიტო, ოლა, დოდო, ძმისწულები სოფიო, მარიამი და რძალი ბარბარე ყარამანის ასული ნინიაშვილები, სიძე ივანე რაჟდენის-ძე დეკანოზიშვილი და შვილი-შვილები შოთა, აკაკი და ნუციკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ ებს,

იოსებ პავლეს-ძე ნინიაშვილის

გარდაცვალებას ა. წ. 8 დეკემბერს ქ. გორში. დაკრძალვა მოხდება 11 დეკემბერს სოფ. ხოვლეში (გორის მაზრა) 883

გულდათუთქულნი და ულრმესად დაწუხრებული ძატრონე და დიმიტრი კუპრაძეები სიძით ალექსანდრე გეგენავა და შვილებით მარიამ, ვიქტორ, ქეთო, გაბრიელ, ელენე და პლატონი, გიორგი დარჩია და ვალერიან და დარეჯან კილაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ—პირველთა ბიძისშვილის და უკანასკნელთა ძმის და სიძის ძვირფას

ნიკო დარჩიას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს ნაშუადღევის 5 საათ. რესპუბლიკის საავადმყოფოში დაკრძალვა სოფ. ჯუმათში.

ღ.

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე" დეკემბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე ათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს" წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, ჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩემჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
19. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა" მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

0—1

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის

შრომის დაცვის განყოფილება

იწვევს სამთო-მადნო ინჟინერს სამთო ტეხნიკურ ინსპექტორის თანამდებობაზე

საქ. ს. ს. რ. სამთო-მადნო მრეწველობაში სამუშაოდ, რომელსაც საცხოვრებელ ადგილათ დანიშნული ექნება ქალ. ქუთაისი, მსურველთ დაიკავონ ეს თანამდებობა უნდა წარმოადგინონ შრომის დაცვის განყოფილებაში (ძნელაძის ქ. № 30 მესამე სართული) განცხადება თანდართული Curriculum vitae და დიპლომი.

შრომის დაცვის განყოფილების გამგე გოგინაშვილი.

ნ. 329. მდივანი—მაჩაიძე.

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, ელენთის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1. საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

ექიმი არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35

854 13—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 5

მ დიცინის დოქტორი გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღით 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ექიმი ს. ი. ვოლოხი

განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი ს. ივ. არარატოვისა

რესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი ა. დ. მაჰკახიანი

ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

დაკარგვ კავშირის წიგნაკი № 3757; პირადობის მოწმობა და დამზღვევ სალაროს წიგნაკი ტარასი არჩვაძის სახელზე, ჩ. გ. 870

დაკარგვ პროფკავშირის წიგნაკი № 3, მოცემული სიღნაღის პროფკავშირის მიერ, მიხეილ იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 872

დაკარგვ მეტრიკული ამონაწერი აშხენა ხაჩატუროვის სახელზე, ჩ. გ. 874

დაკარგვ სამხედრო სააღრიცხვო ბარათი თომა რევაზისძე ყაზბეგოვის სახელზე, ჩ. გ. 873

დაკარგვ დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 40 ვასო აბრამისძე გარსევანიძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგვ პარტიული ბილეთი № 725.334 მელითონეთა კავშირის საწევრო წიგნაკი, პირადობის მოწმობა. სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, მონადირეთა კავშირის წიგნაკი და უვადო პასპორტი იასონ ფერაძის სახელზე, ჩ. გ. 875

დაკარგვ საანგარიშო წიგნაკი № 8 ედიშერ ბლიაძის სახელზე, ჩ. გ. 878

დაკარგვ კოოპერატივის წიგნაკი № 15019 ნინა კარდელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 877

დაკარგვ განქორწინების მოწმობა, მოცემული თბილისის მმაჩის მიერ, მიხეილ კავდინისძე გუსოევის სახელზე, ჩ. გ. 876

დაკარგვ უვადო პირადობის მოწმობა, სიღარიბის მოწმობა, შვილის მეტრიკული ამონაწერი გრიგოლ სვანის) ათანასე ვასილისძე სვანის სახელზე, ჩ. გ. 879

დაკარგვ კავშირის წიგნაკი № 26036 არსენ ქართველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 880

დაკარგვ პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი მინა ანტონისძე კერესელიძეს სახელზე, ჩ. გ. 882

დაკარგვ პირადობის მოწმობა № 136 ანასტასია ჩირიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 881

ზუგდიდის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. დგებუაძე

აცხადებს, რომ 19 დეკემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სოფ. კახათში კოსტანტინე კუპრავას სახლში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის უკანასკნელის მოძრავ ქონებას ხის სახლს, გადასატანად, ერთ მაგიდას, ერთ კრაოტს და სასწორს—შეფასებულს ას თექვსმეტი მანეთად ლავრენტი დავითაიას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ზუგდიდის 1 ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 5 ნოემბერს 1926 წ. გაცემულ ბრძანებითი ფურცლისა. ნ. 328

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი აცხადებს

კონკურსს

ორ სართულიან—ოთხბინიან ტიპიურ მუშათა სახლის პროექტის შესადგენათ.

ამონაწერი კომიტეტის მიერ 1926 წ. 3 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცებულ პროგრამიდან, ოქმი № 11.

მუხ. 15. შედარებით უკეთეს პროექტებისათვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პირობების მოთხოვნილებას, გაიცემა 2 პრემია:

1 პრემია . . . . . 600 მანეთი

2 პრემია . . . . . 400 მან.

მუხ. 16. კომისია იტოვებს უფლებას პრემიის გარეშე დარჩენილი პროექტები შეიძინოს თითო 200 მანეთად.

შესაფერი თანხა შეტანილია თბილისის კომუნალურ ბანკში მიმდ. ანგ. № 471.

მუხ. 17. პრემიის გარეშე დარჩენილი პროექტების დევიზები გახსნილი არ იქნება.

მუხ. 21. პროექტები უნდა იქნეს წარდგენილი საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტში (თბილისი, ძნელაძის—ყოფ. საპიორის ქ. № 30. მე-3 სართული, ოთახი № 5). სხვა ქალაქებიდან პროექტები უნდა გადმოიგზავნოს ფოსტით და ამასთანავე ტელეგრაფით უნდა აცნობონ გადაგზავნის შესახებ კომიტეტს, დევიზის მოწერით, იქვე შეიძლება ყოველგვარი ცნობების და აგრეთვე კონკურსის პროგრამის მიღება ამხ. ვ. ი. შენგელიასთან.

ნ. 327 3—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 10 დეკემბერს, პრემიერა (აბონემენტის გარეშე)

მ. ბალანჩივაძის ოპერა **თამარ ცბიერი**

მონაწილეობენ: ვოლჩანეცკაია, კარგარეთელი, ქუმსიაშვილი, ვენაძე, შარაშიძე.

დადგმა ალ. წუწუნავასი. დირიჟ.: დამ. მსახიობი **სტოლერმანი.**

შაბათს: აბონემენტს გარეშე **მაზეპა**

ნ. 326

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 11 დეკემბერს, ნ. შიუკაშვილის. **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქ. და 3 ინტერმედიით.

ლაქიების ინტერმედია, ჩანგანი და კინტოების ინტერ.

დადგმა ალ. ახმეტელისა

კვირას, 12 დეკემბერს, უ. შექსპირის **ჰამლეტ**

ტრაღ. 5 მოქ. 11 სურათად; თარგ. ი. მაჩაბლის

ჰამლეტ—შ. ჩხეიძე

დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—2 ნ. 325

აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი

(ყოფ. გლობუსი)

10, 11, 12 დეკემბერს,

ნიბელუნგები უკანასკნელი მე-3 და 4 სერია ერთად

პირველად თბილისში სეზონის საუკეთესო კომედია

ნაჩქარევი ქორწინება

სურათმა არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში

პირველად თბილისში

„ქალი ყავახანიდან"

ქსენია დესნის მონაწილეობით. პროგრამის გარეშე მხიარული კომედია

არაჩვეულებრივი ინტერესის გამო გაგრძელებულია ჩვენება სურათის: **„პროცესი სამ მილიონზე"**

ყველა კინოებში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

0—9 ნ. 287

კინო არფასტო

დღეს და ყოველდღე პირველად

თბილისში

სეზონის საუცხოვო კომედია

ნაჩქარევი ქორწინება

ყველგან არაჩვეულებრივი წარმატება!

ნას. 330

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

საქართ. ტყის მრეწველობის ტრესტმა

დასდო სრულიად რუსეთის სატყეო

სინდიკატთან

ა/ქ. უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმებული

მონოპოლიური ხელშეკრულება

საქართველოს საზღვრებში

ხე-ტყის მასალათა გეგმიანი შემოტანის მიზნით

ამიტომ ტყის მრეწველობის ტრესტი

წინადადებას

აძლევს ყველა დაინტერესებულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს წინასწარვე მიმართონ ტრესტს შეკვეთებით ხე-ტყის მასალაზე.

მისამართი: მაჩაბლის (ყოფ. სერგეევის) ქუჩა № 1.

ტელ. №№ 13—66 და 14—78

3—2 ნ. 323

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1

ქ. 788

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში

პლეხანოვის პროსპექტი № 1 (6), საღამოობით 4—6 საათამდის

ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

ექიმი-ქალი თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

25—

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.